# ლელო

№046 (12 422) **26** თებერვალი სამშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# დავიბრუნოთ ჩვენი ფეხბურთი



მიხეილ ყაველაშვილი:

## ალდგეს სამართალი, ჩავატაროთ რიგგარეშე ყრილობა!

3

## ახალი სახეები ნაკრების სათავეში

ქეცბაია ტოპმიოლერის თანაშემწედ? 2



ედუარდოს ერთწლიანი შვებულება ელოდება 8

## საზარელი ტრავმა

## იმედია, რუსებთან უძლიერესი გუნდი გვეყოლება



ინტერვიუ ლევან ცაბაძესთან 13

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

პრესკონფერენცია ფეხბურთის ფედერაციაში

# ახალი სახეები ნაკრების სათავეში

## ქეცბაია ტოპმიოლერის თანაშემწედ?

**გუშინ**, ნაშუადღევს ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც ნაკრებ გუნდებსა და საფეხბურთო პროექტებს შეეხებოდა. მასმედიის წინაშე პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენერალური მდივანი უჩა უგულავა წარდგნენ.

**ნოდარ ახალკაცი:** - როცა კლაუს ტოპმიოლერთან და გერმანელ მწვრთნელებთან კონტრაქტები გავაფორმეთ, მაშინვე ვთქვით, რომ ჩვენი პრიორიტეტი ნაკრებ გუნდებში ქართველი მწვრთნელების ინტეგრაცია გახლდათ. უკვე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს დაგეგმილზე ადრე შევძელით. ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებთან მიმართებაში უკვე მივიღეთ გადაწყვეტილება.

ამიერიდან 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გელა შეყილაძე იქნება. რამდენადაც ვიცი, მატჩებში თანხვედრა არაა და შეყილაძე პარალელურად 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელის პეტარ სეგრტის ასისტენტიც იქნება. 17-წლამდელთა ნაკრებში გელა შეყილაძის თანაშემწე ლევან ხომერიკი იქნება, მეკარეების მწვრთნელი კი - ასლან ბალაძე.

19-წლამდელთა ნაკრებს ზაურ სვანაძე უთავკაცებს. მისი თანაშემწე გოჩა ჩიქოვანი იქნება, მეკარეებს კი დავით გვარამაძე გაწვრთნის, რომელმაც ახლახან დაამთავრა საფეხბურთო კარიერა. ყველა მწვრთნელის დიდად მადლიერი ვარ, რომ ჩვენი გამოწვევა მიიღეს. მჯერა მათი პროფესიონალიზმისა და იმედი მაქვს, დიდ სარგებელს მოუტანენ ჩვენს ფეხბურთს.

გაცნობებთ იმასაც, რომ გელა შეყილაძე, ლევან ხომერიკთან და ასლან ბალაძესთან ერთად, უკვე ორი თვეა, რაც 1991-92 წლებში დაბადებულთა სელექციას მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს. სელექცია კვლავაც გაგრძელდება და მარტში პორტუგალიაში, საერთაშორისო ტურნირზე, 1993 წელს დაბადებულები იასპარეზებენ. ეს ის გუნდია, რომელიც გაისად ითამაშებს 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ჩვენ გვინდა სელექციის პროცესი დაბალ ასაკებშიც გავაგრძელოთ და 13-წლამდელებამდე დავიდეთ. ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციებს ვმართავთ სპეციალისტებთან. თითოეული გამორჩეული მოთამაშის მონაცემებს კი ჩვენს საინფორმაციო ბანკში მივუჩენთ ადგილს.

სელექცია იქნება 19-წლამდელთა ნაკრებშიც, რომელსაც ზაურ სვანაძე თანაშემწეებთან ერთად უხელმძღვანელებს.

ეროვნულ ნაკრებთან მიმართებაში ჩვენ წინასწარი მოლაპარაკებები დავიწყეთ თემურ ქეცბაიასთან. მას კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწეობა შევთავაზეთ. ეს მეტად საპასუხიმგებლო პოსტია. თემური მოხარულია ჩვენი შეთავაზებისა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ის "ანორთოსისის" მთავარი მწვრთნელია და ახლა მთავარია, როგორ მოახერხებს ორი საქმის შეთავსებას. კვიპროსზე ჩავფრინდები და თემურ ქეცბაიასთან იქ ყველა საკითხს დეტალურად განვიხილავ. იმედია, ქეცბაიას სახით კიდევ ერთი კარგი, თანაც ქართველი სპეციალისტი შეემატება სანაკრებო შტაბს.



უჩა უგულავა და ნოდარ ახალკაცი

**- კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტი როდის გაგრძელდება და 21-წლამდელთა ნაკრებსაც ხომ არ შეეხება ცვლილება?**

– ახალგაზრდული ნაკრების თავკაც პეტარ სეგრტს მოქმედი კონტრაქტი აქვს, რომელიც შესარჩევი ციკლის დასრულებისთანავე, ამ წლის ბოლოს უმთავრდება. თუ 21-წლამდელები ფინალურ ეტაპზე გავიდნენ, რისი შანსი დღესაც არის, მაშინ სეგრტთან კონტრაქტი ავტომატურად გაგრძელდება.

მარტის შუა რიცხვებისთვის პრეზენტაცია გვექნება და კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტს გავაგრძელებთ. 26 მარტს, ბელფასტში, ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგური მატჩი გვაქვს და ეს მანამდე მოხდება.

ეროვნულ ნაკრებში კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწე რალფ მინგე იქნება. მას ტექნიკური დირექტორობაც შევთავაზეთ. ამ და სხვა საკითხებზე დეტალურად მარტის შუა რიცხვებში, პრეზენტაციაზე ვისაუბრებთ.

**- რამდენად მზადაა სახელმწიფო ეროვნულ ნაკრებთან და საერთოდ ქართულ ფეხბურთთან დაკავშირებული პროექტები დააფინანსოს?**

– სახელმწიფო საამისოდ აბსოლუტურად მზადაა. სწორედ სახელმწიფოსთან ერთად განხორციელდა მინი-მოედნების მოწყობის პროექტი. წლეულს გრანდიოზული პროექტი განხორციელდება, რომელიც საფეხბურთო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას მოიცავს. ამ პროექტის შედეგად 8 ახალი სტადიონი გვექნება და ამდენივე კლუბი მუნიციპალურიდან კერძო საკუთრებაში გადავა, თანაც სოლიდური სპონსორითა და მყარი ფინანსური გარანტიით.

უკვე დაიწყო ტელეკომპანია "კოლხიდას" პროექტი. გასულ უქმეებზე უკვე ვიხილეთ მატჩების ტელეტრანსლაცია და საფეხბურთო მიმოხილვა. ეს კიდევ უფრო დაიხვეწება და ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციას, დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

**- რახან ჭაბუკთა ნაკრებში იქნება, გამოდის ზაურ სვანაძემ უკვე დატოვა შევდური კლუბი...**

– დიახ, ასეა.

**- სანკტ პეტერბურგში მიშელ პლატინისა და იოზეფ ბლატერთან გქონდათ შეხვედრები. საინტერესოა, თუ რა მონაწილეობას მიიღებს საქართველო ფიფასა და უეფას პროგრამებში?**

- ფიფას პროგრამა "გოლი 2" საგურამოს ბაზას უკავშირდება. უკვე ჩატარებულია მოსამზადებელი სამუშაოები და კლიმატური პირობები როგორც კი მოგვცემს საშუალებას, იქ ხელოვნურსაფარიანი მოედანი მოეწყობა.

უეფას პროგრამა "ჰეთ თრიკი" ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, 1 ივლისიდან დაიწყება. ამჯერად ამ პროექტში საქართველო 2.5 მილიონი შვეიცარიული ფრანკის ნაცვლად 2.5 მილიონ ევროს მიიღებს. ჩვენ ინვესტიცია უნდა განვახორციელოთ ბავშვთა ფეხბურთში. ბავშვთა ფეხბურთში C ლიცენზიის მოსაპოვებლი პროგრამა რეგიონების მიხედვით ხორციელდება. დასავლეთ საქართველოში უკვე განხორციელდა და ახლა აღმოსავლეთ საქართველოში მოხდება. მერე ბავშვთა საფეხბურთო სკოლებიდან 20-ს გამოვარჩევთ, რომელსაც დავეხმარებით. კერძოდ, წყლის პრობლემის მოსაგვარებლად ჭაბურღილებს გავაკეთებთ და ინვენტარითაც დავეხმარებით. გადავცემთ ბურთებს, გადასატან კარებებს, "მოძრავ კედელს"... ბავშვთა ასაკში 4 ზომის ბურთი საქართველოში დეფიციტია და ჩვენ უკვე მივეცით შეკვეთა. ამ პროგრამაში შედის ლაგოდეხის ბაზის კეთილმოწყობაც. იქ სასტუმროცაა და ეს აღმოსავლეთ საქართველოში ერთი მსხვილი კომპლექსი იქნება. გვინდა ლაგოდეხში საფეხბურთო სკოლა-ინტერნატი დავაარსოთ.

გაცნობებთ იმასაც, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები ფუტსალში უკვე ესპანეთშია, სადაც მასპინძელთა და ხორვატიის ნაკრებს შესარჩევი ციკლიდან გასვლისთვის დაუპირისპირდება. ნაკრები 10 დღით ადრე გავამგზავრეთ ესპანეთში, რათა ადგილობრივ კლუბებთან მატჩები გაემართა. ჩვენ გვინდა ჩვენი ტექნიკური ცენტრის ტერიტორიაზე ფუტსალისთვის დარბაზი მოვაწყოთ თანამედროვე აღჭურვილობით, რათა ფუტსალის ნაკრებს ყველა პირობა ჰქონდეს სათანადო მომზადებისათვის.

უეფას კონგრესზე ჩვენი ინიციატივა გავიტანეთ და კონგრესმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ერთი წლის განმავლობაში, ქართველ მწვრთნელებსაც ექნებათ საშუალება ევროპის წამყვან საფეხბურთო კლუბებში გაიარონ სტაჟირება, რაც ქართული ფეხბურთის განვითარებას წაადგება.

**დავით ცაბაძე**

# სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებას ველით

## კოლხეთის პრეზიდენტი ცვლილებების მოლოდინშია

ფოთის "კოლხეთი" უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაზე ოცნებობს. სად-სად და ქალაქში, სადაც ქართული ფეხბურთის აკვანი დაირწა, ამაზე საუბარი არც უნდა ყოფილიყო. 1913 წელს დაარსებულ კლუბს გაცილებით მეტი ყურადღება ეკუთვნოდა. სამწუხაროდ, ფოთის "კოლხეთს" ტრადიციულმა პატრონებმა, პორტმა და ქალაქის მერიამ უგანეს და გუნდი უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა.

ეს ტვირთი საკუთარ თავზე ბიზნესმენმა **თემურ ბარქაიამ** აიღო და უკვე მეორე წელია, კლუბის პრეზიდენტის რანგში, "კოლხეთის" გადარჩენას ცდილობს.

*"წლეულს ჩვენთვის მნიშვნელოვანი სეზონია. ახლა უნდა ჩამოყალიბდეს ის ბირთვი, რომელიც მომავალ სეზონში უმაღლესში გადასასვლელად იბრძოლებს."* - გვითხრა ბარქაიამ - *"ამჟამად გუნდს ზაზა ინიაშვილი ავარჯიშებს, მას მამუკა გვასალია და ნუგზარ თვარაძე ეხმარებიან. პირველი წრე მეხუთე ადგილით დავასრულეთ. საკმაოდ ძლიერ მეტოქეებს მოვუგეთ - "ზესტაფონი 2-ს" და ტყიბულის "მეშახტეს", გასვლაზე ხობის "კოლხეთსა" და "სამტრედიას".*

*თავიდან რამდენიმე მოწვეული ფეხბურთელი გვყავდა. სამწუხაროდ, მათ ვერ გაამართლეს და გავუშვით. ახლა "კოლხეთი" მთლიანად ფოთელი ბავშვებით დავაკომპლექტეთ. მათი უმრავლესობა 16-17 წლისაა და ჩვენი საფეხბურთო სკოლის გაზრდილია. თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე უფროსი 21 წლისაა."*

"კოლხეთის" პრეზიდენტი პრობლემებზეც გვესაუბრა:

*"ფოთის ცენტრალური სტადიონი ქალაქის ბალანსზეა. აქ ხშირად ირთვება შუქი. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, გუნდს და სტადიონს ერთი პატრონი რომ ჰყავდეს. პარტნიორების მოძებნა ასე გაცილებით გაგვიადვილდებოდა.*

*მცირე ხნის წინათ, ფედერაციის ხელმძღვანელობას ვესაუბრე და მითხრეს, რომ მალე, სტადიონების კლუბებისთვის გადაცემის პროცესი დაიწყება. ქართული ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროექტით ასეა გათვალისწინებული. უფრო კონკრეტული და ზუსტი პასუხი სეზონის ბოლოს გვეცოდინება. ისიც გვითხრეს, სახელმწიფო სტრუქტურები დაინტერესებულები არიან, რომ საქართველოში ერთ-ერთ უძველეს კლუბს სოლიდური სპონსორი გამოუჩნდეს. თუმცა ჯერ კონკრეტული არაფერი ვიცით.*

*პირადად მე "კოლხეთის" გადასარჩენად ყველაფერს ვაკეთებ. ორი წელი გუნდი უპატრონოდ იყო და გულმა არ მომითმინა, გაქირვებაში ვერ მივატოვე. უმაღლეს ლიგაში გადასვლა გვინდა, სხვაგვარი ამბიცია ფოთის ფეხბურთს არც ექნება. დღევანდელი მდგომარეობით კი ეს წარმოუდგენელია, უმაღლესს გაცილებით მეტი ფული და გასაქანი სჭირდება. ქალაქიდან და პორტიდან ელემენტარულადაც არავინ გვეხმარება.*

*მაისამდე გუნდს პრობლემა არ ექნება, მაგრამ მე გულშემატკივრების გახარება მსურს. მათ კი მხოლოდ უმაღლეს ლიგაში გამოსვლა დააკმაყოფილებთ. ახლა ჩვენი მიზანია ნიჭიერი ბავშვების გაზრდაა. უგუნდოდ ტალანტები დაიკარგებიან, რასაც არაფრის დიდებით არ დავუშვებთ."*

**მერაბ მამულაშვილი**



თემურ ბარქაია

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge







გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი და ლევან ყიფიანი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

## მიხეილ ყაველაშვილი:

# აღდგეს სამართალი, ჩავატაროთ რიგგარეშე ყრილობა!

პრესკონფერენციამდე ვითარება ბურუსით იყო მოცული იყო. რას აპირებდნენ **მიხელ ყაველაშვილი, გოჩა ჯამარაული და ლევან ყიფიანი,** ამაზე მხოლოდ ვარაუდები თუ გამოითქმოდა.

გუშინ კაფე "მსოფლიო სპორტში" სამეულმა ბურუსის გაფანტვაც სცადა და იმ შიშის სინდრომისაც, რაც საფეხბურთო საზოგადოებაში იგრძნობა.

სათქმელი ითქვა, თანაც ტაქტიანად, მაგრამ პრინციპულად და უკან მოხედვის გარეშე.

პრესკონფერენცია **ლევან ყიფიანმა** გახსნა: "სულ რაღაც ორი საათის წინათ იურიდიულად დაფუძნდა კავშირი "ჩვენი ფეხბურთი", რომლის მიზანიც ქართული ფეხბურთის განვითარებაა. მიგვაჩნია, რომ ეს საქმე ჩვენ უნდა განვახორციელოთ. კავშირის პრეზიდენტია მიხეილ ყაველაშვილი, მე და გოჩა ჯამარაული კი - გამგეობის წევრები. მალე ორგანიზაციაში ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი გაწევრიანდება, რადგან სურვილი ბევრმა გამოთქვა. ჩვენი ოფისი დროებით ჟურნალ "ათიანის" რედაქციაშია, ვერაზე, ხორავას 11-ში.

ათასი მითქმა-მოთქმაა და მსურს ყველამ იცოდეს - ჩვენ ვართ არასამთავრობო ორგანიზაცია და არანაირი პოლიტიკური ძალის პარტნიორები არ ვართ და, მით უფრო, არავის გავლენის ქვეშ არ ვიმყოფებით.

ჩვენი აქტიურობა ფეხბურთში შექმნილმა მდგომარეობამ გამოიწვია. ასეთი დათრგუნული საფეხბურთო საზოგადოება არასდროს მინახავს. მე აზერბაიჯანში ვიყავი, ყაველაშვილი შვეიცარიაში, გოჩა იტალიასა და უკრაინაში, მაგრამ განზე დადგომა შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩამოვედით და ორგანიზაციაც ჩამოვაყალიბეთ."

**მიხეილ ყაველაშვილი:** "ჩვენ მრავალი წელი ერთად ვთამაშობდით, მაგრამ ამჯერად გავერთიანდით იმიტომ, რომ ქართული ფეხბურთის კატასტროფულმა მდგომარეობამ შეგვაშფოთა. უმძიმესი მდგომარეობაა ბავშვთა ფეხბურთში, ჩემპიონატის დონე ძალიან დაბალია, ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებშიც კატასტროფული ვითარებაა.

ჩვენი მიზანი სამართლიანობის დამკვიდრებაა. ყველას კარგად მოეხსენება, 13 მაისს რაც მოხდა. ეს არა მარტო ქართული ფებურთის, არამედ ხელისუფლების მხრიდან მთელი საზოგადოების შეურაცხყოფა იყო. სამწუხაროდ, მაშინ არ გამოჩნდა ძალა, რომელიც ამ ჩარევას შეეწინააღმდეგებოდა. მას შემდეგ ვითარება შეიცვალა და დღეს ხელისუფლების პოლიტიკური ნებაცაა, რომ ყველა სფეროში პროფესიონალები დასაქმდნენ. მოდით, შევქმნათ პრეცედენტი და ეს პროცესი ფეხბურთიდან დავიწყოთ. საამისოდ, სამართლიანი არჩევნების ჩატარება საჭირო. გამოსავალი მხოლოდ ესაა.

საზოგადოება დათრგუნულია. სიმართლე და მხოლოდ სიმართლე უნდა იყოს ჩვენს ყველა გამოსვლაში. საამისოდ ჩვენი სამყაროს გაერთიანებაა საჭირო. თუ არ იქნება სამართლიანობის განცდა, ნდობაც ვერ გაჩნდება."

**გოჩა ჯამარაული:** "სიმართლის დამალვა ღალატია. დღეს ბევრი გუნდის წარმომადგენელს სურდა მოსვლა, მაგრამ ეშინიათ, რომ გამოჩენის შემდეგ, მათ გუნდებს ჩემპიონატში პრობლემები შეექმნებათ. ყველას გასაგონად უნდა ვთქვა, რომ აზრის გამოხატვა დაპირისპირებას არ ნიშნავს. ჩვენ გვტკივა ქართული ფეხბურთი და ამ გულისტკივილის მიზეზი გაგვაჩნია.

ჩემი მეგობარი გუბაზ დოლიძე საფეხბურთო სკოლაში მუშაობს და მისგან ვიცი, იქ რა მდგომარეობაა. უამრავი ნიჭიერი ბავშვი იზრდება, მაგრამ მათი დიდი ნაწილი, გაჭირვების გამო, იკარგება. გადახედეთ, რა ხდება ეროვნულ ჩემპიონატში. ამის შემდეგ გაჩუმება სირცხვილია."

**ლევან ყიფიანი:** "უახლოეს პერიოდში აუცილებლად უნდა გაიმართოს საფეხბურთო კონფერენცია, სადაც მთელი საფეხბურთო სპექტრი შეიკრიბება. მთავარია შიშის სინდრომი დავძლიოთ. ჩვენ ვებრძვით არა კონკრეტულ პიროვნებებს, არამედ ფეხბურთში ჩამოყალიბებულ მანკიერ სისტემას. ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამა მეცნიერებას უნდა დაეფუძნოს. ამ დიდ საქმეს კი, სათითაოდ ვერ გავაკეთებთ. ჩვენი დევიზია - დავიბრუნოთ ქართული ფეხბურთი"

**მიხეილ ყაველაშვილი:** "საზოგადოება უნდა გააქტიურდეს. დუმილი აღარ შეიძლება. ხალხი სიმართლეს ვერ ამბობს. არადა, თუკი არ იქნება ჯანსაღი კრიტიკა, ფეხბურთი ვერ განვითარდება. არანორმალური ვითარება შეიქმნა. კავშირის ჩამოყალიბება უკიდურესი ზომაა, რადგან ხალხი ქუჩაში გვაჩერებს და გვეკითხება, რა ხდება, ასეთ მდგომარეობაში რატომ ჩავვარდით. მათ სტკივათ ფეხბურთი, რადგან ეს საფეხბურთო ქვეყანაა და საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, როგორი ფეხბურთი უნდა და რა მიმართულებით წასვლაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ორგანიზაციას მრავალი მომხრე გამოუჩნდება. პიროვნულად არავის ვერჩით, მაგრამ ქართული ფეხბურთის დაკნინებაზე თვალს ვერ დავხუჭავთ.

საქართველოში განსაკუთრებით ეკლესია და ფეხბურთი უყვარდათ. კარგად გამიგეთ, ეკლესიასთან ფეხბურთი რა ახლოს მოსატანია, მაგრამ იმის თქმა მსურს, რომ ფეხბურთი ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მის ჩავარდნას ვერ შევეგუებით."

**გოჩა ჯამარაული:** "კარგად მახსოვს, ჩვენს დროს ყიფიანსა და ჩივაძეს ჟურნალისტები როგორ აკრიტიკებდნენ. მაშინ მაღალ დონეზე იწერებოდა, ზოგჯერ გვწყინდა, ზედმეტებიც მოსდიოდათ, მაგრამ სამართლიანობა და ობიექტურობა იგრძნობოდა. ახლა კრიტიკა გაქრა და ძალიან მიკვირს. რატომ, უკეთესი შედეგებია?

საწყენია, როდესაც ფეხბურთში არ არიან ისეთი დიდი სახელები, როგორებიც არიან მურთაზ ხურცილავა და ალექსანდრე ჩივაძე. თუმცა მათ ხმა უნდა ამოიღონ. აგერ, ვოვა გუცაევი არავის ერიდება და სატკივარზე ღიად საუბრობს. ასე ჯობია, სათქმელი არ უნდა დაიმალოს.

ზუსტ ციფრს არ აქვეყნებენ და ამიტომ, მეც ვერ ვიტყვი, ტოპმიოლერი მილიონ ევროს იღებს, მეტს თუ ნაკლებს. ის კი ვიცი, რომ ხელფასის გადახდასთან ერთად, შედეგების მოთხოვნაც უნდა ვისწავლოთ. ამ ჯგუფში მეექვსე ადგილი, ფაქტობრივად, ბოლო ადგილი იყო. ამის შემდეგ გაუგებარია, ახალ კონტრაქტს რატომ უფორმებენ? ყველა სხვა ნაკრებშიც კატასტროფული მდგომარეობაა."

**მიხეილ ყაველაშვილი:** "ჩემთვის გაუგებარია, რის საფუძველზე გაუგრძელეს კონტრაქტი ტოპმიოლერს. მე ვერ ვხედავ, რომ მომხდარს ფედერაციაში აანალიზებდნენ. ტოპმიოლერმა არ იცის, რა ტრადიციის ქვეყანაში ჩამოვიდა. აქ სხვა ამბიციების გულშემატკივრები არიან და მეექვსე ადგილს ვერასდროს შეეგუებიან. ამ შედეგით, რაც არ უნდა გვიქონ, ტაშს კაპელოს და ბენიტესსაც არ დაუკრავენ."

პრესკონფერენციას ფედერაციის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი **მამუკა კვარაცხელია** ესწრებოდა, რომელიც კავშირის დაფუძნებას მიესალმა: "ძალიან გახარებული ვარ. მიგულეთ თქვენ გვერდით და ჩათვალეთ, რომ "ჩვენს ფეხბურთში" დღესვე გავწევრიანდები. ბოლოს და ბოლოს, მარტო კაცი ჭამაშიც ბრალია და ახლა უსამართლობას ერთად შევებრძოლებით. ახალკაცს ერთი სული აქვს, ფედერაციიდან წავიდეს. შემოდგომაზე წავაგებთ თამაშებს და გაიქცევა."

**მერაბ მამულაშვილი**

# ჩხეტიანი ბათუმში

## კოკაიამ იჯარა იუარა

**გოგი ფიფიასა** და **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძეს** "ბათუმში" არ უშვებენ. შეგახსენებთ, ამ ორ ფეხბურთელს "ზესტაფონთან" კონტრაქტი ზაფხულში ეწურება. ფიფია და ჭელიძე ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ აპირებენ, რის გამოც იმერული კლუბის შემადგენლობაში არ ათამაშებენ. მათ სეზონის ჩამთავრება "ბათუმში" სურდათ.

აჭარული კლუბის მესვეურებსაც ჰქონდათ ფიფიასა და ჭელიძის იჯარით აყვანის დიდი სურვილი, მაგრამ "ზესტაფონის" პრეზიდენტ**ილია კოკაიასთან** მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო. ეს უკანასკნელი დუეტის გაშვებაზე ვერ დაიყოლიეს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ზაფხულამდე ფიფია და ჭელიძე უქმად იქნებიან.

სამაგიეროდ, გადაწყდა, რომ "ზესტაფონიდან" "ბათუმს" ახალგაზრდა თავდამსხმელი **გაგა ჩხეტიანი** მიაშურებს. სეზონის დასაწყისში იგი ფეროელთა ძირითადი ფორვარდი იყო, მაგრამ მოულოდნელად, "ზესტაფონის" განაცხადიდან მისი გვარიც გაქრა. სავარაუდოდ, მალე ჩხეტიანი თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს და "ბათუმთან" კონტრაქტს გააფორმებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გაგა ჩხეტიანი

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge





კობა ჟორჟიკაშვილი

# ქართლზე დიდ ბრძოლას ელიან

**14:00 სპარტაკი-სიონი**

პირველ წრეში: 1:1

26 თებერვალი. გორი. ქართლი.

**სავარაუდო შემადგენლობები**

სპარტაკი: ქვილითაია, კუპრეიშვილი, ქემოკლიძე, ხაჭიპერაძე, მამუკაშვილი, გოგოხია, ხიდეშელი, ძარია, ტყეშელაშვილი, მ. ღონღაძე, ვ. კვარაცხელია

სიონი: ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე, ბოიომო, გ. ოქროპირიძე, კობაური, ბაჯელიძე, სანიკიძე, ბ. ნოზაძე, შ. ჯიქია, ჩასემი

დისკვალიფიკაცია: თარხნიშვილი (სპარტაკი)

არბიტრი: ო. ხეცაძე

წესით, ეს მატჩი შაბათს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ გორში მოსული დიდი თოვლის გამო, თამაში დღეისთვის გადმოიტანეს. ტური მაინც ვერ გამოვიდა სრული. ასევე დიდთოვლობის გამოისობით, ზუგდიდის "მგლებისა" და ახალციხის "მესხეთის" შეხვედრა 11 მარტისთვის გადაიდო.

დღევანდელი მატჩი ორივე გუნდისთვის უაღრესად პრინციპულია. "სპარტაკმა" წლის პირველი ოფიციალური შეხვედრა უკვე ჩაატარა. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდმა თასის მეოთხედფინალში "დინამოსთან" ძალიან ღირსეულად ითამაშა და ნულოვანი ფრით ნახევარფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნა. "სიონი" კი თასის გათამაშებას ჯერ კიდევ მეთექვსმეტედფინალში გამოეთიშა და შესაბამისად, სეზონს დღეს განაახლებს. საკონტროლო შეხვედრებში **გიორგი ყიფშიძის** გუნდმა ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა. "სიონის" შემადგენლობა საგრძნობლადაა გაძლიერებული. ერთი სიტყვით, "სპარტაკსაც" და "სიონსაც" უმაღლეს ლიგაში დარჩენის კარგი შანსი აქვთ და ვნახოთ, რომელს გამოუვა წარმატებული სტარტი.

**კობა ჟორჟიკაშვილი** (სპარტაკის მთავარი მწვრთნელი): *"სეზონი კარგად განვაახლეთ, "დინამოსთან" ჩატარებულმა წარმატებულმა თამაშმა ბიჭებს საკუთარი თავის რწმენა განუმტკიცა. დისკვალიფიცირებული თარხნიშვილის გარდა, არავის მოვისაკლისებთ. "სიონი" ძლიერი გუნდია და მისი ძლევა ძალიან გაგვიჭირდება, თუმცა რაღა თქმა უნდა, გამარჯვებისთვის ვიბრძოლეთ".*

**ჯემალ ქიპაშვილი** (სიონის გენერალური მენეჯერი): *"რამდენიმე ფეხბურთელს მიკროტრავმა აწუხებს, მაგრამ წესით, "სიონმა" გორში ოპტიმალური შემადგენლობით უნდა ითამაშოს. უშუალო კონკურენტებთან ქულები ნაკლებად უნდა დავკარგოთ, შესაბამისად, "სპარტაკთანაც" სამ ქულას ვგეგმავთ. დარწმუნებული ვარ, "ქართლზე" დიდი ბრძოლა იქნება".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ვიტ ჯორჯიამ გამარჯვება თათას მიუძღვნა

## არ იცუღლუტოთ და შეუტიეთ

ვიტჯორჯიელი გიორგი მელქაძე თავის საქმეს რიგიანად აკეთებდა, არ იყო მეფურორე ფეხბურთელი, მაგრამ მეორე წრის პირველ ტურში სულ სხვა მელქაძე ვიხილეთ - ეფექტური გოლი და საგოლედ ჩაწოდებული ჯარიმა - "ლელომ" ის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა - "ვიტ ჯორჯიამ" "ზესტაფონს" 2:1 მოუგო.

*"ყოველი მნიშვნელოვანი, პრინციპული თამაშის წინ ჩვენი მწვრთნელი ნესტორ მუმლაძე გვაფრთხილებს, კარგად დაისვენეთ, არ იცუღლუტოთო. ის ფეხბურთელებს არ გვამოწმებს, მას ჩვენი სჯერა, თუმცა მაინც ზედამხედველობის ქვეშ ვყავართ - გვითხრა მელქაძემ და მუმლაძის ტაქტიკური დავალებებიც გაგვიმხილა - მწვრთნელმა გვითხრა, "ზესტაფონი" მატჩის პირველ თხუთმეტ წუთში განსაკუთრებულად აქტიურია და ეს უნდა გაითვალისწინოთო. მუმლაძემ შემტევი ფეხბურთის თამაში დაგვავალა, ერთსულოვნად იმოქმედეთ და მეტოქეს ბრძოლა შესთავაზეთო".*

მელქაძე ცენტრალური ნახევარმცველია, არ არის ტიპური პლეიმეიკერი, თუმცა უფრო შემქმნელია, ვიდრე ჩამშლელი.

*"მწვრთნელმა დამავალა, როგორც კი ბურთს მიიღებ, მყისვე პასებით მოამარაგე ჩვენი სწრაფი თავდამსხმელები და ვფიქრობ, ამ დავალებას თავი გავართვი. რაც შეეხება გოლს, ბურთი რომ მივიღე, "ზესტაფონის" მეკარეს გავხედე და შევამჩნიე, რომ გია ჭანტურიას კუთხე დაკარგული ჰქონდა, ბურთიც ზუსტად იქ გავგზავნე, სადაც მინდოდა. თამაშამდე წინათგრძნობა მქონდა და ყველას ვეუბნებოდი, "ზესტაფონს" გოლს გავუტან-მეთქი".*

სეზონის წინ თუ საშუალსეზონო პერიოდში "ვიტ ჯორჯიის" ხელმძღვანელობას გუნდისთვის კატეგორიულ მიზნად ჩემპიონობა არ დაუსახავს, თუმცა ამ დროისთვის მუმლაძის გუნდი ლიდერ "დინამოს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება.

*"ვფიქრობ, "ვიტ ჯორჯიას" აქვს საიმისო რესურსი, ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. კარგი შეკრება გავიარეთ, კარგად მოვემზადეთ მეორე წრისთვის. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ გუნდში კარგი სიტუაცია იყოს. სათანადოდ უნდა შევაფასოთ ის მეტოქეებიც, დიდი მიზნებისთვის რომ არ იბრძვიან. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ჩვენ მართლაც შეგვიძლია, სერიოზულად ვიბრძოლოთ ჩემპიონობისთვის. "ზესტაფონთან" გამარჯვების შემდეგ ჯერ არ ყოფილა საუბარი ჩემპიონობაზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, "ვიტ ჯორჯიაში" ეს საკითხი წამოიწევა".*



გიორგი მელქაძე

"ზესტაფონთან" თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე "ვიტ ჯორჯიის" ფორვარდ **ზაზა სახოკიას** ქალიშვილი შეეძინა და...

*"მუმლაძემ თამაშის წინ გვითხრა, "ზესტაფონთან" გამარჯვება სახოკიას ახალდაბადებულ შვილს, თათას უნდა მივუძღვნათო. მატჩის შემდეგ კი თითქმის ყველა ჩემმა ახლობელმა და მეგობარმა დამირეკა მოგების და გოლის მოსალოცად, რა თქმა უნდა, მოლოცვა ახალმოყვანილი მეუღლისგანაც მივიღე" - გვითხრა მელქაძემ.*

**დავით თავართქილაძე**

## მხოლოდ სალუქვაძემ ითამაშა

ყაზანის "რუბინისა" და ზაპოროჟიეს "მეტალურგის" საკონტროლო შეხვედრა რუსული კლუბის მინიმალური გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. "რუბინის" ქართველთაგან **ნუკრი რევიშვილსა** და ახალწვეულ **დავით კვირკველიას** არ უთამაშიათ. მოედანზე მხოლოდ **ლაშა სალუქვაძე** იყო, რომელიც ძირითად შემადგენლობაში გაამწესეს და 62-ე წუთზე შეცვალეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ი. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com www.pfl.ge

სამზადისი

# მესხეთს ლონლაძე დაემატა

საფეხბურთო სეზონი კი განახლდა, მაგრამ ახალციხის "მესხეთს" მეორე წრის პირველი მატჩი ჯერ არ ჩაუტარებია. "მგლებისა" და "მესხეთის" მატჩი ზუგდიდური დიდთოვლობის გამო 11 მარტისთვის გადაიდო და ახალციხელები წლეულს პირველ მატჩს "ზესტაფონთან" სტუმრად გამართავენ 1 მარტს.

მანამდე კი **კობა თედიაშვილის** გუნდი მზადებას განაგრძობს. გუნდში ნამატიცაა. კლუბის პრესიდენტის **გია მესხელის** თქმით, "ვიტ ჯორჯიასთან" მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და მარჯვენა მცველი **თემურ ლონლაძე**, რომელიც პირველ წრეში განათხოვრებით "ბორჯომში" თამაშობდა, "მესხეთში" ისპარეზებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სეზონის განახლებამდე მესხებმა კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართეს. ახალციხელები გუშინ მცხეთაში "ვიტ ჯორჯია 2-ს" გაეჯიბრნენ და 32-ე წუთზე გაშვებული პენალტით, მინიმალური ანგარიშით 0:1 დამარცხდნენ.

"მესხეთმა" შემდეგი შემადგენლობით ისპარეზა: **სომხიშვილი, ნადირაშვილი, კობესაშვილი, ლ. მერებაშვილი, რაქვიაშვილი, ლეკიშვილი, კ. ხანიშვილი, კოშკაძე, ინასარიძე, გვირჯიშვილი, მუშკუდიანი.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ძამუნაშვილი, თელიაშვილი, მ. თაყაძე, ვ. თაყაძე, სამადაშვილი.**

**დავით ცაბაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# ელიავამ ამქარში ითამაშა

ეროვნული ნაკრების მცველი **ზაალ ელიავა** რამდენიმე დღეა რიგის "სკონტოში" აღარ ჩანს. საქმე ის გახლავთ, რომ ელიავას ტრანსფერის საკითხი განიხილება. ზაალი პერმის "ამქართან" ერთადაა ანთალიურ შეკრებაზე და ერთ ამხანაგურ მატჩში უკვე მიიღო მონაწილეობა.

"ამქარის "ოფიციალური ვებ გვერდის ცნობით, პერმელებმა ორი მარცხის შემდეგ ნაგებათა სერია პოლონური "ლეგიის" ძლევით შეწყვიტეს. პერმელთა გუნდმა 2:0 მოიგო. ელიავამ საწყისი 45 წუთი ითამაშა. ის ჩვეულ პოზიციაზე, მარცხენა მცველად იყო გამწესებული. ელიავა "ამქარში" ტესტირებაზეა და მორიგ ამხანაგურ მატჩში, ნაბერეჟნიე ჩელნის "კამაზთანაც" გამოცდიან.

"ამქარის" მთავარი მწვრთნელი ჩერნოგორიელი სპეციალისტი **მიოდრაგ ბოჟოვიჩი** გახლავთ. პერმელებმა გასულ სეზონში მოსკოვის "დინამოსთან" და "ლოკომოტივთან" ერთად 41 ქულა დააგროვეს და მე-8 ადგილზე გავიდნენ. ახალ სეზონში "ამქარი" 15 მარტს სასტარტო ტურში "ხიმკის" სტუმრად ეთამაშება.

**დავით ცაბაძე**



ლეგიონერები

# დავით სირაძე: კონტრაქტს ნალჩიკში გავაფორმებ

ნალჩიკის "სპარტაკს" ესპანური შეკრება დაუმთავრდა და **დავით სირაძე** ორი დღით თბილისში ჩამოვიდა.

*"ნალჩიკელებთან კონტრაქტი უკვე შევათანხმე. თბილისში რუსეთის ვიზის ასაღებად ჩამოვედი. ჩავალ ნალჩიკში და ნახევარწლიან კონტრაქტს გავაფორმებ. თავად გამოიჩინეს ინიციატივა და მეც საბოლოოდ გადავწყვიტე გადასვლა"* - გვითხრა საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა, რომელიც ზამთარში მეორე ბუნდესლიგის "პადერბორნიდან" წამოვიდა.

გერმანიიდან რუსეთის პროვინციაში გადასვლა იოლი გადასაწყვეტი არ იყო. დათო ამის მიზეზებსაც გვიხსნის: *"რა თქმა უნდა, დალაგებული გერმანიიდან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში გადასვლა ძნელია. თუმცა ჩემი კარიერისთვის ასე მერჩივნა. ჯერ ნალჩიკის "სპარტაკში" ვითამაშებ, შემდეგ კი მოსკოვის რომელიმე გუნდში გადაყვანით მაიმედებენ.*

*გუნდში ძალიან კარგად მიმიღეს, ჩვენიანები არიან, რასაც ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი. გავიცანი ფეხბურთელები, მწვრთნელი, რომელიც ძალიან კარგი სპეციალისტია და მასთან მუშაობა სასიამოვნო აღმოჩნდა. ამისულაშვილმა და გოგუამ ადაპტაცია გამიადვილეს. კი ვიცოდი, რომ მათ გუნდში ავტორიტეტი ჰქონდათ, მაგრამ რეალურად გაცილებით დიდ ფიგურებად თვლიან, ვიდრე ჩვენ ვიცით.*

*ახალგაზრდული გუნდია, კარგი მწვრთნელი ჰყავს და იმედია, სეზონს კარგად ჩავატარებთ. ბოლოს და ბოლოს, რუსეთის პრემიერლიგაში ბრაზილიის, უკრაინის, ხორვატიის, ჩეხეთის, აფრიკული ქვეყნების ნაკრებების ფეხბურთელები თამაშობენ და კარიერული წინსვლა მეც არ მაწყენდა."*

**მერაბ მამულაშვილი**

# ორბელაძე ზაკარპატიედან გამოუშვეს

**სერგო ორბელაძე** უჟგოროდის "ზაკარპატიედან" გამოუშვეს. ეს ინფორმაცია გუშინ "ზაკარპატიეს" ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნდა და ჩვენთვის დიდი მოულოდნელობა გამოდგა. ფეხბურთელის სამკვირიანი გასინჯვა თურქეთში დასრულდა - უჟგოროდელთა მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმირ შარანმა** ქართველ მცველს ასეთი ვერდიქტი გამოუტანა.

ეს მოულოდნელი იყო წინა ინფორმაციების ფონზე, რომელსაც ისევ და ისევ "ზაკარპატიეს" ოფიციალური ვებგვერდიდან ვეცნობოდით - სამი დღის წინათ თავად დაწერეს, ალბათ, ორბელაძე კონტრაქტს გააფორმებს, მთავარ მწვრთნელს მოეწონაო.

ახლა კი დაწერეს, რომ სერგო ორბელაძემ შარანის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა.

**მერაბ მამულაშვილი**



ზაალ ელიავა

# კაუნასელები ავსტრიელებთან დამარცხდნენ

"კაუნასი" თურქულ შეკრებას განაგრძობს. ლიტვურმა კლუბმა მორიგი საკონტროლო მატჩი ავსტრიულ "აუსტრიასთან" ჩაატარა და 2:3 დამარცხდა. ვენელთა წინააღმდეგ "კაუნასის" ორმა ქართველმა ლეგიონერმა ითამაშა - **ნუკრი მანჩხავა** ძირითად შემადგენლობაში იყო და შეცვალეს, **აკაკი ხუბუტია** კი შეცვლაზე შევიდა. "აუსტრიასთან" ვერ ითამაშა **გივი კვარაცხელიამ**, რომელიც ტრავმირებულია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ბათუმის საფეხბურთო კლუბი "დინამო" თანაგრძნობას უცხადებენ ამავე კლუბის მთავარ მწვრთნელს ავთანდილ კუნჭულიას მამის

ზურაბ კუნჭულიას

გარდაცვალების გამო.

გორის "დილასა" და თბილისის "დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე საფეხბურთო კლუბების ვეტერანი ფეხბურთელი

რევაზ მამესნარაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 28 თებერვალს გორში. გამოსვენება ცენტრალური სტადიონიდან 14 სთ-ზე.

# დელგადო აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო 2008 წლის 30 მარტს არგენტინაში იწვევს 17-18 წლის ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მაღალ დონეზე მოსამზადებლად.

მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების სრული კურსის დაძლევის შემდეგ, ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.

დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინის კლუბებში, შეეძლებათ გააგრძელონ თამაში და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის საფეხბურთო კლუბებთან.

მომზადების პროცესი ფასიანია. ასევე, ავია-ბილეთების, ადგილზე ბინის, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯებს ანაზღაურებს მსურველი ან მისი სპონსორები.

დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მსურველები უნდა გამოცხადდნენ არგენტინის წარმომადგენელთან შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ლეონიძის 4. (ყოფილი კიროვის ქუჩა, თავისუფლების მოედანთან).

მსურველთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 10 მარტიდან 22 მარტამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 13-დან-15 საათამდე,

ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 29 მარტს.

საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20



ეროვნული ბიბლიოთეკა



დავიდ ტრეზეგე

## იტალია. სერია A. XXV ტურის წინ

# ტურინული დერბი ტრეზეგეს გარეშე

**დღეს**

**იუვენტუსი–ტორინო**

ხვალ და ზეგ იტალიაში შუა კვირის ტურია, ტური, რომელმაც ძალიან ბევრი რამ შეიძლება შეცვალოს. მაგალითად, "ინტერი" მასპინძლობს "რომას", რომელსაც პირველ წრეში "ოლიმპიკოზე" პირწმინდად მოუგო (4:1). ახლა, "ჯალოროსის" მიზანი არამარტო რევანშია, არამედ უფრო მეტიც - გამარჯვების შემთხვევაში ლიდერთან ჩამორჩენას ექვს ქულამდე შეამცირებს და სერიოზულ საჩემპიონო შანსებს დაიბრუნებს. დღეს კი ტური არანაკლებ საინტერესო მატჩით, ტურინული დერბით დაიწყება.

"იუვენტუსი" მატჩს სამსაჯო სკანდალის ფონზე ხვდება. შესაძლოა, ამ ამბებმა "ქალბატონი" დააკომპლექსოს და არბიტრის თითოეულ ჩასტვენას ეჭვის თვალით შეხედოს. ამიტომ, დერბის ნორმალურ ვითარებაში წარმართვასა და ეჭვების გაფანტვას არბიტრებმაც უნდა შეუწყონ ხელი. მაგრამ **კლაუდიო რანიერის** დღეს მარტო ეს არ აღელვებს. როგორც ირკვევა, გამოჯანმრთელებას ვერ ასწრებს **დავიდ ტრეზეგე**, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდასხმაში კვლავ პრობლემები იქნება. **რაფაელე პალადინო**, ჯერჯერობით, ამხელა ტვირთს ვერ აუდის, **ვინჩენცო იაკვინტა** კი, რომელსაც ასევე ტრავმების გამო ბევრი გაუცდა, საკადრის ფორმაში ვერ არის. ასე რომ, შეტევის ძირითადი ტვირთი **პაველ ნედვედსა** და **ალესანდრო დელ პიეროს** დააწვებათ მხრებზე. გარდა ამისა, ვერ ითამაშებს საყრდენი ნახევარმცველი **კრისტიანო ძანეტიც**, რომელიც "რეჯინასთან" სკანდალურ მატჩში მოედნიდან გააძევეს. გადამეტებული პროტესტისთვის მას ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი. **ანტონიო ნოჩერინომ** კი უკვე მოიხადა ერთმატჩიანი სასჯელი და მზადაა, გუნდს დაეხმაროს.

დანაკლისი "ტორინოშიცაა". დაშავებულია ხორვატი ფორვარდი **საშა ბელანოვიჩი**. ასევე ტრავმები აწუხებთ და საეჭვოა ნახევარდაცვის ლიდერის **ეუჯენიო კორინისა** და თავდამსხმელ **ალვარო რეკობას** თამაში.

### სავარაუდო შემადგენლობები

**იუვენტუსი:** ბუფონი, სალიჰამიჯიჩი, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, კამორანეზი, სისოკო, ნოჩერინო, ნედვედი, იაკვინტა, დელ პიერო.

**ტორინო:** სერენი, კომოტო, დი ლორეტო, ნატალი, მ. პიზანო, დიანა, გრელა, ბარონე, პ. ძანეტი, სტელონე, როზინა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 24 | 18 | 6 | 0 | 49-14 | 60 |
| 2. რომა | 24 | 15 | 6 | 3 | 41-23 | 51 |
| 3. იუვენტუსი | 24 | 13 | 8 | 3 | 44-21 | 47 |
| 4. მილანი | 24 | 11 | 8 | 5 | 36-18 | 41 |
| 5. ფიორენტინა | 24 | 11 | 8 | 5 | 36-23 | 41 |
| 6. უდინეზე | 24 | 10 | 6 | 8 | 31-33 | 36 |
| 7. სამპდორია | 24 | 10 | 5 | 9 | 31-27 | 35 |
| 8. ატალანტა | 24 | 7 | 10 | 7 | 36-37 | 31 |
| 9. ჯენოა | 24 | 8 | 8 | 8 | 28-33 | 31 |
| 10. პალერმო | 24 | 8 | 7 | 9 | 32-40 | 31 |
| 11. ნაპოლი | 24 | 8 | 6 | 10 | 36-38 | 30 |
| 12. ტორინო | 24 | 4 | 14 | 6 | 27-30 | 26 |
| 13. ლაციო | 24 | 6 | 8 | 10 | 27-32 | 26 |
| 14. ემპოლი | 24 | 6 | 7 | 11 | 21-30 | 25 |
| 15. კატანია | 24 | 5 | 8 | 11 | 20-30 | 23 |
| 16. ლივორნო | 24 | 5 | 8 | 11 | 26-38 | 23 |
| 17. სიენა | 24 | 4 | 10 | 10 | 27-34 | 22 |
| 18. პარმა | 24 | 4 | 10 | 10 | 29-37 | 22 |
| 19. რეჯინა | 24 | 4 | 9 | 11 | 21-38 | 21 |
| 20. კალიარი | 24 | 4 | 6 | 14 | 19-41 | 18 |

სერია A

# კმარა! ანუ სკანდალი ისევ მსაჯობის გამო...

## ფეხბურთის ფედერაციამ არბიტრ დონდარინის შეცდომა აღიარა და ორთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. რატომ ხდება, რომ მსაჯების კეთილგანწყობით მხოლოდ ინტერი სარგებლობს?

იტალიაში სამსაჯო პრობლემებზე დებატები არ წყდება. სიტუაცია სკანდალის სახეს იღებს. ბოლო ამბავი რეჯოკალაბრიაში მოხდა, რის თაობაზეც მიმოხილვაში ჩვენც ვწერდით. საქმე ეხება "რეჯინა"-"იუვენტუსის" მატჩში მომხდარ ამბებს. უკვე დადასტურებულია, "ქალბატონს" მინიმუმ ორი ასპროცენტიანი პენალტი არ დაუნიშნეს, მაშინ, როცა, უკანასკნელ წუთზე, მასპინძლებმა დაუმსახურებელი 11-მეტრიანით გამარჯვების გოლი შეაგდეს. დაახლოებით ასეთი რამ მოხდა ორი თვის წინაც, როცა 27 ოქტომბერს "იუვენტუსმა" ნეაპოლში 3:1 წააგო. მაშინაც, ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა არბიტრ **მაურო ბერგონცის** სერია A-ში მსაჯობა ორი თვით აუკრძალა. და აი, გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, "რეჯინა"-"იუვეს" განმსჯელ **პაოლო დონდარინისაც** "ფედერკალჩომ" ანალოგიური, ორთვიანი დისკვალიფიკაცია მისცა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, გამოცდილ არბიტრს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მხოლოდ ქვედა ლიგებში ექნება პროფესიული საქმიანობის უფლება.

დავუბრუნდეთ "რეჯინა"-"იუვენტუსის" მატჩს და ვნახოთ, რა გამოხმაურება მოჰყვა სკანდალურ ეპიზოდებს. ტურინელთა მწვრთნელი **კლაუდიო რანიერი** ამტკიცებს, რომ მის გუნდს დამსახურებული 3 ქულა ჯიბიდან ამოაცალეს. რანიერის თქმით, "იუვე" ორ-სამ პენალტს მაინც იმსახურებდა. ორივე შემთხვევაში, წესები კალაბრიელთა მცველმა **ხუან ვარგასმა** დაარღვია - ჯერ **პაველ ნედვედის**, ბოლოს კი **მოჰამედ სისოკოს** წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი საჯარიმოში მაშინ წააქციეს, როცა თამაშის დასრულებამდე რამდენიმე წუთი რჩებოდა, ანგარიში კი 1:1 იყო. რა თქმა უნდა, პენალტი ასპროცენტიანი გოლი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ სტუმრებს დაწინაურების (და ალბათ, გამარჯვების) რეალური შანსი წაართვეს. ამის შემდეგ გავიდა ორი წუთი და იგივე სისოკო **ნიკოლა ამორუზოს** წინააღმდეგ წესების "დარღვევაში დაადანაშაულეს". ვეტერანმა ფორვარდმა 11-მეტრიანი უნაკლოდ შეასრულა და "რეჯინამ" 2:1 მოიგო. ცხადია, ეს დიდი ფსიქოლოგიური დარტყმაა "იუვენტუსისთვის", მით უმეტეს, რომ ანალოგიური რამ, როგორც ზემოთ ვთქვით, "ნაპოლისთან" გახმაურებულ მატჩშიც მოხდა. ის, რომ მსაჯები ისჯებიან, რა თქმა უნდა, პოზიტიური მომენტია, მაგრამ ნაგებულებს ამით ქულები არ ემატებათ. "იუვეს" ხელმძღვანელობა ფიქრობს, პრობლემა არა შეგნებულ მიკერძოებაში, არამედ არბიტრთა (აგრეთვე ლაინსმენთა) დაბალ კვალიფიკაციაშია. სწორედ ამ ფონზე, "სინიორას" პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი** სერია A-ში უცხოელ არბიტრთა მიწვევის საკითხს აყენებს:

*"არ მინდა, ცუდი რამ ვიფიქრო, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ჩემპიონატში ძალიან ბევრი აშკარა შეცდომაა, ზოგისთვის მეტად, ზოგისთვის ნაკლებად, მაგრამ შეცდომა შეცდომაა და ზარალი მარტო ქულებით არ ითვლება. სიტუაცია აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ეს ყველასთვის ნათელია და დარწმუნებული ვარ, "რეჯინა"-"იუვენტუსის" მატჩის შემდეგ ამაში ისინიც დარწმუნდნენ, ვინც პრობლემას ვერ ხედავდა. არბიტრთა კურატორმა დროულად უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მის განკარგულებაში მყოფ კორპუსს ტექნოლოგიური უპირატესობები ჰქონდეს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა სისოკოს ეპიზოდის დროს არბიტრი იქვე, ერთ მეტრში იმყოფებოდა და ყველაფერს საკუთარი თვალით ხედავდა. რეალურად, ჩვენი მსაჯების კვალიფიკაცია, ყველას არ ვგულისხმობ, მეტწილად ძალიან დაბალია. არასოდეს ვყოფილვარ უცხოელთა მოწვევის მომხრე, მაგრამ დღეს მიმაჩნია, რომ ამ მხრივ რალაც გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. დრომ გვიჩვენა, რომ ეს უკვე აუცილებელია".*

რანიერი კი გაკვირვებულია ამდენი უხეში შეცდომით ისეთი გამოცდილი მსაჯისგან, როგორიც დონდარინია: *"არ მსურს მასთან პოლემიკაში შესვლა და არც მის პროფესიულ ღირსებებზე ვმსჯელობ. ვიცი, რომ გამოცდილი და კარგი მსაჯია. მაგრამ ის, რომ ხშირად ვხდებით უსამართლობის მსხვერპლნი, ძალიან მაშფოთებს. ვეთანხმები ჩვენს პრეზიდენტს, რომელსაც სჯერა, რომ ეს ყველაფერი შეგნებულად არ ხდება. ასე რომ იყოს, "იუვეში" ერთ დღესაც არ გავჩერდებოდი. მაგრამ ეს შეღავათი არ არის. პრინციპში, უნებლიე და განზრახ დაშვებულ "შეცდომას" შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, დაბალ კვალიფიკაციასა და კრიმინალზე სხვა ორგანოებმა უნდა იმსჯელონ, მაგრამ ორივე შემთხვევაში გუნდი ზარალდება. ასე რომ, პრობლემა ნებისმიერი გზით უნდა გადაწყდეს. მაგალითად, იმ ეპიზოდთან დაკავშირებით, როცა სისოკოზე პენალტის დანიშნვა მართებდა, დონდარინიმ თქვა, ბურთი დელ პიეროს მიუგორდა და ამით მას უპირატესობა შეექმნაო. ესე იგი, ამით მან აღიარა, რომ სისოკოს წინააღმდეგ მართლაც დაირღვა თამაშის წესი. ხოლო რაც შეეხება იმ მომენტს, როცა უკვე სისოკო დაისაჯა 11-მეტრიანით, აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი ფეხბურთელი მოქმედებდა სიტუაციიდან გამომდინარე და არა იმიტომ, მის უკან მეტოქის მოთამაშე იდგა. სისოკო ყველა შემთხვევაში ასე უნდა მოქცეულიყო, ასე რომ, მისი მხრიდან შეგნებული ჯარიმა არ ყოფილა".*

### იუვე: ღია წერილი ფეხბურთის ფედერაციასა და მსაჯთა ასოციაციას

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, "იუვენტუსის" ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, ფეხბურთის ფედერაციისა და იტალიის მსაჯთა ასოციაციის სახელზე ღია წერილი გაეშანშალებინა, სათაურით - "კმარა"! წერილს ხელს აწერენ კლუბის პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი** და გენერალური მენეჯერი **ჟან-კლოდ ბლანი**. მოკლედ, იმის შესახებ, თუ რაზეა საუბარი ხსენებულ წერილში:

*"სერიოზული შეცდომების ხშირი გამეორება იძულებულს გვხდის, მოგმართოთ თქვენ და მოვითხოვოთ სამსაჯო საქმეში ჩარევა, რათა ამ მხრივ ყველაფერი გარანტირებული იყოს. იგულისხმება ის, რომ ფეხბურთის ფედერაცია უნდა იყოს გარანტი და ძირითადი დამცველი პროფესიონალი მოთამაშეების, მწვრთნელებისა და კლუბის ხელმძღვანელთა უფლებების... მსაჯების ზოგიერთი გადაწყვეტილება, რბილად რომ ვთქვათ, უამრავი ადამიანის ეჭვებს აღძრავს. ეს იმას ნიშნავს, რომ პრობლემა სერიოზულია და ყურადღებას იმსახურებს. ჩვენი კლუბი დაინტერესებულია იმაში, რომ ამ პრობლემების განხილვა მოხდეს დროულად და სიტუაციისდა ადეკვატურად. წარმოუდგენელია, "იუვენტუსი" მუდმივად იხდიდეს იმის საფასურს, რაც ერთხელ უკვე ძალიან ძვირად დაუჯდა".*

ამ წერილსა და სხვა კომენტარებს გუშინვე გამოეხმაურა "ინტერის" გენერალური მენეჯერი **ერნესტო პაოლილო**, რომელმაც ტურინულ მხარეს მსაჯებზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაში დასდო ბრალი. "ნერაძურისკენ" კი სხვები იშვერენ ხელს, აქაოდა, ჩემპიონს დაუმსახურებული პენალტებით ასაჩუქრებენო. საამისო მაგალითები ყველამ თვალნათლივ იხილა "პარმასთან" და "სიენასთან" მატჩებში, როცა თვით **პიერლუიჯი კოლინამაც** ვერ დამალა, რომ არბიტრები, ორივე შემთხვევაში, "ინტერის" სასარგებლოდ "შეცდნენ". თუმცა ფაქტია, რომ არც ერთი მათგანი არ დასჯილა.



კლაუდიო რანიერი რეჯინასთან მატჩის შემდეგ

გვეჩვენება, რომ აქ ერთგვარ სინდრომთან გვაქვს საქმე. ეს არის მოჩვენებითი პრინციპულობა, როცა არბიტრები ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ "იუვენტუსი" მათთვის ავტორიტეტი არ არის და ისევე უნდა ისჯებოდეს (დამსახურებულად, ცხადია), როგორც სხვა კლუბები. ეტყობა, ისინი ზედმეტად ინდომებენ, ხოლო ფეხბურთის ფედერაცია, იმის შიშით, რომ "იუვენტუსის" ხელოვნურად ჩაძირვა არ დაბრალდეს, კლუბის ნებისმიერ ნეგატიურ რეაქციას მყისიერად ეხმაურება და არბიტრთა მიმართ დამსჯელ ზომებს იღებს. ეს არის სწორედ "კალჩოპოლის სინდრომი", რაც ბევრისთვის, ჯერჯერობით, ძნელი დასაძლევია.



ადრიან მუტუ ოთხი კვირა დაისვენებს

ფიორენტინა

# მუტუს ტრავმა, პრანდელის განგაში

"რომასთან" საკვირაო მატჩში **ადრიან მუტუ** მეტოქის მეკარე **ალეშანდრე დონის** შეეჯახა და სერიოზული ტრავმა მიიღო. კვირას ჩატარებულმა გამოკვლევამ დაზიანების სიმძიმე სრულად ვერ აჩვენა. გუშინ, რუმინელ ფორვარდს დეტალური ტესტი ჩაუტარდა და გაირკვა, რომ მარცხენა მუხლის შუალედურ მყესებზე მეორე ხარისხის ტრავმა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ 29 წლის თავდამსხმელს მინიმუმ ოთხი კვირა, ანუ ერთი თვე გაუცდება. ასეთია ექიმების დასკვნა.

**ჩეზარე პრანდელისთვის** ეს განგაშის ტოლფასია. მუტუ "ფიორენტინის" პირველი ბომბარდირია, ამავე დროს, სერია A-ს მთავარმეგოლეობისთვისაც იბრძვის (14 გოლი 21 მატჩში). ცხადია, როცა მკურნალობის პერიოდი დასრულდება, გარკვეულ დროს აღდგენითი პროცესიც წაილებს, შესაბამისად, მუტუს რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩი გაუცდება. ის არ იქნება ყოფილ კლუბ "იუვენტუსთან" შეხვედრაში, ვერ დაეხმარება გუნდს "ევერტონთან" საუეფასთასო მერვედფინალებში, ასევე გამოტოვებს "ლივორნოსთან", "სიენასა" და "ჯენოასთან" მატჩებს...

სწორედ ეს არის პრანდელის პრობლემა. ფაქტია, რომ ახალგაზრდა **ჯანპაოლო პაცინი** არაშთამბეჭდავ სეზონს ატარებს. **კრისტიან ვიერი** კი მხოლოდ მეორე ტაიმში გამოდის სათამაშოდ და, ჯერჯერობით, ვერ შეძლო ძველი კონდიციების აღდგენა. "ჯენოადან" მოსული **პაპა ვაიგოც** არ არის ის ფიგურა, რომელიც მუტუს შეცვლის. ახალგაზრდა არგენტინელი **პაბლო ოსვალდო** კი სერია A-ს დონემდე ვერ გაიზარდა.

მაგრამ მაინც, ახლა მთელი სიმძიმე ვიერისა და პაცინის დააწვებათ. რამდენად შეძლებს ეს წყვილი ამ ერთი თვის გადატანას, ამას დრო გვიჩვენებს. ამასობაში კი, "ფიორენტინამ" შეიძლება მნიშვნელოვანი ქულები დაკარგოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა




ლუიშ ფაბიანო შეიძლება ნისლიან ალბიონზე გაემგზავროს

მანჩესტერ იუნაიტედი. ტრანსფერები

# ლუიშ ფაბიანო 11 მილიონად

## გაჯიუტებული ევრა შეიძლება ფილიპ ლამმა შეცვალოს

"სანდი მეილის" ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედს" სევილიელი თავდამსხმელის, **ლუიშ ფაბიანოს** შეძენა სურს. ამ ფეხბურთელს "მანჩესტერ სიტიც" ეპატიჟება. "იუნაიტედის" სკაუტები პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურის მატჩს დაესწრნენ. "სევილიამ" "სარაგოსას" უმასპინძლა და მიწასთან გაასწორა ის, 5:0. ლუიშ ფაბიანომ დუბლი შეასრულა. მიმდინარე სეზონში მის აქტივში უკვე 19 გოლია. ლუიშ ფაბიანო ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ.

ფეხბურთელი 27 წლისაა. "მენიუ" მას გასულ ზაფხულსაც აკვირდებოდა.

"მანჩესტერმა" საბოლოოდ ვესტჰემელი **კარლოს ტევესი** შეიძინა, თუმცა ფაბიანოს მიმართ ინტერესი არ განელებია. ფეხბურთელი 11 მილიონი ევრო ღირს. ანდალუსიელები მისი სატრანსფერო უფლებების მხოლოდ ნახევარს ფლობენ. მეორე ნახევარი კომპანია "მედია სპორტს ინვესტმენტის" საკუთრებაა. ის "სევილიაში" 2005 წელს, "პორტუდან" გადავიდა და 106 მატჩში 51 გოლი შეაგდო.

იმავე წელს ბოროტმოქმედებმა ლუიშ ფაბიანოს დედა მოიტაცეს. ის 61 დღის განმავლობაში დატყვევებული ჰყავდათ. კრიმინალები ფეხბურთელისგან გამოსასყიდს ითხოვდნენ. მძევლის გათავისუფლების შემდეგ ფაბიანომ უპასუხოდ დატოვა კითხვა, ფული გადაიხადა, თუ საქმეში პოლიცია ჩაერია. მიმომხილველები შიშობენ, რომ "მანჩესტერში" ტრანსფერის შემთხვევაში, ფაბიანოს ოჯახის წევრებს კვლავ საფრთხე დაემუქრებათ.

დავუბრუნდეთ "იუნაიტედის" სატრანსფერო გეგმებს. "ეშმაკები" "ბაიერნის" მარცხენა მცველით, **ფილიპ ლამით** დაინტერესდნენ. გერმანელ ვარსკვლავზე "ბარსელონაც" აცხადებს პრეტენზიას. კატალონიელებს ლამი იტალიელი ვეტერანის **ჯანლუკა ძამბროტას** შემცვლელად სჭირდებათ. "მანჩესტერში" კი ის **პატრის ევრას** შემცვლელად შეიგულეს. "მენიუმ" ფრანგ მცველს ახალი კონტრაქტი შესთავაზა. მას პირობები არ მოეწონა. ევრამ ისეთივე ანაზღაურება მოითხოვა, როგორიც **კრისტიანო რონალდოს, უეინ რუნისა** და **რიო ფერდინანდს** აქვთ. "მანჩესტერმა" ფეხბურთელს უარი უთხრა. პატრისი გაჯიუტდა. ზაფხულის ტრანსფერებისას მას გუნდიდან აბარგება ემუქრება. ლამს "ბაიერნთან" კონტრაქტი 2011 წელს უმთავრდება. მიუნხენელებმა მას უკვე შესთავაზეს ხელშეკრულების გაგრძელება.




პრინცი პოლდი იურგენის ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელია

ბაიერნი

# კლინსმანს პოდოლსკი სჭირდება

## ზე რობერტოს ვუკოევიჩი შეცვლის?

**იურგენ კლინსმანი ლუკას პოდოლსკის** გაშვებას არ აპირებს. 22 წლის თავდამსხმელი "ბაიერნში" 2006 წლის მუნდიალის შემდეგ ჩაირიცხა. ის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს. ამ სეზონში მიუნხენელთა ძირითადში **ლუკა ტონი** და **მიროსლავ კლოზე** ასპარეზობენ. **ოტმარ ჰიტცფელდმა** პოლდი თადარიგში გაამწესა. მან მხოლოდ 13-ჯერ ითამაშა, აქედან 11-ჯერ - შეცვლაზე. გერმანელმა მიმომხილველებმა მისი აბარგება იწინასწარმეტყველეს. იანვრის ტრანსფერებისას პოდოლსკის "შტუტგარტში" ან "მანჩესტერ სიტიში" გადასვლას ვარაუდობდნენ, მაგრამ ფეხბურთელი "ალიანს არენაზე" დარჩა. "ბაიერნის" გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** ამბობს, რომ მისი ტრანსფერის საკითხი საერთოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან. *"მას (კლინსმანს) სურს, რომ პოდოლსკი დარჩეს. ამიტომ დაინტერესებული კლუბები უარით გავისტუმრეთ,"* - განუცხადა ენაჭარტალა ულიმ "ზუდოიჩე ცაიტუნგს". პოლდის კონტრაქტი 2010 წელს იწურება. ლუკასს შთამბეჭდავი სანაკრებო აქტივი აქვს: 44 მატჩში 24 გოლი. ის კლინსმანის ერთ-ერთ საყვარელ ფეხბურთელად მიიჩნევა.

აქვე გეტყვით, რომ "ბაიერნი" ზაგრების "დინამოსა" და ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველ **ოგნიენ ვუკოევიჩით** დაინტერესდა. ფეხბურთელი 24 წლისაა. მიუნხენელები მას ვეტერანი ბრაზილიელის, **ზე რობერტო** შემცვლელად მიიჩნევენ. ზე რობერტო "ბაიერნში" გასულ ზაფხულს დაბრუნდა. სეზონის დასრულებისთანავე ის ამერიკაში გამგზავრებას გეგმავს. ვუკოევიჩის შესაძლო ტრანსფერის ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა.

ინტერი

# მანჩინის პოზიციები ირყევა?

## გახშირებული კონფლიქტები ნერაძურის ბანაკში და სპეკულაციები მოურინიოს შესახებ

**რობერტო მანჩინის** პრობლემები აქვს. გასულ უქმეებზე "ინტერი" "სამპდორიას" ესტუმრა. შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. ორი ქულის განიავების მიუხედავად, მილანელები ერთპიროვნული ლიდერები არიან. ჩემპიონატის დასრულებამდე 14 ტურით ადრე ისინი მეორე ადგილზე მყოფ "რომას" 9 ქულით აღემატებიან. გენუური მატჩის 81-ე წუთზე მანჩინიმ **პატრიკ ვიეირა მანიშეთი** შეცვალა. ფრანგი ნახევარმცველი ისე აღშფოთდა, რომ მინდვრიდან გასვლისას მწვრთნელს ხელი არ ჩამოართვა, წყლით სავსე ბოთლებს ფეხი ამოჰკრა და სკამზე დაჯდა.

რამდენიმე დღით ადრე "ინტერის" ბანაკში კიდევ ერთი უსიამოვნება მოხდა. **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და **მარკო მატერაცი** სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდნენ ერთმანეთს. ამ კონფლიქტზე ვრცელი კომენტარები არ გაკეთებულა. "სამპდორიასთან" ნამატჩევს მანჩინის ვიეირას შესახებ ჰკითხეს. მწვრთნელმა პასუხს თავი არ აარიდა: *"პატრიკთან პრობლემა არ მაქვს. შეუძლია, სახლში წავიდეს და გაგრილდეს. სკამზე ჯდომისას სხვა, უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე ვფიქრობ. მაგალითად, "რომასთან" მოახლოებულ მატჩზე. ვიეირას და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს გაფრთხილების შემთხვევაში, მომდევნო შეხვედრის გამოტოვება ემუქრებოდათ. პატრიკს ეს არ ახსოვდა. სამაგიეროდ, მე მახსოვდა და ამიტომაც შევცვალე. არა მგონია, მომხდარის დრამატიზება იყოს საჭირო. ვიეირამ ძალიან კარგად ითამაშა, იმაზე უკეთ, ვიდრე ველოდი."*

მანჩინი იხტიბარს არ იტეხს, მაგრამ "ნერაძურიში" მომრავლებული კონფლიქტები ბუნებრივად ბადებს კითხვებს: აკონტროლებს თუ არა მწვრთნელი სიტუაციას? ემორჩილებიან თუ არა მას ფეხბურთელები? თუ ამ კითხვებზე პასუხი უარყოფითია, გამოდის, რომ "ინტერში" არანორმალური ვითარება ყოფილა. წესით, პრეზიდენტ **მასიმო მორატის** ასე გაგრძელება არ უნდა სურდეს. მიმომხილველთა აზრით, ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემთხვევაში, მანჩინის პოზიციები საგრძნობლად შეირყევა. "ლივერპულთან" პირველ მერვედფინალურ მატჩში "ინტერმა" ორი უპასუხო გოლი გაუშვა. მილანელთა გავარდნის ალბათობა საკმაოდ დიდია.



რობერტო მანჩინიმ ინტერი ლიგის მომდევნო ეტაპზე უნდა გაიყვანოს

ამ თემას ეხმაურება "ელ მუნდო დეპორტივო". ესპანური ტაბლოიდი ვარაუდობს, რომ მომავალი სეზონიდან "ინტერში" **ჟოზე მოურინიო** იმუშავებს. განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს "მარკა". მის თანახმად, მოურინიო "ბარსელონის" დირექტორებს, **ჩიკი ბეგირისტაინსა** და **მარკ ინგლას** შეხვდა. მხარეებმა ახალი სამწვრთნელო შტაბის შემადგენლობა განიხილეს. მოურინიოს ასისტენტებად **პეპ გუარდიოლა** და **ლუის ენრიკე** შესთავაზეს. გუარდიოლა ბარსელონელთა ახალგაზრდული გუნდის თავკაცია. ჟოზე მათ იმ დროიდან იცნობს, როცა "ბარსელონაში" **სერ ბობი რობსონის** თანაშემწედ მოღვაწეობდა.

## დავიდსი მიდის

"აიაქსის" კაპიტანი **ედგარ დავიდსი** პენსიაში გასვლას აპირებს. 34 წლის ნახევარმცველმა პროფესიული კარიერა შორეულ 1991 წელს, ამსტერდამულ გრანდში დაიწყო და 1995 წელს ჩემპიონთა თასი მოიპოვა. 1996 წელს დავიდსმა "მილანს" მიაშურა, 1997 წელს "იუვენტუსში" ჩაირიცხა და შვიდი სეზონის განმავლობაში 159 მატჩში 8 გოლი შეაგდო. ედგარმა 2004-05 წლები "ინტერში" გაატარა, 2005-07 წლები - "ტოტენჰემში". გასულ ზაფხულს კი მშობლიურ კლუბში დაბრუნდა. მიმომხილველები ფეხბურთელის გადაწყვეტილებას "აიაქსში" **მარკო ვან ბასტენის** დანიშვნით ხსნიან. ჰოლანდიის ნაკრების თავკაცმა ამსტერდამელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 2006 წელს ვან ბასტენმა დავიდსი სამუნდიალო განაცხადში არ შეიყვანა. ფეხბურთელმა მწვრთნელს ღია წერილი გაუგზავნა და მკაცრად გააკრიტიკა. მისი სანაკრებო კარიერა იმ დღეს დასრულდა. ფეხბურთელმა ეროვნულ გუნდში 11 წელი (1994-2006) იასპარეზა და 74 მატჩში 6 გოლის გატანა მოახერხა.

## გარაი: რეალისა და ბარსელონის სამიზნე

"ასის" ცნობით, სანტანდერის "რასინგის" ცენტრალური მცველით, ესეკილ გარაით "რეალი" დაინტერესდა. 21 წლის არგენტინელს "ბარსელონაც" ეპატიჟება. მიმომხილველები საინტერესო სატრანსფერო დაპირისპირებას ელიან. ფეხბურთელი 17 მილიონი ევრო ღირს. "რასინგი" ყველა ღონეს ხმარობს გარაის შესანარჩუნებლად, მაგრამ გრანდების წინაშე უძლურია. ბარსელონელებს ალტერნატიული კანდიდატიც მოძიებული ჰყავთ. ესაა მათი ყოფილი აღსაზრდელი **ხერარდ პიკე**, რომელიც "მანჩესტერ იუნაიტედის" საკუთრებაა, მაგრამ დროის უმეტეს ნაწილს სათადარიგოთა სკამზე ატარებს.

## ვინ გაწვრთნის ჰამბურგს?

"ბილდის" ცნობით, "ჰამბურგს" გაისადაც ჰოლანდიელი სპეციალისტი უხელმძღვანელებს. გუნდის დღევანდელი თავკაცი **ჰუუბ სტევენსი** "ეინდჰოვენში" მიდის. გერმანული ტაბლოიდი იუწყება, რომ მის ადგილზე "ტვენტეს" დამრიგებელი **ფრედ რუტენი** დაინიშნება. რუტენს დღევანდელი კონტრაქტი 2009 წელს ეწურება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰამბურგელებს მისი გამოსყიდვა მოუწევთ. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია. "კიკერი" გვაუწყებს, რომ ჰამბურგელები სხვა კანდიდატურებსაც განიხილავენ. ისინი "მაინცისა" და "ბაზელის" მთავარი მწვრთნელებით, **იურგენ კლოპითა** და **კრისტიან გროსით** დაინტერესდნენ. კლოპს ზალცბურგის "რედ ბულიც" ეპატიჟება.

## ვიდუკა კიგანის წინააღმდეგ

"ნიუკასლის" პრესსამსახურმა კატეგორიულად უარჰყო ინფორმაცია მთავარ მწვრთნელ **კევინ კიგანსა** და თავდამსხმელ **მარკ ვიდუკას** შორის არსებული უთანხმოების შესახებ. ავსტრალიელ თავდამსხმელს "მანჩესტერ იუნაიტედთან" ბოლო ტურის მატჩში არ უთამაშია. უფრო მეტიც, ის განაცხადშიც კი არ შეუყვანიათ. ოფიციალური მიზეზი ფეხბურთელის ტრავმაა. "სანმა" კი გვაუწყა, რომ ვიდუკა კიგანთან კონფლიქტის გამო დაისაჯა. "ნიუკასლმა" შეხვედრა 1:5 წააგო. **კევინ კიგანის** დანიშვნის შემდეგ ჯორდებს ერთი მატჩიც კი არ მოუგიათ. "მანჩესტერთან" ნამატჩევს კიგანმა აღიარა, რომ მის გუნდს პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწევს ბრძოლა.



გუუს ჰიდინკი

მწვრთნელი

# გუუს ჰიდინკი: რუსეთში 2010 წლამდე

## ის აიაქსის ტექნიკურ დირექტორად არ იმუშავებს, ამსტერდამში რეორგანიზაცია დასასრულს უახლოვდება...

**რუსეთის** საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ **გუუს ჰიდინკი**, შეიძლება, პენსიაში გავიდეს. ჰოლანდიელი სპეციალისტი 61 წლისაა. ის რუსეთს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე უხელმძღვანელებს: *"შესაძლოა, აქტიურ სამწვრთნელო მოღვაწეობაზე უარი თქვა და რომელიმე კლუბის ან ნაკრების კონსულტანტობას დავთანხმდე. ჯერ არ გადამიწყვეტია. არც იმას გამოვრიცხავ, ეჭვიანი მოხუცივით სულმა წამძლიოს და კიდევ რომელიმე შეთავაზებას დავთანხმდე. ჩემი საქმე ძალიან მომწონს. ახალგაზრდებთან ურთიერთობა ენერგიას მმატებს. მათთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება მუშაობის გასაგრძელებლად დიდი სტიმულია. სპეკულაციები? ეს ფეხბურთის თანამდევი მოვლენაა. სპეკულაციებს ვერ გამოლევ და ვერც აღკვეთავ. ამიტომ მინდა, ერთმნიშვნელოვნად განვაცხადო: მომდევნო ორ წელს რუსეთის ნაკრებში გავატარებ, შემდეგ არ ვიცი, რა იქნება."* უკანასკნელი ინფორმაციით, ჰიდინკს "აიაქსის" ტექნიკური დირექტორობა შესთავაზეს, თუმცა მწვრთნელის კომენტარმა ამ სპეკულაციას წერტილი დაუსვა. "აიაქსში" მასშტაბური რეორგანიზაცია მიმდინარეობს. კლუბის მრჩევლად **იოჰან კრუიფი** დაინიშნა. მისი რეკომენდაციით, ამსტერდამელებმა მთავარ მწვრთნელად **მარკო ვან ბასტენი** მიიწვიეს. ჰოლანდიის ნაკრების თავკაცმა აიაქსთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ის მუშაობას ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე შეუდგება. ვან ბასტენის ასისტენტებად **ჯონ ვანტ სხიპი** და **რიხარდ ვიჩგე** იმუშავებენ.

ტრავმა

# ედუარდო: მინიმუმ ერთი წელი შვებულებაში

## ხორვატი თავდამსხმელის ტრავმამ ინგლისელებს პრემიერლიგის ყველა უმძიმესი ეპიზოდი გაახსენა...

"ბირმინგემი"-"არსენალის" მატჩის დასრულებისთანავე მასპინძელთა ცენტრალური მცველი **მარტინ ტეილორი** სელი ოუკის ჰოსპიტალში გაემგზავრა. იქ მის მიერ საშინლად დამტვრეული **ედუარდო და სილვა** მოათავსეს. ბირმინგემელ ფეხბურთელს მეტოქის ნახვა და ბოდიშის მოხდა სურდა. მან ეს ვერ მოახერხა, რადგან ედუარდო საოპერაციოში იყო შეყვანილი. ურთულესმა ოპერაციამ რამდენიმე საათს გასტანა. ექიმებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, ედუარდო ერთი წელი ვერ ითამაშებს. ტეილორი სელი ოუკს მეორე დილასაც ეწვია. ის ედუარდოს შეხვდა და მომხდარის გამო გულწრფელი სინანული გამოთქვა. ტეილორმა საავადმყოფო უკომენტაროდ დატოვა. ორიოდე საათის შემდეგ "არსენალის" პრესსამსახურმა ხორვატი ლეგიონერის განცხადება გაავრცელა. აი, ისიც: *"მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, ტრავმა მოვიშუშო და ძველებური შემართებით დავუბრუნდე მინდორს. ინციდენტის დეტალები არ მახსოვს. არა მგონია, ვიდეოჩანაწერის, ანდა სურათების ნახვა მომინდეს. მახსოვს, როცა დავეცი, ფეხს დავხედე. ის მეორე მხარეს იყოს შებრუნებული. ჩემს გონებაში სხვა ყველაფერი ბუნდოვანია. სამწუხაროა, რომ ეს შემემთხვა, მაგრამ რას ვიზამთ. ფეხბურთისთვის ასეთი ტრავმები უჩვეულო არ არის. არ ვიცი, რამდენ ხანს ვერ ვითამაშებ. მხოლოდ ის ვიცი, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავემგზავრები. ყველაფერს ვილონებ, რომ სწრაფად გამოვჯანმრთელდე."* გუშინ, ედუარდო ბირმინგემიდან ლონდონში გადაიყვანეს. ის რამდენიმე დღეს საავადმყოფოში გაატარებს.

ედუარდოს ტრავმა ერთ-ერთი უმძიმესია, რომელიც პრემიერლიგის მაყურებელს უნახავს. "მირორმა" ყველა გახმაურებული ტრავმის ისტორია გაიხსენა.

**დევიდ ბასტი.** "ქოვენთრი სიტის" მცველი 1996 წელს, "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩისას დაშავდა. ის **დევიდ ირვინს** შეეჯახა და ფეხის ორივე ძვალი გაიტეხა. მოტეხილობა იმდენად შემზარავი იყო, რომ ძვალმა კანი გაგლიჯა და გარეთ გამოვიდა. "მანჩესტერის" მეკარეს, **პეტერ შმაიხელს** თავბრუ დაეხვა და კინაღამ გული შეუწუხდა. ბასტის მინდვრიდან გაყვანის შემდეგ მინდორი მოსარეცხი გახდა, რადგან სისხლით იყო მოსვრილი. მას პროფესიული ფეხბურთი აღარ უთამაშია.

**ლუკ ნილისი.** "ასტონ ვილის" ბელგიელი თავდამსხმელი 2000 წლის სექტემბერში, "იფსვიჩთან" მატჩისას დაშავდა. ის მეტოქის კარისკენ მიემართებოდა, როცა მცველებმა ფეხი ჩაუდგეს. ნილისს ორივე ძვალი გადაემსხვრა. 2001 წლის იანვარში ლუკმა ფეხბურთს თავი დაანება.

**ჯიბრილ სისე.** "ლივერპული" თავდამსხმელი 2004 წლის ოქტომბერში, "ბლექბერნთან" მატჩისას დაიმტვრა. მას **ჯეიმს მაკევილი** ეუხეშა. ჯიბრილსაც ორმაგი მოტეხილობა ჰქონდა. მასაც ერთწლიანი შვებულება უწინასწარმეტყველეს, მაგრამ სისე მოსალოდნელზე სწრაფად გამოჯანმრთელდა და 2005 წლის აპრილში, "იუვენტუსთან" ჩემპიონთა ლიგის განმეორებით მეოთხედფინალში ითამაშა.

**ჰენრიკ ლარსონი.** "სელტიკის" თავდამსხმელი 1999 წლის ოქტომბერში, "ლიონთან" უეფას თასის მატჩისას დაშავდა. ორმაგი მოტეხილობის მიუხედავად, ჰენრიკი სწრაფად გამოჯანმრთელდა და "სელტიკიდან" წასვლამდე 242 გოლის გატანა მოასწრო. ეს გლაზგოური კლუბის ყველა დროის საუკეთესო შედეგია.

**ალფ ინგე ჰაალანდი.** "მანჩესტერ სიტის" ნორვეგიელი მცველი 2001 წლის აპრილში, მანჩესტერულ დერბიში დაიმტვრა. **როი კინმა** მას მუხლში გაშლილი ფეხი უთავაზა. ჰაალანდს რამდენიმე ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მინდორზე დაბრუნება ველარ მოახერხა. ჰაალანდი ფეხბურთს 2003 წლის ზაფხულში გამოეთხოვა. მოგვიანებით, კინმა ავტობიოგრაფიულ წიგნში აღიარა, რომ მეტოქე განზრახ დაამტვრია. 1997 წელს, იმხანად "ლიდსში" მოთამაშე **ჰაალანდთან** ორთაბრძოლისას კინმა მძიმე ტრავმა მიიღო და სეზონის ბოლომდე ჩამოშორდა მინდორს. ირლანდიელმა მეტოქეს სამაგიერო ასე ბინძურად გადაუხადა.

**სტენ კოლიმორი.** ის "ლესტერის" ღირსებას იცავდა, როცა 2000 წლის აპრილში "დერბისთან" მატჩისას ფეხი მოიტეხა. მოტეხილობა იმდენად მძიმე იყო, რომ ფეხბურთელს ჟანგბადის ნიღაბი დასჭირდა. მას ექვსი წუთის განმავლობაში ამზადებდნენ, რათა საკაცეზე დაეწვინათ და საავადმყოფოში გადაეყვანათ.

**ალან სმითი.** "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი თავდამსხმელი "ლივერპულთან" ასოციაციის თასის მეხუთე რაუნდის მატჩისას დაშავდა. მას არავინ შეჯახებია. სმიტმა **ჯონ არნე რიისეს** დარტყმას ფეხი აუფარა. ალანს ბურთი ისეთი ძალით მოხვდა, რომ ფეხი ორ ადგილას გადაუტეხა. მან შვიდთვიანი იძულებითი შვებულება აიღო.

**კირონ დაიერი.** "ვესტ ჰემის" ნახევარმცველი აგვისტოში, ლიგის თასის მეორე რაუნდში "ბრისტოლ როვერსთან" მატჩისას დაშავდა. მას მეტოქის მცველი, **ჯო იაკობსონი** ეუხეშა. ჯენასმა ორგან მოიტეხა ფეხი და დღემდე მკურნალობს.







ბუნდესლიგა

# ბუნდესბომბარდირთა ნაკვალევზე

## ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გერმანიის ჩემპიონატის გოლეადორთა სიას ვარსკვლავები უდგანან სათავეში...



ლუკა ტონიმ ბუნდესლიგა
სადებიუტო სეზონშივე დაიპყრო

**წლეულს, დიდი ხნის შესვენების შემდეგ ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაში ისეთი ფეხბურთელები მონაწილეობენ, რომელთათვისაც სიტყვა „სუპერი" შეიძლება გამოიყენო: ტონი, კლოზე, დიეგო, ვან დერ ვაარტი, გომესი. ამ სიასთან ახლოს ტრიალებენ ხორვატიის ნაკრების თავდამსხმელები, ივიცა ოლიჩი და მლადენ პეტრიჩიც, რომელთა სტაბილურობის გათვალიწინებით, შეიძლება მათ მაღალ სათამაშო კლასზე საუბარიც. ახლა თქვენი ნებართვით გადავხედოთ იმ ბომბარდირების სიას, რამაც საფუძველი მოგვცა გვეთქვა, რომ ის, რაც წელს ხდება, იმედისმომცემია გერმანული ფეხბურთის გულშემატკივართათვის, რადგან მანამდე ბომბარდირთა დავაში ძირითადად ისეთი ფეხბურთელები იმარჯვებდნენ, რომელთა კლასში ეჭვის შეტანა მათივე ტრიუმფის წელს შეგეძლო, ხოლო მომდევნო სეზონში ეს ეჭვი მართლდებოდა ხოლმე. ბოლო წლების გოლეადორებში მხოლოდ მიროსლავ კლოზე განაგრძობს სტაბილურად გოლების გატანას. სხვები თითქმის უკვალოდ ჩაიძირნენ.**

2001 წლის ზაფხულში დორტმუნდის "ბორუსიამ" ბუნდესლიგისთვის რეკორდული თანხა გადაიხადა "უდინეზეს" ბრაზილიელ თავდამსხმელ **მარსიო ამოროზოში**. ფეხბურთელს საუკეთესო ბომბარდირის ტიტული იტალიაში ჰქონდა მოგებული და სულაც არ იყო გასაკვირი, რომ მან ეს გერმანიაშიც მოახერხა, გაიტანა რა 18 გოლი, გაიყო პირველ-მეორე ადგილები "მიუნხენ 1860-ის" ფორვარდ **მარტინ მაქსთან** ერთად. ამ წარმატების შემდეგ ბრაზილიელის კარიერა დაღმა წავიდა, არადა, იმ მომენტისთვის ფეხბურთელი სწორედ იმ ასაკის პიკში იყო, როცა საუკეთესო ფეხბურთი უნდა ეთამაშა, 26 წლის გახლდათ. მან "დორტმუნდში" ერთი-ორი საშუალო სეზონი კიდევ ჩაატარა და წავიდა. წავიდა სკანდალით. მას რეგულარული პრობლემები ჰქონდა დისციპლინასთან დაკავშირებით - მუდმივად აგვიანებდა შვებულებიდან კლუბში დაბრუნებას. ერთი სიტყვით, მარსიომ მოახერხა და ჯერ კიდევ ჯანღონით აღსავსემ ამბიციურ კარიერას წერტილი დაუსვა. მისით რამდენჯერმე კიდევ დაინტერესდნენ გრანდები, "მილანმა" მიიწვია კიდეც, მაგრამ ტყუილუბრალოდ. ამა წლის იანვარში მან ბერძნულ "არისთან" 1.5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

2001 წელს, "ბოხუმმა" ესპანური პასპორტის მქონე ნაკლებადცნობილი დანიელი ფორვარდი **ტომას კრისტიანსენი** შეიძინა. ეს ტრანსფერი გერმანიაში ყველას შეუმჩნეველი დარჩა. სულ ტყუილად. მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე "ბოხუმმა" სწორედ მისი დახმარებით მოახერხა უმაღლეს ლიგაში აღზევება და ფეხბურთელს, მეტი რომ არ ვთქვათ, შემდეგ არც ბუნდესლიგაში შეურცხვენია თავი. 2002-03 წლების სეზონში მან ბაიერნელ **ჯოვანი ელბერთან** ერთად ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში 21 გატანილი გოლით გაიმარჯვა. ალბათ ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ 30 წლის ფორვარდის თამაში ყველასთვის აბსოლუტურ სიურპრიზად იქცა. უმალ ამ წარმატების შემდეგ ის მოკრძალებული "ბოხუმიდან" უკეთესი ფინანსური რესურსების მქონე "ჰანოვერში" გადაბარგდა. ახალ გუნდში მას საკმაოდ რთული მისია დაეკისრა - მას **ფრედი ბობიჩი** უნდა შეეცვალა. მისდა სამწუხაროდ, მან დავალებას თავი ვერ გაართვა. "ჰანოვერში" მის ანგარიშზე სულ 9 გოლი ჩაიწერა, რისი ძირითადი მიზეზებიც გაუთავებელი ტრავმები გახდა. 2006 წელს კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ხანშიშესულ დანიელთან კონტრაქტი აღარ გაეფორმებინა.

პირველად, როცა **აილტონ და სილვა** ბრემენში ჩავიდა, ფეხბურთის გულშემატკივრებმა, ფეხბურთზე მწერალმა ჟურნალისტებმა გაოცებისგან ხმა ვერ ამოიღეს. ეს ფეხბურთელი აღნაგობით სულაც არ ჰგავდა ფეხბურთელს. უფრო მოჭიდავეს, ან სუმოისტს მოგაგონებდათ. პირველმა სეზონმა თითქოს ეჭვები გაამართლა. ბრაზილიელი მოედანზე მოუხეშავი ჩანდა. მის თამაშში სულაც ვერ შენიშნავდით მისი თანამემამულეებისთვის აგრერიგად დამახასიათებელ თამაშის სიმსუბუქეს. თუმც 1999-2000 წლებიდან დაწყებული, აილტონმა დაიწყო მასზე ბოსების მიერ გაცემული ავანსის გამართლება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი კარიერის პიკი იყო 2003-04-ის სეზონი. "ვერდერთან" ერთად მან მოახერხა გერმანიის ჩემპიონატისა და თასის მოპოვება, რაშიც მისი, **ჟოან მიკუსთან** ერთად, ლომის წილი იდო. აილტონის ანგარიშზე 28 გოლი დაგროვდა. ის გახდა პირველი არაგერმანელი, ვინც ჟურნალისტებმა გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. **სტეფან შაპუიზასა** და და ჯოვანი ელბერის შემდეგ მესამე ლეგიონერი გახდა, ვინც ბუნდესლიგაში 100 გოლზე მეტის გატანა მოახერხა. ამხელა ტრიუმფის შემდეგ მას ამბიციაც კი გაუჩნდა, რომ ბრაზილიის ნაკრებში ეთამაშა... მაგრამ მის ოცნებას ახდენა არ ეწერა. მან გარისკა, სათამაშოდ "შალკეში" წავიდა და კარიერა ნააგო. გერმანიის შემდეგ მან თამაში მოასწრო სერბეთში, თურქეთში, შვეიცარიაში, იქამდე ვიდრე 2007 წლის ივლისში ისევ გერმანიას არ დაუბრუნდა - ამჯერად აუტსაიდერ "დუისბურგში", თუმცა აქაც კი ვერ იგუეს მისი ჭირვეული ხასიათი და სტაბილური უდისციპლინობა. "დუისბურმა" მას კონტრაქტი ცალმხრივად შეუწყვიტა.

2003 წელს "ნიურნბერგმა" დღევანდელი სატრანსფერო ბაზრისთვის სასაცილო თანხად, სულ რაღაც 100 ათას ევროდ სლოვაკური "ჟილინიდან" **მარეკ მინტალი** შეიძინა. სლოვაკეთის ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელს, შემტევი ნახევარმცველის კვალობაზე, საოცარი შედეგები ჰქონდა - 207 თამაშში გატანილი 85 გოლი. მინტალმა გაიმეორა კრისტიანსენის მიღწევა და 2003-04-ში ჯერ მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ხოლო შემდეგ სეზონში უმაღლეს დონეზეც მოახერხა ეს, გაიტანა რა 24 გოლი. მან ბომბარდირთა დავაში ბაიერნელ **როი მაკაის** გადაასწრო. სწორედ ამის შემდეგ იწყება ყველა ის უბედურება, რაც სლოვაკის თავს დღემდე ტრიალებს. მას პერმანენტული ტრავმები აწუხებს. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ დროს საავადმყოფოებში ატარებს, მაშინ, როცა ის მოედანზეა, "ნიურნბერგისთვის" სარგებელი მუდმივად მოაქვს. გუნდს მისი დახმარება ყველაზე მეტად ახლა სჭირდება, იმიტომ რომ, შარშანდელი წარმატებული სეზონის შემდეგ თასის მფლობელს საქმე გასავარდნად აქვს.

"წინაპრების" კვალზე შედგომის მშვენიერი შანსი აქვს შარშანდელი წლის საუკეთესო თავდამსხმელ **თეოფანის გეკასს**. მან 20 გოლის გატანა მოახერხა "ბოხუმის" შემადგენლობაში და ამბიციამოძალებულმა "ლევერკუზენს" მიაშურა, სადაც ძირითადად სკამზე ზის და სათამაშოდ მხოლოდ შეცვლებზე შედის. თუმცა ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა იმისთვის, რომ მასზე ხელი საბოლოოდ ჩავიქნიოთ. ბერძენს ჯერ კიდევ აქვს შანსი დაამტკიცოს, რომ მისი აღმასვლა სულაც არ იყო შემთხვევითი.

ძნელია, ადამიანმა ახსნა მოუძებნო იმას, რაც ამ ფეხბურთელების თავს მოხდა. ყოველმა მათგანმა სწორედ მაშინ დაასრულა მაღალ დონეზე თამაში, როცა ამას მათგან ყველაზე მეტად ელოდნენ... ზემოთაც ვთქვით, რომ ბოლო წლების ბომბარდირთა შორის მხოლოდ **მიროსლავ კლოზე** აგრძელებს მაღალ დონეზე თამაშს. ის მიუნხენში გადაბარგდა და არც იქ დაკარგულა. მირო ერთ-ერთი საუკეთესოა ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებულ "ბაიერნში". ამჯერად ბომბარდირთა დავას სათავეში იტალიელი **ლუკა ტონი** უდგას. მან უკვე დიდი ხანია დაამტკიცა, რომ კომეტა არაა და უცბად ჩაქრობა არ ემუქრება. როგორც ამბობენ, მიუნხენში მას უკვე აღმერთებენ, ლუკა ხომ უკვე დიდი ხანია ვარსკვლავია და გოლებიც კარგა ხანია, რეგულარულად გააქვს. ამიტომ არ იქნება ზედმეტი, თუკი ვიტყვით, რომ ის არასოდეს გახდება ერთ-ერთი მათგანი, ვიზეც ზემოთ გესაუბრეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**"სანტიაგო ბერნაბეუზე" "ხეტაფესთან" განცდილი მარცხისა და "ბარსელონის" მიერ "ლევანტეს" განადგურების შემდეგ მადრიდულ საფეხბურთო წრეებში სერიოზული მღელვარება გაჩნდა. სამეფო კლუბის გულშემატკივრები და საზოგადოების წევრები შიშმა შეიპყრო. ისინი თვალნათლივ ხედავენ, რომ ფეხბურთელებმა თავდაჯერება დაკარგეს და უდიდესი უპირატესობა ულმერთოდ გაფლანგეს. ამ ყველაფრის გამო გაქრა ის ალტაცება, რომელიც "რეალის" ფანებს "კამპ ნოუზე" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მიჰყვებოდათ. კატალონიური გრანდის მისსავე მოედანზე დამარცხების წყალობით, დედაქალაქელებმა მაშინ შვიდქულიანი უპირატესობა მოიპოვეს...**

რეალი

# შავი თებერვალი

## შუსტერის ბოლიდი ველარ დაქრის

### შემაშფოთებელი სტატისტიკა

სპეციალისტებმა მაშინ თამამად განაცხადეს, რომ სამეფო კლუბმა ჩემპიონობისკენ მიმავალი პირდაპირი გზა გაჭრა. ეს შობამდე ორი ღამით ადრე მოხდა. მას შემდეგ, **ბერნდ შუსტერის** გუნდმა 12 ორთაბრძოლა ჩაატარა: 8 პრიმერა დივიზიონში, 3 ესპანეთის სამეფო თასზე და ერთიც ჩემპიონთა ლიგაში. საერთო ჯამში მათ 6 გამარჯვება მოიპოვეს და 6-ჯერ დამარცხდნენ. დაგვეთანხმებით, მიზანმიმართული და ამბიციური გრანდისთვის ეს ძალიან ცუდი შედეგია. არადა, პირველ წრეში "რეალი" ფანტასტიკურად გამოიყურებოდა. ამ გუნდს სხვებისგან ერთსულოვნება, მიზანდასახულობა და სანახაობრიობა გამოარჩევდა. დრო გავიდა და ბევრი რამ რადიკალურად შეიცვალა. "რეალი" ახლა ეჭვებთან, თავდაუჯერებლობასთან და კრიზისთან ასოცირდება. პირველი წრის 19 ტურში მადრიდელები მოწინააღმდეგეთა სერიოზულ წინააღმდეგობას მხოლოდ 4 შეხვედრაში წააწყდნენ. მარცხი კი "ესპანიოლთან" და "სევილიასთან" იწვნიეს. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, "ბერნაბეუს" ბინადრები მანამდე არსებულ ყველა რეკორდს დაამხობდნენ და ახალ ისტორიას შექმნიდნენ. საამისოდ ყველა პირობა არსებობდა. ფანტასტიკური მეკარე, კარგად ორგანიზებული დაცვა, ძლიერი ნახევარდაცვა და მფრინავი თავდასხმა. დაგვეთანხმებით, სამეფო კლუბი ყველა გაგებით შეუდარებელი იყო... მაგრამ შავმა თებერვალმა სიტუაცია თავდაყირა დააყენა.

მეორე წრემ შემაძრწუნებელი რეალობა მოიტანა. მიუხედავად იმისა, რომ მე-20 და 21-ე ტურებში შუსტერის ბიჭებმა "ატლეტიკოსა" და "ვილიარეალს" სძლიეს (აღსანიშნავია, რომ სამეფო კლუბმა სეზონი სწორედ ამ გუნდების გაცამტვერებით დაიწყო. მეორე ტურში იმავე კოლექტივების დამარცხება ბევრმა სიმბოლურ მოვლენად მიიჩნია), კრიზისი მაინც გარდაუვალი აღმოჩნდა. 6 ტურში "რეალმა" იმაზე მეტი მატჩი წააგო, ვიდრე მთელი პირველი წრის განმავლობაში. ხელმოცარულია გუნდის საუკეთესო ბომბარდირი, **რუუდ ვან ნისტელროიც**. ჰოლანდიელ ფორვარდს ზედიზედ 5 ტური არ გაუტანია. ასეთი ცუდი მონაგარი მას სამეფო კლუბთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ არ ჰქონია. ცუდ დღეში იმყოფება **იკერ კასილიასიც**. ავადსახსენებელ 6 პაექრობაში მისი კარი 7-ჯერ დალაშქრეს. საგულისხმოა, რომ მთელი პირველი წრის განმავლობაში მას ასევე შვიდი ბურთი ქონდა გაშვებული. არადა, იკერს მიზნად **პაკო ბუიოსა და სანტიაგო კანისარესის** რეკორდის გაუმჯობესება ჰქონდა დასახული. "რეალის" ყოფილ მეკარეებს 709 წუთის განმავლობაში ერთი გოლიც არ ჰქონდათ გაშვებული. კასილიასს კი "ვილიარეალმა" უგოლო სერია 575-ე წუთზე შეაწყვეტინა.

### შუსტერი და მეორე წრე

"რეალის" წარუმატებელმა სვლამ ფაქტობრივად ყველა ჟურნალისტი აიძულა სტატისტიკური ჩანაწერები უფრო გულდასმით გადაექექა. აღმოჩნდა, რომ ბერნდ შუსტერს მეორე წრეში პრაქტიკულად ყველა გუნდში ექმნებოდა პრობლემა. ერთადერთი გამონაკლისი "ხეტაფეში" ჩატარებული პირველი სეზონი გახლდათ. მაშინ გერმანელმა სპეციალისტმა პირველ წრეში 25 ქულა მოიპოვა, მეორეში კი - 29. ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი აბსოლუტურად განსხვავებულ დინამიკას ვაწყდებით. თუნდაც, გასული სეზონი ავიღოთ. "ხეტაფეს" ჩემპიონატის ეკვატორზე 29 ქულა ქონდა დაგროვებული. მეორე წრეში კი 23 ქულას დასჯერდა. შეგვიძლია, "ხერესის" მაგალითიც მოვიყვანოთ. პირველი წლის პირველ წრეში ჯერ შუსტერმა პროვინციულ გუნდს 39 ქულა მოუტანა, მეორეში - 30. მომდევნო წელს ქულები ასე განაწილდა: 27X28. შესაძლოა, გაგეცინოთ, მაგრამ გერმანელ მწვრთნელს "ლევანტეშიც" უარყოფითი დინამიკა ჰქონდა. ვალენსიურმა კლუბმა პირველ წრეში 30 ქულას მოუყარა თავი, ხოლო მეორეში მხოლოდ 14 იკმარა. ეს სტატისტიკა ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ "რეალის" დამრიგებლის გუნდებს სეზონის მსვლელობისას არასტაბილურობა ახასიათებდათ. როგორც ჩანს, ჰერ ბერნდი სამეფო კლუბშიც ახერხებს მისთვის კარგად ნაცნობი ავბედითი ტრადიციის დანერგვას. არადა, პირენეული გრანდი ხომ აბსოლუტურად განსხვავებული მოვლენაა. მისთვის დროს არა ოქროს, არამედ პლატინის ან თუნდაც ბრილიანტის ფასი აქვს. მიმომხილველები გასული ტურების შეფასებისას ერთხმად აღნიშნავენ, რომ "რეალმა" დრო უქმად გაფლანგა და ამის გამო მრავალი ქულაც დაკარგა. მართალია, "თეთრი იმპერია" კვლავაც ერთპიროვნული ლიდერია, მაგრამ უტყუარ ფაქტს ვერსად გავექცევით. უპირატესობა ახლა არა 9, არამედ სულ რაღაც 2 ქულას შეადგენს. კაცმა რომ თქვას, მთავარი პრობლემა არა "ბარსელონის" მიერ ჰანდიკაპის შემცირებაში, არამედ ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაშია. ფეხბურთელებმა რაც არ უნდა ამტკიცონ, მაინც ვერავის დაარწმუნებენ, რომ ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს მათ განწყობაზე ცუდად არ უმოქმედია.

### პირველი საშინაო მარცხი წლისა და 20 დღის შემდეგ

დიახ, "ხეტაფესთან" მატჩამდე სამეფო კლუბს მშობლიურ "სანტიაგო ბერნაბეუზე" ზუსტად 385 დღის განმავლობაში არცერთი შეხვედრა არ ქონდა წაგებული. მანამდე ესპანურ გრანდს "ლევანტემ" სძლია. ვალენსიელებმა სენსაციური სამი ქულა იმ დღეს მოედანზე მყოფი ერთადერთი ფორვარდის, **სალვას** გოლის წყალობით მოიპოვეს. **კაპელოს** გუნდის იმ მარცხსაც, რა თქმა უნდა, მწვავე შეფასება მოჰყვა. 385 დღის წაუგებლად გავლა საქებარი საქმეა. ბოლოს და ბოლოს, ერთხელ ნებისმიერმა გუნდმა შეიძლება წააგოს, მაგრამ "რეალის" უბედურება ის არის, რომ დიდი დისტანციით ჩამოტოვებული "ბარსელონა" ძალიან მიუახლოვდა. მადრიდელები ახლა ზურგს უკან კატალონიელების სუნთქვას გრძნობენ.

ბერნდ შუსტერი ყოფილ გუნდთან ფრიად კურიოზული მიზეზის გამო დამარცხდა. "ხეტაფე" მედგრად იცავდა თავს. სტუმრები შიგადაშიგ კონტრიერიშებსაც აწყობდნენ. ვერ ვიტყვით, რომ მათ მცდელობებს სერიოზული ხიფათი ახლდა თან, მაგრამ დასაფასებელია, რომ საშუალო დონის კლუბი გრანდს არ უშინდებოდა და საკმაოდ თამამად თამაშობდა. "რეალი", რა თქმა უნდა, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ანგარიში გაეხსნა. მასპინძლებს კარგი მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ ხან თავად მადრიდელები სცოდავდნენ, ზოგჯერ კი **რობერტო აბონდანსიერი** ვაჟკაცობდა. ამ ჭიდაობაში დრო უმოწყალოდ გადიოდა. შუსტერს სახეზე მღელვარება დაეტყო. ის მიხვდა, რომ ქულების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, თუმცა ალბათ ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ "ხეტაფე" იმ საღამოს "ბერნაბეუდან" 3 ქულას წაიღებდა. მადრიდელთა მორიგი თავგანწირული შეტევა გოლით დასრულდა, მაგრამ არბიტრმა ის აბსოლუტურად სამართლიანად გააუქმა. აბონდანსიერიმ შორეული დარტყმა გასაოცარი ნახტომით მოიგერია. იმ წამს **რაული** პასიურ თამაშგარეში იმყოფებოდა და ლაინსმენს რეაგირება არ მოუხდენია, მაგრამ არგენტინელი მეკარის მიერ მოგერიებული ბურთი **არიენ რობენს** სწორედ გონსალეს ბლანკომ მიაწოდა, ანუ ამით კაპიტანი პასიური თამაშგარე მდგომარეობიდან აქტიურ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გვერდითმა მსაჯმა ალამი ახლა უკვე აღმართა, მაგრამ მასთან ზურგით მდგარმა რობენმა ეს, რა თქმა უნდა, ვერ შენიშნა და გოლის გატანით უზომოდ გაიხარა. მასთან ერთად, "რეალის" სხვა ფეხბურთელებიც ხარობდნენ. მაშინ, როცა მასპინძლები ერთმანეთს ეხუტებოდნენ, "ხეტაფემ" წესების სრული დაცვითა და თავისუფალი დარტყმით თამაში განაახლა. პირით ხაზს იქითმყოფი მასპინძლები გონს გვიან მოეგნენ და საკუთარი საჯარიმოსკენ თავგანწირვით გაიქცნენ, მაგრამ თითზე კბენა გვიან იყო. რამდენიმე სვლიანი კომბინაციის შედეგად, **უჩე** კასილიასსთან პირისპირ აღმოჩნდა და შანსი ხელიდან არ გაუშვა. აფრიკელმა ფორვარდმა "ხეტაფეს" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა.

ესპანურმა მედიამ "რეალის" ვარსკვლავებს ინფანტილიზმში დასდო ბრალი. მსაჯი არავის დაუდანაშაულებია, რადგან ის აბსოლუტურად სამართლიანად მოიქცა. ყველაფერი, რა თქმა უნდა, მოთამაშეების ბრალი იყო. ისინი სიტუაციაში ვერ გაერკვნენ და რამდენიმე წამის განმავლობაში მსაჯს გაოგნებული თვალებით უყურებდნენ. ამ საკრალურმა შეცდომამ ბერნდ შუსტერი უკიდურესად აღაშფოთა. სხვათა შორის, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ გერმანელი სპეციალისტი საკუთარი შეგირდების მისამართით კრიტიკული სიტყვების დახარჯვას არასოდეს ერიდება. აი, რა განაცხადა მან: *"აღარც კი მახსოვს, ფეხბურთში რამდენი წელია ვმუშაობ, რა არ მინახავს, რა არ გადამხდენია, მაგრამ ასეთი რამ არც კი მსმენია. სამარცხვინოა, პლანეტის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ამდენად ბრიყვული შეცდომის გამო კარგავს 3 ქულას.ალბათ, სერიოზული მსჯელობა დიდი სისულელე იქნება. რა თქმა უნდა, ის საშინელი ეპიზოდი ჩემი შეგირდების კლასზე არ მეტყველებს. უბრალოდ, ერთი ინფანტილური შეცდომის მსხვერპლნი გავხდით. სამწუხაროდ, რამდენიმე კვირის წინ არსებული 9-ქულიანი უპირატესობა 2 ქულამდე დავიდა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, მაგრამ, მოდით, სიტუაციას ხელოვნურად ნუ დავძაბავთ. "რეალი" კრიზისში არ იმყოფება. უბრალოდ, ბოლო დროს არ გვიმართლებს და ქულებს ვკარგავთ. დარწმუნებული ვარ, ასე უსასრულოდ არ გაგრძელდება და გულშემატკივრებს კვლავ გავახარებთ. ჩვენ დიდი პოტენციალი გვაქვს და მჯერა, რომ ყველა სირთულეს დავძლევთ."*

### არამხოლოდ წაგება...

"ხეტაფესთან" მატჩში 3 ქულის დაკარგვა სამეფო კლუბის ერთადერთი უბედურება არ გახლდათ. ამავე შეხვედრაში მასპინძელთა ძირითადი შემადგენლობის ორმა ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო. მართალია, ტრავმა ძალიან სერიოზული არ არის, მაგრამ სამედიცინო შტაბი მაინც სიფრთხილეს იჩენს. საქმე **გუტისა** და **ფაბიო კანავაროს** ეხებათ. სხვათა შორის, გუტის ფეხი იმდენად ეტკინა, რომ თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო და შეცვლა ითხოვა. მოედანი მან 75-ე წუთზე დატოვა. კანავარო ბოლომდე დარჩა მინდორზე, მაგრამ საფინალო სასტვენის შემდეგ ექიმის დახმარება მასაც დაჭირდა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ ფეხბურთელებს სერიოზული საფრთხე არ ემუქრებათ, თუმცა გამორიცხული არ არის, ორივე მათგანს მომდევნო ტურის მატჩის გამოტოვება მოუხდეს.

მადრიდის "რეალზე" საუბარს ხოსე მარია გუტიერესის განცხადებით დავასრულებთ: *"ვერავინ წარმოიდგენს, რამდენად განრისხებული და აღშფოთებული ვარ. რა თქმა უნდა, პირველ რიგში საკუთარ თავს ვუბრაზდები, მიუხედავად იმისა, რომ იმ შოკისმომგვრელ ეპიზოდში პირადად არ ვმონაწილეობდი. მსგავსი რამ მხოლოდ ქუჩაში 4 წლის ბავშვების თამაშისას თუ შეიძლება ნახო. დაუჯერებელია, მაგრამ საკრალური კურიოზი პლანეტის საუკეთესო კლუბს, "რეალს" შეემთხვა. 9-ქულიანი უპირატესობის 2 ქულამდე დაყვანა შემაშფოთებელია, მაგრამ ჩვენ გუნდში არანაირი კატასტროფა არ ხდება. ნურც იმის მტკიცებას დაიწყებენ, რომ კრიზისმა მოგვიცვა. უბრალოდ, უიღბლობისა და ბრიყვული შეცდომების მსხვერპლი გავხდით".*



დაჩოქილი რაული, დაჩოქილი რეალი

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენსია

# პრეზიდენტი გადადგომას აპირებს

## ბაუტისტა სოლერის წასვლა კუმანის გაგდებისა და ალბელდას დაბრუნების წინაპირობა გახდება



მარცხნივ: ვალენსიის პრეზიდენტი ხუან ბაუტისტა სოლერი

დრო გადის, "ვალენსიის" პრობლემებს კი დასასრული არ უჩანს. მოგეხსენებათ, **რონალდ კუმანის** მიერ **დავიდ ალბელდასა** და **სანტიაგო კანისარესის** მოკვეთის შემდეგ გუნდში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. შეურაცხყოფილმა ფეხბურთელებმა საკუთარი უფლებების დაცვა დაიწყეს და საქმე სასამართლომდე მივიდა. ალბელდა ხელმძღვანელობას ესპანურ გრანდებში გადაბარგების აკრძალვის გამო ედავება და კოლოსალურ თანხას, 70 მილიონ ევროს სთხოვს. სასამართლოს პირველ სხდომაზე, მოსამართლემ მხარეებს შესათანხმებლად დრო განუსაზღვრა. იმ შემთხვევაში, თუ ისინი საერთო ენას ვერ გამონახავენ, საქმეში ისევ მართლმსაჯულება ჩაერევა...

გამორიცხული არ არის, მეორე სხდომაზე ალბელდას ურთიერთობების გარკვევა **ხუან ბაუტისტა სოლერთან** აღარ მოუხდეს. გუშინ ესპანურმა საინფორმაციო სააგენტოებმა ფრიად საინტერესო ცნობა გაავრცელეს. "ვალენსიაში" შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაზე პასუხი პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პრეზიდენტს მოეთხოვება. ბაუტისტა სოლერს უნიათო მმართველობისთვის უფრო და უფრო მეტი გულშემატკივარი და მიმომხილველი აკრიტიკებს. მის გარშემო სერიოზული დაძაბულობა შეიქმნა. როგორც ჩანს, სენიორ ხუან ბაუტისტას ამ წნეხთან გამკლავება ძალიან უჭირს და თანამდებობიდან გადადგომაზე დაფიქრდა.

"ღამურების" პრობლემები მაშინ დაიწყო, როცა ზედიზედ განცდილი წარუმატებლობების შემდეგ ხალხი მაშინდელ მთავარ მწვრთნელს **კიკე სანჩეს ფლორესს** დაუპირისპირდა. მტრობამ მართლაც უდიდესი მასშტაბი შეიძინა. ათიათასობით გულშემატკივარი "მესტალიაზე" წინასწარ დამზადებული ტრანსპარანტებით მიდიოდა და ყოველი წაფორხილების შემდეგ მათ ფრიალს იწყებდა. რას არ წაიკითხავდით: *"კიკე, წაეთრიე!" "წადი და სოლერიც მოგვაშორე!" "ყელში ამოხვედი!"*

ბატონი სოლერი საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ ჩქარობდა და მხოლოდ მას შემდეგ შეიბერტყა ყური, რაც აგრესია მისი მისამართითაც გახშირდა. ხალხი უკვე პრეზიდენტის გადადგომასაც მოითხოვდა. ადგილობრივი ჟურნალისტების აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია, სოლერმა ფლორესი იმის გამო გაათავისუფლა, რომ თავი გადაერჩინა. მან რონალდ კუმანი დიდი ზარზეიმით დანიშნა, თუმცა ჰოლანდიელი სპეციალისტის მისვლის შემდეგ ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა. შედეგად აბსოლუტურად ბუნებრივი კითხვა გაჩნდა, ვინ აგებს პასუხს კლუბის მართვასა და სტრატეგიაზე? რა თქმა უნდა, პირველ რიგში პრეზიდენტი. ამ კაცისთვის რაოდენ არასასიამოვნოდაც არ უნდა ჟღერდეს, ბოლო წლების პოლიტიკამ "ვალენსია" სასამართლო დარბაზამდე და 70 მილიონი ევროს გადახდის საშიშროებამდე მიიყვანა. ბოლო დღეებში პრეზიდენტის ლანძღვა ძალიან პოპულარულ და მოდურ საქმედ იქცა. ადგილობრივ პრესაზე რომ არაფერი ვთქვათ, დღე ისე არ ჩაივლის ცენტრალურ გაზეთებსა და ტელევიზიებში ხუან ბაუტისტა სოლერის დაუნდობელ კრიტიკას არ წავაწყდეთ...

როგორც ჩანს, არცთუ ახალგაზრდა პრეზიდენტს მოთმინების ფიალა ევსება. აშკარაა, მას დაძაბულობასთან გამკლავება სულ უფრო უჭირს. მისი გუშინდელი განცხადება ამის ნათელი დადასტურებაა: *"დავიღალე! გაზეთების კითხვისას ისეთი განწყობა მექმნება, თითქოს ის დამნაშავე ვარ, რომელზეც ნადირობაა გამოცხადებული. ისღა დარჩა, ხალხმრავალ ადგილებში ჩემი სურათი გამოაკრან და დიდი ასოებით დააწერონ - იძებნება! რა თქმა უნდა, თავს არ ვიმართლებ, მაგრამ არ მინდა ისე. ი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს ბაუტისტა სოლერმა "ვალენსია" დაანგრია. მე ყოველთვის კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე ვმოქმედებდი. საუბარი იმით დავიწყე, რომ ძალიან დავიღალე. სერიოზულად ვფიქრობ თანამდებობიდან გადადგომაზე. აქციონერებთან დაჩქარებულ კონსულტაციებს გავივლი და საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებ."*

იმ შემთხვევაში, თუ ხუან ბაუტისტა სოლერი უფლებამოსილებას ნებაყოფლობით მოიხსნის, მის სავარძელში მოკალათების ყველაზე კარგი შანსი **ვისენტე სორიანოს** გაუჩნდება. ის რიგით მეორე უმსხვილესი აქციონერია. კულუარული ინფორმაციის თანახმად, სენიორ სორიანო პრეზიდენტის პოსტზე დანიშვნის შემთხვევაში რონალდ კუმანს მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლებს და ამით მოკვეთილი ფეხბურთელების უმწვავეს პრობლემას მოაგვარებს. თავად განსაჯეთ, სოლერი მიდის, სორიანო მოდის. ახალი პრეზიდენტი პირველ საქმედ კუმანს აგდებს. ამას ლოგიკურად დავიდ ალბელდასა და სანტიაგო კანისარესის გუნდში დაბრუნება უნდა მოჰყვეს. ლოგიკას თუ გავყვებით, საყვარელ კლუბში დაბრუნების შემდეგ ალბელდამ სასამართლოდან სარჩელი უნდა გამოიტანოს. ამ გადასახედიდან, სენიორ ბაუტისტა სოლერის გადადგომა მართლაც ყველაზე გამართლებული ნაბიჯი იქნება.

ბარსელონა

# სილვინიო უეცარ წარმატებას არ ელოდა

## კატალონიელებს რეალური შანსი გაუჩნდათ და მას აუცილებლად გამოიყენებენ

გასულ შაბათს პრიმერა დივიზიონში აბსოლუტურად მოულოდნელი რამ მოხდა, რის შედეგადაც "რეალსა" და "ბარსელონას" შორის არსებული ქულათა სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა. აღმოჩნდა, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარება **სილვინიოსთვის** სრულიად მოულოდნელი იყო: *"რამდენიმე კვირის წინ კატასტროფულ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით. რა თქმა უნდა, გვჯეროდა, რომ შანსი დაკარგული არ გვქონდა, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ სულ რაღაც ოთხ ტურში 9-ქულიან ჰანდიკაპს ორ ქულამდე დავიყვანდით. ბედნიერი გახლავართ, რომ "ბარსელონა" გამოცოცხლდა. მომავალში კიდევ უფრო კარგად ვითამაშებთ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ წინსვლაში "რეალი" დაგვეხმარა. სამეფო კლუბს ქულები რომ არ დაეკარგა, ჩვენს გამარჯვებებს ასეთი ფასი არ ექნებოდა. პრინციპში, თავის დროზე "რეალმაც" იმის გამო მოიპოვა უპირატესობა, რომ "ბარსა" ვერ ყოჩაღობდა და სრულიად მოულოდნელად, ქულებს ანიავებდა. ვფიქრობ, პრიმერა დივიზიონის მომდევნო ტურები განსაკუთრებით საინტერესო და დაძაბული იქნება. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩემპიონები გავხდეთ. ვგონებ, ახლა საამისო რეალური შანსი გვაქვს."*






არიან ლიპი და ანჩელოტი მზად დიდი გადაადგილებებისთვის?

სევილია

# ალექსანდრ კერჟაკოვი სამშობლოში ბრუნდება

## მოსკოვის დინამომ 25 წლის ფორვარდი 8 მილიონ ევროდ იყიდა




ალექსანდრ კერჟაკოვი

გუშინ "სევილიის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაავრცელა. ანდალუსიურმა კლუბმა რვა მილიონი ევროს სანაცვლოდ **ალექსანდრ კერჟაკოვი** მოსკოვის "დინამოს" მიჰყიდა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ თქმულა, თავდამსხმელი როდიდან დაიწყებს რუსულ კლუბში ვარჯიშს. სევილიელებმა კერჟაკოვის გასხვისება მარტივად ახსნეს. ფეხბურთელი ბოლო თვეების განმავლობაში შემადგენლობაში ველარ ხვდებოდა და უთამაშებლობით იტანჯებოდა. მას სერიოზული საფრთხე დაემუქრა, რომ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე ვერ იასპარეზებდა. ამიტომ, კლუბის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა მოითხოვა. მხარეებმა შექმნილი სიტუაცია განიხილეს და დაასკვნეს, რომ თანამშრომლობის გაწყვეტა ყველასთვის სასარგებლო იქნებოდა. კერჟაკოვი ბედნიერია, რომ სამშობლოში ბრუნდება: *"როგორც იქნა, საშველი დამადგა. სამწუხაროდ, წარმატებული და სასიამოვნო პირველი წლის შემდეგ "სევილიაში" მეორე სეზონში ჩემთვის ადგილი აღარ მოინახებოდა. ამიტომ იძულებული გავხდი, წასვლაზე ფიქრი დამეწყო. ვერ დავუშვებ, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შანსი დავკარგო. მე ნამდვილი პატრიოტი ვარ, ამიტომ სამშობლოში დავბრუნდები, რათა ძირითად შემადგენლობაში ვითამაშო და ნაკრებში გამომიძახონ."*

სპეკულაციები

# დიდი ცვლილებები იტალიაში

## ლიპი ანჩელოტის, ხოლო ანჩელოტი დონადონის შეცვლისო

"გაძეტა დელო სპორტი" საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს. მისი ვარაუდით, **მარჩელო ლიპი** "მილანის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნება, ხოლოდ **კარლო ანჩელოტი** იტალიის ნაკრებში **რობერტო დონადონის** შეცვლის. "გაძეტა" გვაუწყებს, რომ "როსონერიში" მთავარი მწვრთნელი იმ შემთხვევაში შეიცვლება, თუ გუნდი მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში არ ითამაშებს. "მილანისაგან" იტალიის ჩემპიონობას აღარავინ ელის. სერია A-ს დასრულებამდე 14 ტურით ადრე სხვაობა "მილანსა" და ჩემპიონატის ლიდერ "ინტერს" შორის 19 ქულას შეადგენს. ლიგის მერვედფინალში მილანელები "არსენალს" ეთამაშებიან. ლონდონური მატჩი უგოლოდ დასრულდა. "როსონერის" მომდევნო ეტაპზე გასვლის კარში შანსი აქვს. რაც შეეხება მოსალოდნელ ცვლილებას იტალიის ნაკრებში, "გაძეტას" მტკიცებით, დონადონი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს პოსტს, თუ გუნდს ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანს. მწვრთნელებს, "მილანსა" და იტალიის ფეხბურთის ფედერაციას მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით კომენტარები არ გაუკეთებიათ.

ლეგიონი

# ბოისას ქულები დააკლდა, ცქიტიშვილს კი მოგება




ნიკა ცქიტიშვილი

## საბერძნეთი

როგორც ჩანს, **გორდონ ჰერბერტს** ქართული სენი შეეყარა - ნაკრებში ვერაფერი გააკეთა, კლუბში კი თამაშს-თამაშზე იგებს. ორი კვირის წინათ მისმა "არისმა" "ოლიმპიაკოსთან" მსაჯების დახმარებით ბოლო 5 წუთში წააგო. გასულ უქმეებზე კი მეორე ევროგრანდ "პანათინაიკოსს" უმასპინძლა და 82:75 აჯობა. ეს მწვანეების პირველი მარცხი იყო საბერძნეთის მიმდინარე ჩემპიონატში. თავის მხრივ "არისს" 17 შეხვედრაში მე-12 მოგება მოუგროვდა.

პირველ ტაიმში მასპინძლებმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს და დიდ შესვენებაზე 16-ქულიანი ფორით (52:36) გავიდნენ, მაგრამ **ჟელკო ობრადოვიჩის** "პანათინაიკოსმა" მდგომარეობა მესამე პერიოდში გამოასწორა და გადამწყვეტი რაუნდის წინ ჩამორჩენა 2 ქულამდე დაიყვანა. სირენამდე 4 წუთით ადრე სხვაობა კიდევ უფრო შემცირდა - 73:72, თუმცა გადამწყვეტი სწორედ ეს ეპიზოდი აღმოჩნდა - კალაიტისის სამქულიანის შემდეგ "არისმა" 7:0 სპურტი მოაწყო და 80:72 დაწინაურდა. საბოლოო ანგარიში უკვე გითხარით - 82:75.

ალბათ ხვდებით, რომ "არისზე" ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, გორდონ ჰერბერტის ხათრით არ ვისაუბრეთ. სალონიკელთა ღირსებას ხომ **ვლადიმერ ბოისაც** იცავს, რომელმაც "პანათინაიკოსთან" 8 წუთი ითამაშა, 2 ორქულიანი ააცილა და 2 ფოლი დაიმსახურა. "არისის" გამარჯვების ორი შემოქმედი ორი ამერიკელი იყო - ბრეისი რაითი (20 ქულა) და იერემია მეისი (21 ქულა). ამერიკიდან დაბრუნებულმა შარუნას იასიკიევიჩუსმა სტუმრებს 15 ქულა შესძინა.

ბოლოს გეტყვით, რომ საბერძნეთის პირველობის სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზეა "პანათინაიკოსი" (17 მატჩი, 16 მოგება), მეორეა - "ოლიმპიაკოსი" (17 მატჩი, 14 მოგება), მესამე - "არისი" (17 მატჩი, 12 მოგება).

## იტალია

ბოისასა და "არისის" თამაში ფირზე რომ აღგვებეჭდა, ნეგატივზე **ნიკა ცქიტიშვილისა** და "ტერამოს" თამაშს მივილებდით, იტალიაში ყველაფერი პირიქით მოხდა - კლუბმა ცუდად ითამაშა, ცქიტომ - კარგად.

ტერამოელებმა შინ ვერაფერი გააწყვეს მეთორმეტეადგილოსან "კანტუსთან" და 20 ქულის სხვაობით დამარცხდნენ - 79:99.

...არადა, "ტერამო" პირველ ტაიმში რომ გენახათ, "იცინოდა" - საწყისი 20 წუთი თანაბარ ბრძოლაში მიილია. პირველ მეოთხედში ნიკამ 9 ქულა მიითვალა. სამქულიანის ჩაგდება (13:18) და სათადარიგოთა სკამზე მისი აღმოჩენა ერთი იყო. ნიკას მეათე ქულის მოპოვება ძალიან გაუჯანჯლდა, 10-ქულიანი ბარიერი მხოლოდ 37-ე წუთზე გადალახა. ბოლო 3 წუთში ქართველის ანგარიშზე 11 ქულა იყო, თუმცა მესამე პერიოდის დასაწყისში ტერამოელებმა იმდენად უსუსურად ითამაშეს, რომ ბოლო მეოთხედს აზრი დაუკარგეს: დიდი შესვენებიდან დაბრუნებულმა "კანტუმ" მასპინძლები საკუთარ კალათს არ გააკარა, 13:0 სპურტი მოუწყო და 56:43 დაწინაურდა. ამ ეპიზოდის შემდეგ "ტერამოს" კალათბურთელებმა გონს მოსვლა რომ ვერ მოახერხეს, უკვე გითხარით.

ნიკა ცქიტიშვილი შეხვედრის სნაიპერი გახდა - 21 წუთში 20 ქულა (7-დან 6 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი), 2 მოხსნა და 3 პასი გაიფორმა.

წაგების მიუხედავად "ტერამომ" იტალიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მეათე ადგილი შეინარჩუნა. მას 22 მატჩში 11 მოგება აქვს.

## ესპანეთი

"სრული ბედნიერებისთვის" ცქიტიშვილს მოგება დააკლდა, ბოისას - ქულები, **ტაირონ ელისს** კი შაბათს იღბლიანი დღე ჰქონდა: "ბილბაოსთან" 23 ქულა ჩააგდო, ხოლო მისმა "კახასოლმა" ბასკები სევილიაში 75:72 დაამარცხა. შეხვედრის ბედი, ფაქტობრივად, საწყის 20 წუთში გადაწყდა, რომელიც "კახასოლმა" 47:34 მოიგო.

ცქიტოს დარად ბომბარდირობა არავის დაუთმო ტაირონ ელისმა. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა 37 წუთში 23 ქულა (10-დან 7 სამქულიანი გამოიყენა), 3 მოხსნა და 2 პასი ჩაიწერა.

"კახასოლს" სადღეისოდ 22 მატჩში 7 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში ბოლოდან მესამე (მეთექვსმეტე) ადგილზეა.

## ესტონეთი

ევროთასზე "ურალ გრეიტის" ძლევის შემდეგ **გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკმა" ესტონეთის ჩემპიონატში "ველგს" უმასპინძლა და იოლად გაუსწორდა - 95:73.

მწვრთნელმა ქართველ გამთამაშებელს დასვენების საშუალება მისცა, 21 წუთი ათამაშა, თუმცა ბუმ ამ დროშიც ბევრი რამ მოასწრო: 10 ქულა (3-დან 2 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი და 4-დან 3 საჯარიმო), 2 მოხსნა და 6 შედეგიანი გადაცემა გაიფორმა. მატჩის სნაიპერი ამერიკელი "როკერი" **ბრაიან კუსვორსი** გახდა - 22 ქულა.

"ტარტუს" ესტონეთის ჩემპიონატში 23 მატჩი აქვს ჩატარებული და 17 მოგებით მეორე ადგილზეა. პირველია **სერგო ათუაშვილის** "კალევი", რომელსაც 24 შეხვედრიდან 21 აქვს მოგებული.

## ბოსნია

ბოსნიის ჩემპიონატში წინ მიიწევს "ბორაჩ ნექტარი". **დავით უგრეხელიძის** თანაკლუბელებმა ბოლო ტურში "გრუდეს" უმასპინძლეს და 79:73 აჯობეს.

დათომ 14 წუთი ითამაშა და მეტოქის კალათის მიმართულებით მხოლოდ 2 საჯარიმო ისროლა, თუმცა მატჩი 0 ქულითა და 1 მოხსნით დაასრულა.

"ბორაჩ ნექტარს" ბოსნიის ჩემპიონატში 10 მოგება (18 მატჩიდან) აქვს და მეოთხე პოზიციაზეა.

## ლიტვა

ლიტვის მეორე ლიგაში რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა და პლეი ოფების სტადია დაიწყო. **ტატო ვაშაკიძის** "პუნტუკასმა" ვერაფერი გააწყო "ჟანოვასთან", სამივე შეხვედრა დაუთმო და ელიტაში მოხვედრაზე ფიქრსაც გამოემშვიდობა.

პირველ მატჩში "ჟანოვასმა" "პუნტუკასი" შინ 82:66 დაამარცხა. ქართველმა გამთამაშებელმა 26 წუთში 12 ქულა (4-დან 2 სამიანი), 4 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

მეორე შეხვედრა შინაურ კედლებში კვლავ "ჟანოვასმა" მოიგო - 101:68. ვაშაკიძემ ისევ 26 წუთი ითამაშა და ამჯერად 17 ქულას 1 მოხსნა და 2 პასი შეუფარდა. ტატომ პერიმეტრიდან კვლავ 50-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა - 6-დან 3 ჩააგდო.

"პუნტუკასმა" "ჟანოვასთან" საშინაო მატჩიც წააგო - 88:92. ვაშაკიძეს არც ამჯერად შეურცხვენია თავი: 33 წუთში 14 ქულა, 3 მოხსნა, 1 შედეგიანი გადაცემა.

ლიტვის მეორე ლიგაში კიდევ ერთი ქართველი თამაშობს - **ნოდარ შენგელია** მარჩიულიონისის "აკადემიის" ღირსებას იცავს. მისმა თანაგუნდელებმა პლეი ოფის საწყისი ეტაპი კარგად დაიწყეს და "მერესტას" 2:1-ს უგებენ.

ამ გუნდების საწყის ორ მატჩზე ვრცლად არ შევჩერდებით, რადგან მწვრთნელმა ქართველი ჯამში 7 წუთი ათამაშა. პირველი შეხვედრა "აკადემიამ" სტუმრად 83:74 მოიგო, მეორე შინ - 86:83.

მესამე მატჩში ქართველმა ფორვარდმა 17 წუთი ითამაშა და კარგადაც გაისარჯა - 6 ქულა, 7 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. მისმა "აკადემიამ" კი სტუმრად 61:66 დათმო. ამ გუნდების მეოთხე შეხვედრა 26 თებერვალს გაიმართება, ხოლო თუ მეხუთე მატჩიც გახდა საჭირო, იგი 28-ში ჩატარდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ნოდარ შენგელია

### მილოცვა

კალათბურთის ფედერაცია ვეტერან კალათბურთელს ვაჟა ჟღენტს 80 წლის იუბილეს ულოცავს, უსურვებს ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან საიუბილეო 80 წლისთავს ულოცავს ვეტერან კალათბურთელს, თბილისის "დინამოს" ოქროს ხანის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს ვაჟა ჟღენტს.



## ბატუტზე ხტომა


ლუბა გოლოვინა

ინტერვიუ ლუბა გოლოვინასთან

# პეკინში მინიმუმ ფინალს ვგეგმავ

**17 ნლის ლუბა გოლოვინამ რუსუდან ხოფერიას დამყარებული ტრადიცია გააგრძელა და არც პეკინის ოლიმპიური თამაშები ჩაივლის ქართველი ბატუტისტის გარეშე. ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი შარშან, ნლის დასაწყისში გადმოვიდა უფროსებში და შემოდგომით პეკინის საგზურიც გაინალდა კანადის ქალაქ კვებეკში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე. ლუბასთან ინტერვიუ სწორედ შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის გახსენებით დავიწყეთ.**

- შარშან მხოლოდ ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებაზე ვფიქრობდი. მთელი სეზონი თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი და ყველაფერი გავაკეთე, რომ დასახული გეგმა შემესრულებინა. მოხარული ვარ, რომ შრომამ ნაყოფი გამოიღო, მსოფლიო ჩემპიონატზე ლიცენზია გავინალდე და პეკინში მივდივარ.

**- პეკინამდე სად მოემზადები?**

- 28 აპრილს, დანიაში ევროპის ჩემპიონატი იწყება. ამ შეჯიბრებისთვის საბერძნეთში გავივლი მოსამზადებელ ეტაპს. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ კი ერთმანეთის მიყოლებით გამოვალ მსოფლიო თასის ეტაპებზე - მაისში იაპონიასა და საფრანგეთში, ივნისში კი ესპანეთში.

ამის შემდეგ ისევ იქნება შეკრებები, ოლონდ დრო და ადგილი მოგვიანებით გადაწყდება. შესაძლოა, ოლიმპიადამდე ცოტა ხნით ადრე წავიდე ჩინეთში და იქვე დავასრულო მოსამზადებელი ეტაპი.

**- პეკინში რა მიზანს ისახავ?**

- პროგრამა მინიმუმი ფინალში გასულ 8 ბატუტისტს შორის მოხვედრაა. ფინალში კი ყველაფერი ხდება ხოლმე და ვნახოთ. ისე, თუკი ფინალში გავედი, მერე მწვრთნელებთან ერთად შევხედავ სიტუაციას და თავისუფალ პროგრამას როგორც საჭირო იქნება, ისე შევასრულებ - ან ჩვეულებრივად, ან შედარებით რთული კოეფიციენტით.

**- ძირითად კონკურენტებად ვის მიიჩნევ?**

- პეკინში ათამდე ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და პრიზიორი ჩამოვა. შესაბამისად, ყველა ჩემი უშუალო კონკურენტია და მაქსიმუმის გალება მომინევს, რათა პროგრამა მინიმუმი შევასრულო და ფინალში გავიდე. ისე, განსაკუთრებით გამოვარჩევდი მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონს, გერმანიის სახელით მოასპარეზე ანა დოლონაძეს. ასევე უძლიერესი ბატუტისტები არიან რუსი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ირინა კარავაევა, მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი - კანადელი კოკბურნი. ძლიერი ბატუტისტები ეყოლებათ ჩინელებსაც. მოკლედ, საკმაოდ დიდი კონკურენცია იქნება, მაგრამ ოლიმპიადაზე იმედიანად მივდივარ. დანარჩენი კი პეკინში გამოჩნდება...

**გოლოვინას შემდეგ, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაურ სულაშვილსაც გავესაუბრეთ.**

- გოლოვინა უალრესად შრომისმოყვარე სპორტსმენია და ეს უფასდება კიდეც. შარშან ნელი აწუხებდა, მაგრამ იმდენად იყო მონადინებული, რომ რამდენიმე შეჯიბრებაზე ტკივილგამაყუჩებლით გამოვიდა. შრომისმოყვარეობასთან ერთად, ძალიან ნიჭიერიცაა, მაგრამ ახლა მისი მთავარი ნაკლი ახალგაზრდული ასაკი და გამოუცდელობაა. ამის გამო, გამოცდილ და ასაკოვან მეტოქეებს ვარჯიშების სირთულის კოეფიციენტით ჩამორჩება. თუმცა, მამამისი და პირადი მწვრთნელი ვლადიმერ გოლოვინი ჩვენთან ერთად ყველაფერს აკეთებს, რომ ლუბამ თავისუფალ ვარჯიშში სირთული კოეფიციენტი გაზარდოს. სხვათა სორის, ამ კომპონენტში მუდამ კარგი მდგომარეობა გვქონდა. მაგალითად, რუსუდან ხოფერია თავისუფალ პროგრამაში მთელი 17 ნელი ფლობდა რეკორდს სირთულის კოეფიციენტის მხრივ. ხოფერიას აუცილებლად ჩავრთავთ გოლოვინას მოსამზადებელ ეტაპში.

მოკლედ, პეკინში ფინალში გასვლას ვგეგმავთ და ეს სავსებით რეალურად მეჩვენება.

აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ ძალიან მწყდება გული თენგიზ კოშკაძეზე. გოლოვინას მსგავსად, ეს ახალგაზრდაც საკმაოდ ნიჭიერია, მაგრამ შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე სულ ცოტა დააკლდა ლიცენზიამდე. სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ იგი მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფდა, მაგრამ ნებისმიერში დაუშვა შეცდომა და პეკინს მილმა დარჩა. თუმცა, კოშკაძე ჩვეულებრივ აგრძელებს ვარჯიშს, ევროპის ჩემპიონატზეც წავიყვანთ და შემდეგ ოლიმპიადაზე მისი დიდი იმედი გვაქვს.

**კობა ხატისაშვილი**

## ჭადრაკი


თორნიკე სანიკიძე


მირანდა მიქაძე

საქართველოს ჩემპიონატი. U 20

# მსოფლიოზე სანიკიძე და მიქაძე წავლენ!

დასრულდა 20-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატი. გაირკვა იმათი ვინაობა, ვინც ამა წლის აგვისტოში თურქეთის დედაქალაქ ანკარაში საქართველოს ღირსებას დაიცავს - ჩემპიონები **თორნიკე სანიკიძე** და **მირანდა მიქაძე** გახდნენ. მათ შესახებ გუშინ ვწერდით და როგორც ალმოჩნდა, სწორად ვივარაუდეთ - ორივემ სწრაფად გააფორმა ყაიმი და უკეთესი კოეფიციენტის გამო ჩემპიონობა გაინალდა. თორნიკე სანიკიძე თეთრებით **ირაკლი ბერაძეს** დაუზავდა და 7 ქულით დაასრულა ტურნირი, მიქაძემ კი შავებით **მადონა ბოკუჩავასთან** მოაწერა ზავს ხელი და 7.5 ქულით იპირველა.

საბოლოო ცხრილში საინტერესო ვითარება შეიქმნა გოგონათა შორის: პირველ სამ ადგილზე გასულებმა 7.5 ქულა დააგროვეს: მიქაძის შემდეგ მეორე **ბელა ხოტენაშვილი** იყო, მესამე - **მაკა ფურცელაძე**; ამათ შემდეგ კი ორქულიანი "უფსკრულია", რაც ძალიან იშვიათი, შეიძლება ითქვა, უნიკალური შემთხვევაა, - **ქრისტინე მჟავიამ, სალომე ხაჟომიამ** და **მადონა ბოკუჩავამ** 5.5 ქულით დაასრულეს ტურნირი და შესაბამისა, მეოთხე-მეექვსე ადგილები გაიყვეს.

ვაჟებშიც სამეული გამოირჩა. სამეულს ნახევარი ქულით **შოთა აზალაძე** და **დავით ბენიძე** ჩამორჩნენ - 6.5 ქულა დააგროვეს და მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყვეს. ამათ ერთი ქულით ჩამორჩნენ **დავით ლომსაძე, ირაკლი ბერაძე, გიორგი ნიკოლაშვილი.** პირველ სამეულს კი **თორნიკე სანიკიძესთან** ერთად **ლუკა პაიჭაძე** და **გაიოზ ნიგალიძე** შეადგენენ. ამათმა გუშინ იმარჯვეს: პაიჭაძემ შავებით **ნიკა ვოლკოვი** დაამარცხა, ხოლო ნიგალიძემ ასევე შავებით სძლია **ზვიად ფაციას;** კოეფიციენტით მეორეზე პაიჭაძე გავიდა.

საბოლოო ჯამში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ფავორიტების გამარჯვებით დასრულდა ტურნირი: სანიკიძე პირველი იყო განთესვით, მიქაძე კი - მესამე. სამეულის წევრებიც მაღალი რეიტინგებით გამოირჩეოდნენ: ნიგალიძე მეორე იყო, პაიჭაძე კი - მეოთხე. გოგონებში პირველი მაჩვენებელი ხოტენაშვილს ჰქონდა, ფურცელაძე მეორე გახლდათ...

როგორც ადრე გაუწყეთ, მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის გარდა, სხვა საგზური არ თამაშდებოდა - ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ 20-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატი გააუქმა. სხვათა შორის, 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ბოლო ორი წლის გამარჯვებული ქართველი **ზვიად იზორიაა.**

გარდა ქულებისა, მნიშვნელოვანია რეიტინგული მაჩვენებლის გაუმჯობესება. ზოგმა ამ საქმეს კარგად გაართვა თავი, ზოგმაც გვარიანი ზარალი განიცადა; ცხადია, არიან ისეთებიც, რომელთა არც მატება და არც კლება მნიშვნელოვანი არ ყოფილა. ჩვენ ისინი გამოვარჩიოთ, ვინც შესამჩნევად მიიმატეს ან დაიკლეს. დადაბითით დავიწყოთ: ვაჟებში ყველაზე მეტი 15 წლის **ბექა ფიფიამ** მოიმატა - 27 პუნქტით; 25 პუნქტით გაიზარდა 13 წლის **კახაბერ წერეთელის** მაჩვენებელი. 20 პუნქტით მოიმატა **თორნიკე გაბუნიამ.** ესენი ცხრილის მეორე ნახევარში მოხვდნენ და ასეთი მაღალი მატება მათი დაბალი რეიტინგების გამო მოხდა; ლიდერთაგან კი ყველაზე მეტი **ლუკა პაიჭაძემ** მოიმატა: 18 პუნქტი; ნიგალიძემ თავის მარაგს 11 ქულა მიუმატა; მხოლოდ სამქულიანი მატება აქვს სანიკიძეს. აქვე აღვნიშნავთ 12 წლის **ირაკლი ბერაძის** წარმატებას - განთესვით მეთვრამეტემ 5.5 ქულით მეშვიდე ადგილზე დაასრულა ტურნირი, რამაც რეიტინგში 18 პუნქტით წანია წინ.

ყველაზე მეტი **ზვიად ფაციამ** დაკარგა - 28 პუნქტი; 26 დაკარგა **ვახტანგ კაშიამ;** 24-ით იზარალეს **უჩა მღვდელაძემ** და **დავით სიჭინავამ.** ფავორიტებში **დავით ლომსაძემ** დაკარგა 14 პუნქტი; **ზურაბ ჯავახაძემ** 16 პუნქტით დაიკლო, ხოლო 16-წლამდელებში კარგად მოთამაშე **ირაკლი ჯანიაშვილმა** ამჯერად მეთორმეტეზე დაასრულა ტურნირი და 23 პუნქტით ჩამოაკლდა.

გოგონებში საუკეთესო მაჩვენებელი 16 წლის **ეკა გოგლიძეს** აქვს - 45 პუნქტით წანია წინ; ეკამ 4.5 ქულით მეოცე ადგილი დაიკავა. 22 ქულა შეიმატა **დეა გოგიშვილმა** - მისი სატურნირო მონაგარი 4.5 ქულაა, რაც მეცამეტე ადგილზე გასასვლელად გახდა საკმარისი.

პრიზიორებში მატება ასეთი: **მიქაძემ** 15 პუნქტით შეივსო მარაგი; **ხოტენაშვილმა** 13 პუნქტით გაზარდა, **ფურცელაძემ** 12 პუნქტიანი ხეირი ნახა. 17 პუნქტით წაიწევენ წინ **სალომე სირაძე** და **ქრისტინე მჟავია.**

დანაკლისი ყველაზე მეტი **თეონა ლურჭუმალიძეს** ჰქონდა - 29 პუნქტი. თეონა ფეხმძიმე თამაშობდა და მესამე ტურიდან გაეთიშა ტურნირს. 25 პუნქტი დაიკლო დეა ჩაკვეტაძემ; 23-ით იზარალეს **ელისაბედ ზარქუამ** და **ნინო კალანდაძემ.** მეხუთე ნომერმა სალომე ხაჟომიამ ხუთი პუნქტი დაკარგა.

საბოლოო ათეულები: გოგონები: 1. მირანდა მიქაძე-7.5; 2. ბელა ხოტენაშვილი-7.5; 3. მაკა ფურცელაძე-7.5; 4. ქრისტინე მჟავია-5.5; 5. სალომე ხაჟომია-5.5; 6. მადონა ბოკუჩავა-5.5; 7. სალომე სირაძე-5; 8. ანა მეძმარიაშვილი-5; 9, ლელა უგულავა-5; 10. თინათინ ბერიძე-5.

ვაჟები: 1. თორნიკე სანიკიძე-7; 2. ლუკა პაიჭაძე-7; 3. გაიოზ ნიგალიძე-7; 4. შოთა აზალაძე-6.5; 5. დავით ბენიძე-6.5; 6. დავით ლომსაძე-5.5; 7. ირაკლი ბერაძე-5.5; 8. გიორგი ნიკოლაშვილი-5.5; 9. თამაზ გუგულაშვილი-5; 10. ნიკა ვოლკოვი-5.

**ზვიად შათირიშვილი**

## ჩოგბურთი

# შაფაქიძის საუკეთესო

ATP-ის ახალ რეიტინგ-ლისტში კვლავ ოთხი ქართველია, მათ შორის **ლადო ჩიხლაძე**, რომლის საკითხი ცოტა ხანში გადაწყდება - გააგრძელებს თუ არა 22 წლის ქართველი ჩოგბურთელი თამაშს საერთოდ, თუ ტრავმის გამო კარიერის დასრულება მოუწევს. ლადო მსოფლიოს 370-ე ჩოგანია (+1) 87 ქულით. ლადო რეიტინგში სერიოზულ უკუსვლას უკვე შემდეგი კვირიდან დაიწყებს, როცა შარშან ვილენის (შვეიცარია) ტურნირის გამარჯვებისთვის კუთვნილი 12 ქულა მოაკლდება, შემდეგ კვირაში კი მას ასევე ლიხტენშტეინის ტურნირის მოგებისთვის მიღებული 12 ქულაც დააკლდება. სხვა ქართველები ATP-ის რეიტინგ-ლისტში: 1220. (-1) **ნოდარ ითონიშვილი** – 4 ქულა, 1492 (+2) **გიორგი ხრიკაძე** და **გიორგი ჭანტურია** – 1-1 ქულა.

ქალთა WTA რეიტინგ-ლისტში კვლავ ათი ქართველი ჩოგბურთელია. ჩვენი პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** ჯერჯერობით, ვერ ამართლებს ესპანელი სპონსორების იმედებს. მაკა კვლავ მსოფლიოს 199-ე ჩოგანია 144 ქულით. **ანა ტატიშვილმა** რეიტინგში ერთ კვირაში შვიდი ადგილი დაკარგა, ის 83 ქულით მსოფლიოს 288-ე ჩოგანია.

სხვები WTA-ს რეიტინგ-ლისტში: 409 (-) **სოფიო შაფათავა** – 46 ქულა, 502 (+6) **თინათინ ყაველაშვილი** – 31, 586 (+5) **სალომე დევიძე** – 22, 598 (+7) **მანანა შაფაქიძე** – 21, 642 (+4) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 18, 708 (-) **სოფიო ქვაცაბაია** – 15, 806 (+2) **ეკა გორგოძე** – 10, 872 (+1) **სოფიო მელიქიშვილი** – 8. 18 წლის მანანა შაფაქიძე კარიერაში პირველად შევიდა რეიტინგის მეექვსე ასეულში.

# ჩახნაშვილი დიუთი ფრიდან დაითხოვეს

ზედიზედ მეორე კვირაა, საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** აზიურ ტურნეშია და წარუმატებლად ცდილობს WTA-ს ტურნირთა ძირითად ბადეში გაღწევას. ყატარის ღია პირველობის (2,5 მილიონი დოლარი საპრიზო ფონდი) პირველივე საკვალიფიკაციო წრეში მარცხის შემდეგ, 24 წლის ქართველს იგივე „დუბაი დიუთი ფრის" ტურნირში (1,5 მილიონი) მოუვიდა. პირველ საკვალიფიკაციო წრეში მისი მეტოქე სლოვენიელი **ანდრეა კლეპაჩი** იყო. მაკამ ბრძოლაში სამ სეტში დათმო ორთაბრძოლა – 4:6, 7:5, 4:6.

კოლუმბიაში WTA-ს ტურნირში წარუმატებლობის შემდეგ **ანა ტატიშვილი** ამერიკაში ITF-ის ტურნირზე დაბრუნდა, ფორტ უოლტონ ბიჩის შეჯიბრი 25-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდისაა. ანა რეიტინგით ვერც აქ მოხვდა ძირითად ბადეში, ის საკვალიფიკაციო ბადეში მე-3 ნომრად განთესეს. პირველ წრეში ანამ სლოვენიელი **ტადეა მარიჩი** დაამარცხა – 6:7, 6:1, 7:5. მეორე წრეში მისი მეტოქე ამერიკელი კრისტინა **მიხალეა**.

გერმანიის ქალაქ ბიუხენში მცირე საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი დოლარი) მიმდინარეობს. ამ ტურნირში მე-10 ნომრად ქართველი **სოფიო შაფათავა** განთესეს, ხოლო **ოქსანა კალაშნიკოვა** საკვალიფიკაციო ბადეში ითამაშებს. ოქსანას პირველი მეტოქე სლოვენიელი **ანია პრისლანი** იქნება. კალაშნიკოვა საკვალიფიკაციო ბადეში მე-13 ნომრად არის განთესილი.

ესპანეთში სენტ ბოის ტურნირში (10 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში **სოფიო ქვაცაბაია** თამაშობს. ის მე-11 ნომრად განთესილია, პირველ წრეში ქვაცაბაიამ პორტუგალიელი **კარლა კაეტანო** დაამარცხა – 6:4, 6:3. მეორე წრეში მან ესპანელი **სინტია პრიეტო გარსია** დაამარცხა – 6:4, 6:1. ფინალურ წრეში ქართველი ფრანგ **ნატალი პისიონს** შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


მაკა ჩახნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლევან ცაბაძესთან

# იმედი გვაქვს, რუსებთან უძლიერესი გუნდი გვეყოლება

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა წლეულს ერთა თასის გათამაშებაში პირველი გასვლითი შეხვედრა გამართა. ბორჯღალოსნები პორტუგალიიდან შინ გამარჯვებულნი დაბრუნდნენ. ლისაბონური მატჩის პერიპეტიებსა და სამომავლო გეგმებზე ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტს, ლევან ცაბაძეს ვესაუბრეთ.**

- ლისაბონში ძალიან მძიმე მატჩი გვქონდა. მასპინძელთა ბედად, თამაშის დღეს თავსხმა წვიმა წამოვიდა. გადაუღებლად წვიმდა. მოედანი ატალახდა. გადაადგილება ჭირდა. არადა გვინდოდა, თამაში გაგვეშალა. შერკინებით თამაშზე ნაკლებად ვაკეთებდით აქცენტს. დასაწყისში ვცადეთ კიდეც ხელდახელ გვეთამაშა, მაგრამ რთული პირობების გამო, რამდენჯერმე შეცდომა დავუშვით. ამის შემდეგ ისევ ძველებურ, მრავალნაცად შერკინებით თამაშს მივმართეთ.

**- თუმცა, როგორც ანგარიშიდან ჩანს, ამან საგრძნობი უპირატესობა ვერ მოგვიტანა.**

- ანგარიშიდან კი ეგრე ჩანს, მაგრამ მოედანზე ვითარება რადიკალურად განსხვავებული იყო. თუ არ ჩავთვლით მეორე ნახევრის პირველ 15 წუთს, მეტოქის ოცდაორმეტრიანი ზონიდან ფაქტობრივად, არ გამოვსულვართ.

პირველ ნახევარში დავალებული გვქონდა, საჯარიმოები კარში არ დაერტყათ და ბურთი აუტში გადაეტანათ. სამი დასარტყმელი ჯარიმა აუტში დავარტყით. სამივეჯერ დერეფანი სუფთად მოვიგეთ, მოლი დავაყენეთ და როგორც კი დავძარით, სამივეჯერ არბიტრმა ბლოკირება დააფიქსირა. შოტლანდიელმა რეფერიმ შემდეგშიც ბევრჯერ აგვიშალა ნერვები. შერკინებაში ჩასვლისას, მიწოლის საშუალებას არ გვაძლევდა, ეგრევე თავისუფალ დარტყმას აფიქსირებდა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი მოედნიდან 10 წუთით აბუსერიძე არაფრისთვის გააგდო.

არ მინდა მსაჯობაზე წუწუნი გამომივიდეს, მაგრამ ფაქტია, პორტუგალიელები ყველა ხრიკებით ცდილობდნენ სანადელის მიღწევას. ცხადია, არც ჭუჭყიან თამაშს ერიდებოდნენ. ბიჭებმა ყველაფერს გაუძლეს.

**- როგორ გამოიყურებოდა. უკანა ხაზი?**

- უკანახაზელებმა კარგად ითამაშეს. მთელი ორი ტაიმის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძოლეს. ცხადია მცირეოდენი შეცდომები ჰქონდათ, მაგრამ არა ისეთი, წაგების ფასად დაგვჯდომოდა. მთლიანობაში მათით კმაყოფილი ვარ.

**- შერკინების მესამე ხაზში დებიუტანტი გვყავდა - სიმონ მაისურაძე, როგორ წარმოაჩინა მან თავი?**

- სიმონ მაისურაძე, შეიძლება ითქვას, აღმოჩენაა. მაგრამ, მას გუნდისთვის სარგებლობის მოტანა უფრო პირველ ხაზში, კვაჭის პოზიციაზე შეუძლია, ვიდრე მესამე ხაზში, მლეტელად. ფიზიკურად ძლიერია, სხარტია და ბურთისთვის შეუპოვარი მებრძოლი. გადაწყვეტილებების თამამად მიღებაც შეუძლია დამოუკიდებლად. კლერმონის ახალგაზრდულ გუნდშიც ამ პოზიციაზე ხშირად ათამაშებენ ხოლმე. უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხაზში გუნდში საკმაოდ სერიოზული კონკურენციაა და ადგილი შემადგენლობაში გარანტირებული არავის აქვს.

**- წინ ერთა თასის კიდევ სამი თამაშია დარჩენილი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი კრასნოიარსკში, რუსებთან შეხვედრაა. ამ მატჩებში კიდევ ხომ არ გამოჩნდებიან დებიუტანტები?**

- რუსეთამდე, რომლებსაც 12 აპრილს ვხვდებით, ორი კვირით ადრე პრაღაში ჩეხებს ვეთამაშებით. ეს მატჩი რუსებთან თამაშის გენერალური რეპეტიცია უნდა იყოს და ამიტომ ექსპერიმენტებისგან ალბათ, თავს შევიკავებთ. რაც შეეხება კრასნოიარსკულ შეხვედრას, იმედი გვაქვს, ყველა ძირითად მოთამაშეს შევკრებთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**





ორი ფრაგმენტი ლისაბონის მატჩიდან

## სუმო

# ყველამ წინ წაიწია

გუშინ ტოკიოში სუმოისტთა ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც პროფესიონალები ოსაკას ბაშოზე (9-23 მარტს) იჭიდავებენ. სამივე ქართველმა სუმოისტმა წინ მნიშვნელოვნად წაიწია, ასე რომ ბაშოს ისინი კარგი განწყობით შეხვდებიან. **ლევან ცაგურია (კოკაი)** მეცხრე მაეგაშირა იყო, იანვრის ბაშო მან 9-6 ბალანსით დაასრულა. დღეისთვის კოკაი დასავლეთის მეხუთე მაეგაშირაა. კოკაი 189 სმ სიმაღლისაა და 148 კილოს იწონის. კარიერაში მას 282 მოგება აქვს, ხოლო 230 - ნაგება. მხოლოდ მაკუუჩიში ყოფილ კომუსუბის ჯერ უარყოფითი ბალანსი აქვს: 185-190. მარტის ბაშოზე კომუსუბის რანგში დებიუტი **ტაკეკაძეს** ექნება. უმაღლეს დივიზიონში კი ერთი დებიუტანტია – **საკაიძავა**.

ძურიოს დივიზიონს ქართველი ჩემპიონი ჰყავს – **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**, რომელმაც იანვრის ბაშო 12-3 ბალანსით მოიგო. ტოჩინოშინი მე-12 ძურიო იყო, ახლა კი აღმოსავლეთის მე-4 ძურიოა. მარტის ბაშოზე მას, სავარაუდოდ, არ ეყოფა მხოლოდ დადებითი ბალანსით ტურნირის დასრულება. ელიტის კარის შესაღებად მას, ალბათ, 10 მოგება დასჭირდება. ტოჩინოშინი 191 სმ. სიმაღლისაა და 145 კილოს იწონის. მას 66 მოგება და 18 მარცხი აქვს კარიერაში.

21 წლის **თეიმურაზ ჯუღელი** (გაგამარუ) 4-3 ბალანსის წყალობით მაკუშიტას დივიზიონში 27-ე საფეხურამდე ავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**თებერვლის ბანძუკე**

| აღმოსავლეთი | რანგი | დასავლეთი |
|---|---|---|
| ჰაკუჰო | იოკოძუნა | ასაშორიუ |
| კოტოოშუ | ოძეკი | კოტომიცუკი |
| კაიო | ოძეკი | ჩიოტაიკაი |
| ამა | სეკივაკე | კოტოშოგიკუ |
| კისენოსატო | კომუსუბი | ტაკეკაძე |
| ასასეკირიუ | მაეგაშირა 1 | კაკურიუ |
| ამინიშიკი | მ2 | მიაბიამა |
| ტოკიტენკუ | მ3 | ტოიონოშიმა |
| ვაკანოჰო | მ4 | კიოკუტენჰო |
| ვაკანოსატო | მ5 | კოკაი |
| როჰო | მ6 | დეჯიმა |
| ბარუტო | მ7 | ჰოკუტორიკი |
| გოეიდო | მ8 | ტოჩინონადა |
| ივაკიამა | მ9 | კასუგაო |
| ფუტენო | მ10 | ტამაკასუგა |
| ტოიოჰიბიკი | მ11 | ტაკამისაკარი |
| ტოჩიოძანი | მ12 | იოშიკაძე |
| ჰომაშო | მ13 | იჩიჰარა |
| კაიჰო | მ14 | კაკიძოე |
| ვაკაკირინი | მ15 | საკაიაძავა |
| ოცუკასა | მ16 | რიუო |

## მილოცვა

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი დაბადებიდან 55 წელს ულოცავს ვეტერან ფალავანს, სპორტის ოსტატს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ავთანდილ რეხვიაშვილს.

## თარიღი

არჩილ ბაქრაძე. 26.02.1892, თბილისი - 23.08.1959, იქვე. ტანვარჯიში, სპორტის მოღვაწე. "თბილისის ტანვარჯიშის საზოგადოების" აქტიური წევრი, "სოკოლის" შეჯიბრებებში არაერთგზის გამარჯვებული, საზოგადოება "შევარდენის" ერთ-ერთი დამაარსებელი. მისი თაოსნობით 1935 წელს თბილისში გაიხსნა ბავშვთა ერთ-ერთი პირველი სპორტული სკოლა. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ვაჟა ქლენტი. დაიბადა 26.02.1928, თბილისი. კალათბურთი. თამაშობდა თბილისის "დინამოში". სსრკ სამგზის ჩემპიონი (1950, 53, 54), მესემე პრიზიორი (1952) და სსრკ თასის ორგზის (1950, 51) მფლობელი. მსოფლიოს ახალგაზრდული ფესტივალის მესამე პრიზიორი (1954), დინამიადის ჩემპიონი (1957). სსრკ ნაკრების წევრი (1951-54). თბილისის "დინამოს" (ეროვნული) სტადიონის დირექტორი (1986-92). სპორტის დამსახურებული მუშაკი.

## განცხადება

სამშაბათს, 26 თებერვალს, 13 საათზე, ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიაში გაიმართება პრესკონფერენცია, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციისა და მისი მთავარი სპონსორის, "რაკიინ დეველოპმენტის" სამომავლო ურთიერთობის თაობაზე.

*საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრესცენტრი*

# კანადა ჩავტოვეთ

„ბორჯღალოსნებმა" პორტუგალიის ნაკრების 11:6 ძლევით ლისაბონში IRB-ის რეიტინგში სარეკორდო, მე-14 პოზიცია შეინარჩუნეს, თანაც მდევარ კანადასთან სხვაობა 0,58 ქულამდე გაზარდეს. მართალია, პორტუგალიის ნაკრები რეიტინგში საქართველოს ნაკრებზე ქვემოთ არის, მაგრამ ჩვენებს სტუმრად გამარჯვება დაუფასდათ, ქართველებს 15-ქულიანი სხვაობით, რომ მოეგოთ, კიდევ უფრო მეტით მოიმატებდნენ, თუმცა წინ მაინც ვერ წაიწევდნენ, რადგან ტონგა დღეისთვის 3,68 ქულით გვისწრებს. პორტუგალიის ნაკრებმა ნაგებით მსოფლიო კლასიფიკაციის 22-ე ადგილი არ დაკარგა, თუმცა კორეა 1,49 ქულამდე მიიახლოვა.

რეიტინგში ქულები რუმინელებსაც მოემატათ, თუმცა „მუხის ფოთლები" კვლავ მე-16 ადგილზე დარჩნენ. ამის მიზეზი ესპანეთის ნაკრების მადრიდში 17:11 დამარცხებაა (სხვათა შორის, მატჩს 12 ათასი მაყურებელი დაესწრო).

რეიტინგში ათეულში მხოლოდ ერთი ცვლილებაა, ექვსი ერის მატჩში გამარჯვების შემდეგ ინგლისმა მეოთხე პოზიციიდან ავსტრალია ჩაანაცვლა.

**IRB-ის რეიტინგ-ლისტი**

| | |
|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 90.81 |
| ახალი ზელანდია | 89.59 |
| არგენტინა | 87.42 |
| ინგლისი | 84.96 |
| ავსტრალია | 82.20 |
| საფრანგეთი | 81.00 |
| ირლანდია | 78.81 |
| უელსი | 77.27 |
| ფიჯი | 75.88 |
| შოტლანდია | 74.19 |
| იტალია | 72.52 |
| სამოა | 71.61 |
| ტონგა | 71.51 |
| საქართველო | 67.83 |
| კანადა | 67.25 |
| რუმინეთი | 66.94 |
| რუსეთი | 65.88 |
| იაპონია | 65.35 |
| აშშ | 64.68 |
| ურუგვაი | 63.18 |
| ესპანეთი | 61.37 |
| პორტუგალია | 59.37 |
| ..34. ჩეხეთი | 51.92 |

ექვსი ერის პირველობა

# უელსი წინაა

ინგლისის ნაკრებმა სტად დე ფრანსზე 24:13 დაამარცხა საფრანგეთის ნაკრები და ექვსი ერის წლევანდელი პირველობა უფრო საინტერესო გახადა. არადა ფრანგებმა სპეციალურად ამ მატჩისთვის ნაკრებში „ინგლისოლოგი" **დიმიტრი იაშვილი** (რომლის ანგარიშზე ერთი საჯარიმოა) დააბრუნა. **ჯონი უილკინსონმა** სამი საჯარიმო, გარდასახვა და არეკნი მიითვალა, ჯამში 14 ქულა. ექვსი ერის პირველობას კვლავ უელსი ლიდერობს დაუმარცხებლად. კელტებმა კარდიფში იტალიის ნაკრებს ხუთი ლელო გაუტანეს, რასაც ოთხი საჯარიმო **სტივენ ჯოუნზმა** მიაყოლა. ორ-ორი ლელო **ლი ბერნიმ** და **შეინ უილიამსმა** გაიტანეს.



ბურთით ჯონი ვილკინსონი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**მესამე ტური. 23 თებერვალი**

**უელსი-იტალია 47:8**

*5 ლელო (ბერნი 2, შენკლინი, შ. უილიამსი 2), 5 გარდასახვა (ს. ჯოუნზი 3, ჰაქი 2), 4 საჯარიმო (ს. ჯოუნზი) – ლელო (კასტროჯოვანი), საჯარიმო (მარკატო)*

**ირლანდია-შოტლანდია 34:13**

*4 ლელო (დ. უოლესი, კირნეი, ჰორანი, ბოუი 2), 3 გარდასახვა (ოგარა), საჯარიმო (ოგარა) – ლელო (ვებსტერი), გარდასახვა (პატერსონი), 2 საჯარიმო (პატერსონი)*

**საფრანგეთი-ინგლისი 13:24**

*ლელო (ნალე), გარდასახვა (ტრაი), 2 საჯარიმო (პარა, იაშვილი) – 2 ლელო (საქი, უიგლესვორზი), გარდასახვა (უილკინსონი), 3 საჯარიმო (უილკინსონი), არეკნი (უილკინსონი)*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 103-42 | 6 |
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 71-50 | 4 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 66-51 | 4 |
| ინგლისი | 3 | 2 | 0 | 1 | 66-58 | 4 |
| იტალია | 3 | 0 | 0 | 3 | 38-86 | 0 |
| შოტლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 34-91 | 0 |



სელიანეს რეკორდს ულოცავენ

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# სელიანეს მე-20 ჰეთ-თრიკი

**მინესოტა-კალგარი 1:2**

0:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ლენგკოუ-25 (იგინლა-37, პუსელიუსი-35), 0:2 კონროი-9 (ნოლანი-2, მ. ნილსონი-2), 1:2 პერიში-15 (მ. კოივუ-18).

**პიტსბურგი-სან ხოსე 1:2 (ბ)**

0:0, 0:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ჩიჩუ-18 (ჯ. ტორნტონი-54, შელეი-4), 1:1 ე. კრისტენსენი-9 (გონჩარი-41, ტეფი-3).

**ბულიტები გაიტანეს:** ე. კრისტენსენი (პიტსბურგი), პაველსკი (სან ხოსე), ჩიჩუ (სან ხოსე), ი. რუუტუ (პიტსბურგი), რიონიკი (სან ხოსე).

**ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი 1:2 (ო)**

0:0, 0:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ლანგენბრუნერი-11 (პ. მარტინი-23, ელიაში-28), 1:1 სიომინი-19 (ოვეჩკინი-34, ბექსტრიომი-41), 1:2 მადენი-18 (ელიაში-29, ოდუია-16).

**რეინჯერსი-ფლორიდა 5:0**

1:0, 2:0, 2:0

**გოლები:** 1:0 გომესი-14 (შენეჰანი-18, ტიუტინი-13), 2:0 მალიკი-1 (სტრაკა-18, გომესი-46), 3:0 იაგრი-17 (მ. ეივერი-14), 4:0 დეივსი-10 (მალიკი-5, გომესი-47), 5:0 სტრაკა-11 (კელეჰანი-1, დრური-26).

**ანაჰაიმი-ჩიკაგო 6:3**

3:1, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 სელიანე-4 (გეტცლაფი-46, კუნიტცი-23), 2:0 გეტცლაფი-21 (პერი-23, ბერტუცი-19), 3:0 სელიანე-5 (გეტცლაფი-47, პრონგერი-31), 3:1 შარპი-30 (ჯეისონ უილიამსი-13, ტეუვზი-22), 4:1 ჰასკინსი-4 (კუნიტცი-24, სელიანე-4), 4:2 შარპი-31 (ტეუვზი-23), 4:3 სიბრუკი-8 (შარპი-18, ტეუვზი-24), 5:3 სელიანე-6 (კუნიტცი-25, ბოშემენი-19), 6:3 კუნიტცი-19 (სელიანე-5, პალსონი-5).

**ედმონტონი-კოლორადო 3:2**

0:2, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 არნასონი-8 (ბრუნეტი-28, სვატოსი-8), 0:2 გიტი-9 (საკიკი-16, ვოლსკი-25), 1:2 სემ განიე-7 (ჰემსკი-37, პიტკანენი-10), 2:2 გლენკროსი-8 (ბროძიაკი-11), 3:2 კოლიანო-10 (რ. ნილსონი-19, გრებეშკოვი-10).

**ფინიქსი-სენტ ლუისი 2:0**

0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ზ. მიხალეკი-3 (ვრბატა-24, რაინპრეხტი-27), 2:0 ჟ. პერო-7 (ბალარდი-11, რაინპრეხტი-28).

**ზურის მოვლენები**

- "მინესოტას" დამარცხების შემდეგ, "კალგარიმ" მეტოქეს ჩრდილო-დასავლეთ დივიზიონში ლიდერობა ჩამოართვა.

- "ფლეიმზმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო, ხოლო ბოლო რვა შეხვედრაში ექვსი მოგება დაუგროვდა.

- "კალგარიმ" ზედიზედ მეოთხედ დაამარცხა "მინესოტა".

- "მინესოტამ" ზედიზედ მესამე შეხვედრა წააგო.

- "კალგარიმ" ბოლო სამ შეხვედრაში, მეტოქეებზე ჯამში 48 დარტყმით ნაკლები შეასრულა, მაგრამ სამივე მატჩი მოიგო.

- "მინესოტამ" ბოლო ექვს საშინაო შეხვედრაში ოთხი მარცხი განიცადა.

- მინესოტელმა მცველმა **კეიტ კარნიმ** კარიერაში მე-1000 მატჩი ჩაატარა.

■ ■ ■

- პიტსბურგელთა რუსმა ლეგიონერმა **ევგენი მალკინმა** ზედიზედ მეორე მატჩში ვერ შეძლო ქულის ალება. მანამდე, ახალგაზრდა ფორვარდი ზედიზედ 10 შეხვედრაში აგროვებდა მინიმუმ ქულას და ამ ტურამდე 82 ქულით, რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იყო.

■ ■ ■

- "ნიუ ჯერსიმ" "ოტავას" გაასწრო და 2001 წლის შემდეგ პირველად ჩაუდგა სათავეში აღმოსავლეთ კონფერენციას.

- "ეშმაკებმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგეს. ამ გუნდის კარს ზედიზედ 22 მატჩია **მარტინ ბროდო** იცავს და ამ სერიისას, მან 14 გამარჯვებას მიაღწია.

- ვაშინგტონელთა ლიდერი **ალექსანდრ ოვეჩკინი** 83 ქულით სათავეში ჩაუდგა ბომბარდირთა დავას. თუმცა რუსი ფორვარდი ზედიზედ ხუთი მატჩია უგოლოდ ტოვებს მოედანს.

■ ■ ■

- "რეინჯერსის" მეკარემ **ჰენრიკ ლუნდკვისტმა** 23 დარტყმა მოიგერია და მერვე შატაუტი შეასრულა.

- "ფლორიდამ" ბოლო 5 მატჩში მეოთხედ წააგო.

- "რეინჯერსის" ფორვარდმა **იარომირ იაგრმა** ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა გოლი. მანამდე, ჩეხი ვეტერანი 12 თამაშის განმავლობაში ვერ ახერხებდა მეტოქეთა კარის ალებას.

■ ■ ■

- 1998-99 წლების სეზონში "ანაჰაიმის" ფორვარდმა **ტეემუ სელიანემ** "მორის რიშარ ტროფი" მოიპოვა, როგორც ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა. გუშინდელ მატჩში კი, ფინელმა ვეტერანმა **მორის რიშარს** ლიგის საუკეთესო გოლეადორთა სიაში გადაასწრო. სელიანეს 546 გოლი დაუგროვდა და 25-ე ადგილზე გადაინაცვლა.

- "ჩიკაგოსთან" მატჩში სელიანემ კარიერაში მე-20 ჰეთ-თრიკი შეასრულა. გარდა ამისა, მე-600 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

- კარიერის განახლების შემდეგ, სელიანემ 10 მატჩი ჩაატარა და 11 ქულა (6+5) დააგროვა. ამ 10 შეხვედრიდან "ანაჰაიმმა" 9 მოიგო.

- ჩიკაგოელ **პატრიკ შარპს** ამ სეზონში 30-ზე მეტი შაიბა დაუგროვდა. 2001-02 წლების სეზონის შემდეგ, შარპი გახდა "ჩიკაგოს" პირველი ჰოკეისტი, რომელმაც ამ ზღვარს გადააბიჯა. ბოლოს ამ გუნდის რიგებში 30 შაიბა **ერიკ დაზემ** გაიტანა.

■ ■ ■

- "კოლორადოს" რიგებში დაბრუნდა კაპიტანი **ჯო საკიკი**, რომელმაც ტრავმის გამო 38 შეხვედრა გამოტოვა. ვეტერანმა ფორვარდმა ერთი საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში.

- "ედმონტონმა" შეწყვიტა 3-მატჩიანი წაგებათა სერია.

- "კოლორადომ" ბოლო შვიდ მატჩში მეექვსედ წააგო და 4 ქულით დაცილდა პლეიოფის ზონას.

- "ედმონტონის" დებიუტანტი **სემ განიე** ზედიზედ 9 მატჩია ქულის გარეშე არ ტოვებს მოედანს.

■ ■ ■

- "ფინიქსის" მეკარემ **ილია ბრიზგალოვმა** სეზონში მეორე, კარიერაში კი, მეოთხე შატაუტი შეასრულა. რუსმა გოლკიპერმა 35 დარტყმა მოიგერია.



ტურნირების მიმოხილვა

# მარიას მეორე გამარჯვება

ამერიკელი **ენდი როდიკის** გამარჯვებით დასრულდა სან ხოსეს (კალიფორნია) ღია პირველობა, რომლის ფინალშიც მან ორ სეტში ჩეხ **რადეკ შტეპანეკს** მოუგო. მისთვის ჩვეული იარაღის, ძლიერი მოწოდების გარდა, როდიკი ხაზიდანაც შესანიშნავად ირჯებოდა, რისი წყალობითაც, სეზონში პირველი ტურნირის მოგება შეძლო.

*"ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. ხანდახან, ჩემი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ მომდევნო ეტაპზე გავსულიყავი. თავიდან ტურნირის მოგებაზე არც მიფიქრია, მაგრამ შემდეგ ვიგრძენი, რომ ეს შემეძლო და ამბიციაც შესაბამისად გამეზარდა. საერთო ჯამში კი ბედნიერი ვარ, რომ ფორმაში შევედი"*, - განაცხადა როდიკმა, ვისაც სან ხოსემდე, ბოლო ტურნირი შარშან, ვაშინგტონში ჰქონდა მოგებული.

ბუენოს აირესის ღია პირველობა კი არგენტ ინელი **დავიდ ნალბანდიანის** გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც ფინალში თავისი თანამემამულე **ხოსე აკასუსო** დაამარცხა. პირველი სეტი აკასუსომ მოიგო და მასვე მეორეში თამაშის მოგების შანსიც ჰქონდა, მაგრამ მსოფლიოს მე-11 ჩოგანმა გამოცდილების წყალობით შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და გადამწყვეტ სეტში თავად მოიპოვა გამარჯვება. სხვათა შორის, მან არგენტინული ტურნირი პირველად მოიგო.

ფრანგი **მიშელ ლოდრას** გამარჯვებით დასრულდა როტერდამის ტურნირი, რომლის ფინალშიც მან სამ სეტში აჯობა შვედ **რობინ სოდერლინგს** და მიმდინარე სეზონში მეორე ტიტული მოიპოვა. ნალბანდიანის მსგავსად, ლოდრამაც პირველი სეტი წააგო, მაგრამ შემდეგ თამაშში გარდატეხა შეტანა. ოღონდ, ამ შეხვედრაში გამარჯვებული გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზე გამოვლინდა. ნამატჩევს ლოდრამ განაცხადა, ტურნირის ბადე რომ ვნახე, ვიფიქრე, რომ აქ გამარჯვება ძალიან ძნელი იქნებოდა. ჰოდა, ამ ტრიუმფით ორმაგად გახარებული ვარო.

დოჰაში კი, ყატარის ღია პირველობა სრულიად რუსულმა ფინალმა დააგვირგვინა, რომელშიც **მარია შარაპოვას** სამი სეტი დასჭირდა **ვერა ზვონარევას** დასამარცხებლად. აღსანიშნავია, რომ თითქმის ერთი წლის წინ, ამ ორი ჩოგბურთელის შეხვედრა (ინდინ ველსზე) ზვონარევას გამარჯვებით დასრულდა. დოჰას ფინალიც მან საკუთარ სერვისზე წაგებული ქულით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ექვსი გეიმი მოიგო და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა. მეორე სეტი საპირისპირო სცენარით წარიმართა. ამჯერად ზვონარევამ ივარგა, თუმცა გადამწყვეტ სეტში ისევ ავსტრალიის ღიას ჩემპიონმა ივარგა, რომელიც სეტის დასაწყისშივე დაეუფლა უპირატესობას და ის თამაშის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვია.

**ATP**

**ABN AMRO World Tennis**

როტერდამი (ჰოლანდია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 824 000 ევრო

**1/4 ფინალი**

**რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:3, 6:2; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:3, 6:1; **ჟილ სიმონი (საფ)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:3, 6:2; **მიხაელ ლოდრა (საფ)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 7:6 (5), 7:6 (5).

**1/2 ფინალი**

**რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-ჟილ სიმონი (საფ) 6:2, 6:1; **მიხაელ ლოდრა (საფ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 7:5, 7:6 (4).

**ფინალი**

**მიხაელ ლოდრა (საფ)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ) 6:7, 6:3, 7:6.

**Copa Telmex**

ბუენოს აირესი (არგენტინა). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 466 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**დავიდ ნალბანდიანი (არგ, 1)**-პოტიტო სტარაჩე (იტა, 7) 4:6, 7:6 (5), 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 4)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 5) 6:3, 2:1 ალმაგროს უარი; **ხოსე აკასუსო (არგ)**-იგორ ანდრეევი (6) 3:6, 6:1, 6:3; **ფილიპო ვოლანდრი (იტა, 8)**-აგუსტინ კალერი (არგ) 6:4, 6:4.

**1/2 ფინალი**

**დავიდ ნალბანდიანი (არგ, 1)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 4) 6:1, 6:2; **ხოსე აკასუსო (არგ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა, 8) 4:6, 6:4, 6:4.

**ფინალი**

**დავიდ ნალბანდიანი (არგ, 1)**-ხოსე აკასუსო (არგ) 3:6, 7:6, 6:4.

**SAP Open**

სან ხოსე (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 436 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 1)**-მარდი ფიში (აშშ) 7:6 (6), 1:6, 7:5; **რობი ჯინეპრი (აშშ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 2) 6:2, 6:2; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 4)**-იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:2, 7:6 (5); **გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ)**-ჯონ ისნერი (აშშ) 7:6 (4), 6:7 (1), 7:6 (11).

**1/2 ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 1)**-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ) 7:6 (2), 6:1; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 4)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 6:7 (5), 6:4, 6:1.



მარია შარაპოვა ოქროს ორბით

**ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 1)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 4) 6:4, 7:5.

**WTA**

**Qatar Total Open**

დოჰა (კატარი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 500 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ნა ლი (ჩინ)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 3) 6:3, 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 4)**-კაროლინ ვოზნიაჩკი (დან) 6:0, 6:1; **ვერა ზვონარევა (რუს)**-სიბილ ბამერი (ავსტრია, 15) 2:6, 6:2, 6:0; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 16)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:4, 6:7 (1), 6:4.

**1/2 ფინალი**

**მარია შარაპოვა (რუს, 4)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 16) 6:4, 6:3; **ვერა ზვონარევა (რუს)**-ნა ლი (ჩინ) 3:6, 6:3, 6:3.

**ფინალი**

**მარია შარაპოვა (რუს, 4)**-ვერა ზვონარევა (რუს) 6:1, 2:6, 6:0.

**Copa Colsanitas**

ბოგოტა (კოლუმბია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 185 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ)**-სარა ერანი (იტა, 6) 7:5, 6:1; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-კატალინა კასტანიო (კოლ) 7:6 (2), 6:4; **ბეტინა ხოსამი (არგ)**-მარტინა მიულერი (გერ, 9) 6:3, 6:1; **ემილია სალერნი (არგ)**-მარიანა დუკე მარინო (კოლ) 6:3, 4:6, 6:4.

**1/2 ფინალი**

**ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ)**-ბეტინა ხოსამი (არგ) 6:2, 6:2; **ემილია სალერნი (არგ)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ) 3:6, 7:6 (3), 6:3.

**ფინალი**

**ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ)**-ემილია სალერნი (არგ) 6:0, 6:4.

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6630 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5980 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 5070 |
| 4(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 2695 |
| 5(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2640 |
| 6(6). ენდი როდიკი (აშშ) | 2120 |
| 7(7). რიშარ გასკე (საფ) | 1885 |
| 8(11). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1875 |
| 9(9). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1710 |
| 10(12). ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1685 |
| 11(8). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1670 |
| 12(10). ენდი მარეი (ბრიტ) | 1625 |
| 13(13). კარლოს მოია (ესპ) | 1585 |
| 14(15). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 1515 |
| 15(16). პოლ-ანრი მატიო (საფ) | 1495 |
| 16(17). ტომი რობრედო (ესპ) | 1490 |
| 17(18). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1470 |
| 18(19). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1460 |
| 19(20). ხუან-კარლოს ფერერო (ესპ) | 1455 |
| 20(21). მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 1455 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 203 |
| 2(2). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 155 |
| 3(3). რაფაელ ნადალი (ესპ) | 119 |
| 4(14). მიხაელ ლოდრა (საფ) | 107 |
| 5(4). მიხაილ იუჟნი (რუს) | 95 |
| 6(5). ენდი მარეი (ბრიტ) | 91 |
| 7(6). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 90 |
| 8(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 82 |
| 9(7). ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 77 |
| 10(8). იარკო ნიემინენი (ფინ) | 74 |
| 11(10). დავიდ ფერერი (ესპ) | 63 |
| 12(11). ხუან-კარლოს ფერერო (ესპ) | 57 |
| 12(15). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 57 |
| 14(12). პოლ-ანრი მატიო (საფ) | 56 |
| 15(29). ჟილ სიმონი (საფ) | 55 |
| 16(13). ხუან მონაკო (არგ) | 54 |
| 16(13). დმიტრი ტურსუნოვი (რუს) | 54 |
| 18(71). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 52 |
| 19(16). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 50 |
| 19(57). ენდი როდიკი (აშშ) | 50 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 233 226 |
| 2. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 663 581 |
| 3. მიხაელ ლოდრა (საფ) | 466 118 |
| 4. რაფაელ ნადალი (ესპ) | 361 647 |
| 5. ენდი მარეი (ბრიტ) | 322 169 |
| 6. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 305 270 |
| 7. მიხაილ იუჟნი (რუს) | 275 765 |
| 8. ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 234 426 |
| 9. იარკო ნიემინენი (ფინ) | 222 236 |
| 10. ჯონათან ერლიხი (ისრ) | 215 320 |
| 10. ენდი რამი (ისრ) | 215 320 |
| 12. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 206 775 |
| 13. დავიდ ფერერი (ესპ) | 181 040 |
| 14. დმიტრი ტურსუნოვი (რუს) | 179 674 |
| 15. ჟილ სიმონი (საფ) | 152 320 |
| 16. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 145 149 |
| 17. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 143 773 |
| 18. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 142 103 |
| 19. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 142 047 |
| 20. პოლ-ანრი მატიო (საფ) | 139 261 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 6530 |
| 2(3). ანა ივანოვიჩი (სერ) | 3822 |
| 3(2). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3725 |
| 4(4). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3670 |
| 5(5). მარია შარაპოვა (რუს) | 3526 |
| 6(6). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2835 |
| 7(8). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2677 |
| 8(7). ვენუს უილიამსი (აშშ) | 2645 |
| 9(9). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2198 |
| 10(10). სერენა უილიამსი (აშშ) | 2022 |
| 11(11). ელენა დემენტიევა (რუს) | 1915 |
| 12(12). პატი შნიდერი (შვეიც) | 1751 |
| 13(13). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1693 |
| 14(14). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1627 |
| 15(15). დინარა საფინა (რუს) | 1627 |
| 16(16). ნადია პეტროვა (რუს) | 1569 |
| 17(18). აგნეს შავაი (უნგ) | 1469 |
| 18(17). შაარ პეერი (ისრ) | 1445 |
| 19(20). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1442 |
| 20(19). სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1366 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუს) | 1465 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერ) | 890 |
| 3. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 800 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 635 |
| 5. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 625 |
| 6. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 576 |
| 7. ნა ლი (ჩინ) | 565 |
| 8. ვერა ზვონარევა (რუს) | 437 |
| 9. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 368 |
| 10. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 345 |
| 11. ვენუს უილიამსი (აშშ) | 315 |
| 12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 300 |
| 13. ფლავია პენეტა (იტა) | 271 |
| 14. ელენა დემენტიევა (რუს) | 266 |
| 15. შაარ პეერი (ისრ) | 255 |
| 15. კაროლინ ვოზნიაჩკი (დან) | 255 |
| 17. სერენა უილიამსი (აშშ) | 250 |
| 18. ტიმეა ბაშინსკი (შვეიც) | 249 |
| 19. კარინ კნაპი (იტა) | 243 |
| 20. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) | 237 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუს) | 1 559 076 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერ) | 627 140 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 368 238 |
| 4. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 335 998 |
| 5. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 334 135 |
| 6. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 290 847 |
| 7. ვერა ზვონარევა (რუს) | 257 558 |
| 8. კატერინა ბონდარენკო (უკრ) | 245 508 |
| 9. ალიონა ბონდარენკო (უკრ) | 241 506 |
| 10. ნა ლი (ჩინ) | 208 597 |
| 11. ვენუს უილიამსი (აშშ) | 198 373 |
| 12. შაარ პეერი (ისრ) | 180 820 |
| 13. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 167 287 |
| 14. სერენა უილიამსი (აშშ) | 166 288 |
| 15. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 157 204 |
| 16. კაროლინ ვოზნიაჩკი (დან) | 137 652 |
| 17. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 127 310 |
| 18. ა. მედინა გარიგესი (ესპ) | 122 921 |
| 19. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 115 701 |
| 20. ჟი იანი (ჩინ) | 113 716 |

# ჰოკეი

## ზუბოვი ჯერ ვერ დაბრუნდება

"დალას სტარზს" კიდევ 3-4 კვირა მოუწევს თავისი ერთ-ერთი წამყვანი მცველის, **სერგეი ზუბოვის** გარეშე თამაში. ასეთი ვერდიქტი გამოიტანეს ექიმებმა მას შემდეგ, რაც ჰოკეისტის ტრავმირებული ფეხი გამოიკვლიეს. რუს მოთამაშეს ართროსკოპიული ოპერაციის გადატანა მოუწევს და დაახლოებით ერთი თვე სწორედ ამის გამო ვერ ითამაშებს.

ზუბოვმა ბოლო 17 მატჩი უკვე გამოტოვა, ხოლო სხვადასხვა ტრავმების გამო, მას 20 შეხვედრა გაუცდა.

## რეინჯერსმა მარსელ ჰოსა დაიბრუნა

"ნიუ იორკ რეინჯერსმა" ამერიკის ჰოკეის ლიგიდან (AHL) გამოიძახა სლოვაკი ფორვარდი **მარსელ ჰოსა**.

26 წლის თავდამსხმელი წელს, NHL-ში თავის მეექვსე სეზონს (და ყველაზე წარუმატებელს) ატარებს - 35 მატჩში მის ანგარიშზე 8 ქულა (1+7) მოდის.

AHL-ის კლუბ "ჰართფორდში" ჰოსა 14 იანვარს მოხვდა, როცა ზურგის ტრავმა მიიღო და ნიუიორკელთა ხელმძღვანელობამ ის სპორტული ფორმის აღსადგენად დაბალ ლიგაში გაგზავნა.

## მარიან ჰოსა ატლანტას დატოვებს

რაც შეეხება მარსელ ჰოსას ძმას, **მარიანს**, ის ამ ორ დღეში კლუბს შეიცვლის. "ატლანტას" გენერალურმა მენეჯერმა **დონ უოდელმა** აღიარა, რომ კლუბმა ვერ მიაღწია შეთანხმებას სლოვაკ ფორვარდთან ახალი კონტრაქტის თაობაზე. ჰოსა ამ სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტი ხდება და იმის გამო, რომ კომპენსაციის გარეშე არ დარჩეს, "ატლანტა" მას სხვა გუნდს გაუცვლის.

*"არ მჯერა, რომ ამ ორ დღეში შეიძლება რამე შეიცვალოს. მარიანმა ჩვენი წინადადება არ მიიღო და ახლა ყველა სავარაუდო ვარიანტი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ"*, - განაცხადა უოდელმა, რომელიც ამბობდა, რომ გუნდის მთავარი მიზანი სლოვაკი ბომბარდირის შენარჩუნება იყო.

## მინესოტამ კაპიტანი შეინარჩუნა

"მინესოტა უაილდის" ხელმძღვანელობამ ახალი კონტრაქტი გააფორმა კაპიტანთან, **ნიკ შულცთან**, რომელიც ამ სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტი ხდებოდა. მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში, 25 წლის მცველი 21 მილიონ დოლარს მიიღებს.

შულცი ამ წლის იანვარში აირჩიეს "მინესოტას" კაპიტნად. წელს მისი ხელფასი 1.85 მილიონ დოლარს შეადგენს. მცველი უკვე ექვსი წელია "უაილდში" თამაშობს - მან NHL-ში 428 მატჩი (მესამე მაჩვენებელი კლუბის ისტორიაში) ჩაატარა, 18 გოლი გაიტანა, 55 შედეგიანი პასი შეასრულა და ტრავმის გამო მხოლოდ ერთი შეხვედრა გამოტოვა. შულცი აგრეთვე გუნდის ლიდერია ბლოკირებული დარტყმების რაოდენობით - 102.

## ტამპამ რიჩარდსის გაშვება გადაწყვიტა

26 თებერვალს, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სატრანსფერო ფანჯარა იხურება. როგორც გაირკვა, დღეს "ტამპა ბეი ლაითნინგი" თავის ერთ-ერთ ლიდერს, **ბრედ რიჩარდს** სხვა გუნდში გაუშვებს. კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე ჩააყენა საქმის კურსში ჰოკეისტი.

რიჩარდსზე პრეტენზიას "ვანკუვერი", "დალასი" და "კოლამბუსი" აცხადებენ. თუმცა ვეტერანის ტრანსფერი შესაძლოა არც შედგეს. რიჩარდსის კონტრაქტში არსებობს პუნქტი იმის შესახებ, რომ კლუბს არ შეუძლია ჰოკეისტის გაცვლა მისი თანხმობის გარეშე. ასე რომ, "ტამპას" შეფობა ფორვარდის საბოლოო პასუხს ელის. თუმცა "ლაითნინგს" თითქმის დაკარგული აქვს პლეი-ოფში მოხვედრის შანსი, რაც თავდამსხმელის სხვა გუნდში გადასვლის შანსებს ზრდის.

რიჩარდსმა 2006 წელს მოაწერა "ტამპასთან" 5-წლიან კონტრაქტს ხელი, რომლის მიხედვითაც მან 39 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. ამ სეზონში, 61 მატჩში ფორვარდის ანგარიშზე 50 ქულაა (18 გოლი+32 შედეგიანი პასი).

# სამთო თხილამურები

მსოფლიო თასი

## რიშის სუპერ კომბინაცია



მარია რიში

კანადის ქალაქ ვანკუვერის მახლობლად მდებარე სამთო კურორტ უისტლერის ფერდობმა, ვანკუვერის ოლიმპიადის დაწყებამდე ორი წლით ადრე, მსოფლიო თასის ბოლო ეტაპს, ქალების სუპერ კომბინაციას უმასპინძლა.

რბოლა საინტერესოდ წარიმართა და გერმანელი **მარია რიშის** გამარჯვებით დასრულდა. მან 0.09 წამით აჯობა ავსტრიელ **მარლის შილდს**, მესამეზე კი შვედი **ანია პერსონი** გავიდა. რიშმა სუპერგიგანტის ცდაზე მხოლოდ მეშვიდე შედეგი აჩვენა და მხოლოდ იმის გამო გაიმარჯვა, რომ სლალომის ცდაზე თითქმის ერთი წამით აჯობა შილდს.

*"სუპერგიგანტის ცდამ რბოლა მომაგებინა. სლალომის წინ მარლისს წამს ვუგებდი, მაგრამ ესეც კინაღამ არ მეყო. მეორე ცდის შესრულების წინ ძალიან ვინერვიულე. წარმოვიდგინე, რომ ერთი შეცდომის გამო, შესაძლო იყო, შინ უქულოდ დავბრუნებულიყავი. საბოლოოდ კი გამიმართლა და მოვიგე. ისე, გამართლების გარეშე გამარჯვება ხშირად შეუძლებელიც კია"*, - განაცხადა რიშმა, ვინც წინა (ერთადერთ) სუპერ კომბინაციაზე მეორე ადგილი დაიკავა (ამერიკელი **ლინდსი ვონის** შემდეგ).

სხვათა შორის, რიში სუპერგიგანტში მსოფლიო თასის კლასიფიკაციის ლიდერია, შილდი კი სლალომშია ლიდერი. ამ დისციპლინაში მას ოთხი ეტაპი აქვს მოგებული. მოსალოდნელი იყო, რომ სლალომის ხარჯზე, ავსტრიელი რიშთან წამიანი ჩამორჩენის აღმოფხვრას შეძლებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მოკლედ, რიშმა კარიერაში მეექვსე, მიმდინარე სეზონში კი მეორე გამარჯვება იზეიმა. ამ მოგებით, მას სუპერ კომბინაციის კლასიფიკაციაში 180 ქულა დაუგროვდა და ლიდერობაც გადაიბარა. 140 ქულით მეორეზე შილდი იმყოფება.

რაც შეეხება აბსოლუტურ კლასიფიკაციას, აქ ლიდერი კვლავ ამერიკელი **ლინდსი ვონია**, რომელმაც დაშვებაში მცირე გლობუსი უკვე გაინაღდა. სუპერ კომბინაციაზე ის მეექვსე ადგილს დასჯერდა.

უისტლერი (კანადა)
ქალები. სუპერ კომბინაცია

**1. მარია რიში (გერმანია) 2:10.07 (1:21.49, 48.58); 2. მარლის შილდი (ავსტრია) 2:10.16 (1:22.58, 47.58); 3. ანია პერსონი (შვედეთი) 2:10.38 (1:22.32, 48.06); 4. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 2:10.40 (1:22.27, 48.13); 5. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 2:10.63 (1:22.62, 48.01); 6. ლინდსი ვონი (აშშ) 2:10.64 (1:22.62, 48.02); 7. ჯულია მანკუზო (აშშ) 2:11.12 (1:21.91, 49.21); 8. ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) 2:11.23 (1:22.42, 48.81); 9. სანდრინ ობერი (საფრანგეთი) 2:11.38 (1:24.10, 47.28); 10. ემილი ბრაიდონი (კანადა) 2:11.87 (1:22.02, 49.85)...**

აბსოლუტური კლასიფიკაცია

**1. ლინდსი ვონი (აშშ) 1103; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1049; 3. მარია რიში (გერმანია) 981; 4. მარლის შილდი (ავსტრია) 951; 5. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 922; 6. ჯულია მანკუზო (აშშ) 846; 7. ანია პერსონი (შვედეთი) 819; 8. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 704; 9. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 629; 10. დენიზე კარბონი (იტალია) 619...**

# ტრამპლინი

მსოფლიო ჩემპიონატი

## ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი

18 წლის ავსტრიელი ტრამპლინისტის, **გრეგორ შლირენცაუერის** გამარჯვებით დასრულდა თხილამურებით მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელსაც გერმანიის ობერსტდორფმა უმასპინძლა. ოთხი ცდის ჯამში მან ყველაზე მეტ ქულას მოუყარა თავი და ტრამპლინის ისტორიაში, მისი ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი შეიქნა.

მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე შლირენცაუერი საუკეთესო ახალბედა გახდა, ამჯერად კი თავის პროფესიულ კარიერაში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია. ეს მიღწევა მით უფრო შთამბეჭდავი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ავსტრიელმა თინეიჯერმა ობერსტდორფის "საფრენ მთაზე" პირველად იასპარეზა.

აღსანიშნავია, რომ პირველი დღის ორ ცდაზე ყველაზე შორეული ნახტომები (215 და 221 მეტრი) კიდევ ერთ ავსტრიელს, **მარტინ კოხს** ჰქონდა, მაგრამ მან დაშვების ელემენტებში შეცდომები დაუშვა, რის გამოც ქულები დააკლდა. საბოლოოდ კი მეორე ადგილსა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ბრინჯაო ფინელმა **იანე აჰონენმა** მოიპოვა, ვისაც ოთხი მთის ტურნირის ხუთი ეტაპი აქვს მოგებული.

*"ეს ჩემს კარიერაში ყველაზე დიდი გამარჯვებაა, რითაც ოცნება ავისრულე. ვეცადე, ჰაერის ნაკადი გამომეყენებინა და ეს შესანიშნავად გამომივიდა. მართალი გითხრათ, ჯერაც არ გამიცნობიერებია, რასაც მივაღწიე. თუმცა, ჯერ ზეიმს არ ვაპირებ, რადგან წინ გუნდური შეჯიბრი გვაქვს"*, - განაცხადა შლირენცაუერმა, ვინც მოგვიანებით, გუნდურ ასპარეზობაშიც ოქროს მედალი მოიპოვა.

შლირენცაუერისა და კოხის გარდა, ავსტრიელთა გუნდის ტრიუმფში მონაწილეობა **თომას მორგენშტერნმა** და **ანდრეას კოფლერმაც** მიიღეს. მათგან ყველაზე შორეული ნახტომი (217 მეტრი) კი შლირენცაუერმა შეასრულა. მეორე და მესამე ადგილები კი ფინეთისა და ნორვეგიის გუნდებმა დაიკავეს.

# TV სპორტი

**26 თებერვალი. სამშაბათი**

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ევერტონი.
15:05 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
17:50 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ლევანტე.
19:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:40 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერ იუნაიტედი.
00:25 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ვილიარეალი.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:05 სპორტკლუბი.
11:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ევერტონი.
13:45 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
14:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე.
16:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-პალერმო.
17:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მიდლსბრო.
19:40 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:10 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
20:45 სპორტკლუბი.
20:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ტორინო (LIVE).
01:25 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:40 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
02:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ევერტონი.
04:00 მინი-მუნდიალი.
04:300 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-ატლანტა (LIVE).
07:10 სპორტდოსიე.
07:35 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.

### EUROSPORT

11:30 მულტისპორტი.
11:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
12:30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური. ჯგუფური ეტაპი. I დღე. ჩინეთი (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. II დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).
17:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS213. გუნდური. ობერსტდორფი. გერმანია.
18:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
19:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. II დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. II დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).
22:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
23:15 მძლეოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. კლერმონი. საფრანგეთი (LIVE).
01:00 პროფესიული კრივი.
03:00 სნუკერი. დიდების დარბაზი.
04:00 მულტისპორტი.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. როჩესტერი-ნიუ იორკი.
14:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჟეგედი (უნგრეთი)-ბარსელონა (ესპანეთი).
15:00 ახალი ამბები.
17:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გრანადა. ესპანეთი.
18:00 სნოუბორდი. ნორვეგია.
19:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. როჩესტერი-ნიუ იორკი.
20:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
21:00 ახალი ამბები.
21:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
23:15 ახალი ამბები.
23:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
01:15 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. დოჰა. კატარი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 რესტლინგი.
03:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**მანჩესტერ სიტი-ევერტონი 0:2**

**მანჩესტერ სიტი:** ჰარტი, დანი, ბოლი, ონუოჰა, რიჩარდსი, ჰამანი (46. ელანო), მ. პეტროვი, ირლანდი (68. კაისედო), ჟელსონი, ვასელი (75. კასტილიო), ბენჯანი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესქოთი, ჰიბერტი, ფ. ნევილი, იობო, იაგიელკა, კაჰილი, კარსლი, ოსმანი, პიენაარი (56. მანუელ ფერნანდესი/67. ე. ჯონსონი), აიეგბენი.

**გოლები:** 0:1 აიეგბენი (30), 0:2 ლესქოტი (38)

**გაძევება:** მ. პეტროვი (90+2. მანჩესტერ სიტი)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 20(12)-13(8); **კუთხური:** 4-7; **თამაშგარე:** 2-4; **ჯარიმა:** 6-14; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 41 728

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 27 | 19 | 7 | 1 | 56-20 | 64 |
| 2. მანჩესტერ იუნ | 27 | 19 | 4 | 4 | 55-15 | 61 |
| 3. ჩელსი | 26 | 16 | 7 | 3 | 38-17 | 55 |
| 4. ევერტონი | 27 | 15 | 5 | 7 | 43-23 | 50 |
| 5. ლივერპული | 26 | 12 | 11 | 3 | 43-19 | 47 |
| 6. ასტონ ვილა | 27 | 13 | 8 | 6 | 50-35 | 47 |
| 7. პორტსმუთი | 27 | 12 | 8 | 7 | 37-26 | 44 |
| 8. მანჩესტერ ს | 27 | 12 | 8 | 7 | 34-31 | 44 |
| 9. ბლექბერნი | 27 | 11 | 9 | 7 | 36-34 | 42 |
| 10. ვესტ ჰემი | 26 | 11 | 7 | 8 | 31-23 | 40 |
| 11. ტოტენჰემი | 26 | 8 | 8 | 10 | 48-41 | 32 |
| 12. მიდლსბრო | 27 | 7 | 8 | 12 | 25-41 | 29 |
| 13. ნიუკასლი | 27 | 7 | 7 | 13 | 30-52 | 28 |
| 14. ვიგანი | 27 | 7 | 5 | 15 | 26-42 | 26 |
| 15. სანდერლენდი | 27 | 7 | 5 | 15 | 26-46 | 26 |
| 16. ბოლტონი | 27 | 6 | 7 | 14 | 27-39 | 25 |
| 17. ბირმინგემი | 27 | 5 | 8 | 14 | 27-40 | 23 |
| 18. რედინგი | 27 | 6 | 4 | 17 | 31-55 | 22 |
| 19. ფულჰემი | 27 | 3 | 10 | 14 | 25-45 | 19 |
| 20. დერბი | 27 | 1 | 6 | 20 | 13-57 | 9 |

**League Trophy**

**მილტონი-სოუნი** 0:1, პენ. 5:4

**იტალია**

**სერია C1/A**

**სასუოლო-კავეზე** *გადაიდო*

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

**კაიზერი-კობლენცი** 2:3

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

**სედანი-ნანტი** 1:2

**პორტუგალია**

**აკადემიკა-ბოავიშტა** 1:1

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

**შაფჰაუზენი-ვინტერტური** 1:0

**ჩეხეთი**

**ბრნო-სლავია** 2:1

**უნგრეთი**

**ფეჰერვარი-მტკ** 1:0

**ჰოკეი**

**რუსეთი**

**ამური-ნეფტეხიმიკი** 4:4
**სიბირი-ავანგარდი** 2:2
**ს. იულაევი-ლოკომოტივი** 3:1
**ტრაქტორი-სევერსტალი** 2:2
**ლადა-მეჩ** 1:1
**ვიტიაზი-ცსკა** 3:3
**სკა-მეტალურგი (მ)** 0:1
**ტორპედო-ხიმიკი** 1:2

**ჩეხეთი**

**კლადნო-პლზენი** 5:2
**ტრშინეცი-ზნოიმო** 5:2

**შვედეთი**

**აიკ-ტიმრე** 3:3
**სიოდერტალე-ბრიუნასი** 3:4

**ჩოგბურთი**

**ATP. ზაგრები**

ბოლელი-შუტლერი 6:3, 6:2
ტიპსარევიჩი-ზვერევი 6:3, 6:1
კუბეკი-შკუგორი 2:6, 7:6, 6:0
სანტორო-ო. როხუსი 3:6, 0:6

**ATP. მემფისი**

სერა-დანიელი 6:1, 6:2
გუჩიონე-კენდრიკი 7:6, 7:6

**WTA. დუბაი**

კირილენკო-ა. ბონდარენკო 6:3, 3:6, 2:6
საფინა-სფარი 6:1, 6:3
დემენტიევა-შნიდერი 7:5, 6:0

**WTA. ბოგოტა**

კონ ალორო-ლარშერდ ბრიტუ 5:7, 0:6
როდინა-იაკიმოვა 7:5, 6:4
პუტჩკოვა-ჩინკი 3:6, 6:3, 4:6
გოვორცოვა-ვაშინგტონი 6:4, 6:2



ინტერვიუ პაუ გასოლთან

# ლეიკერსზე ვერც ვიოცნებებდი

პაუ გასოლის "მემფისიდან" "ლეიკერსში" გადასვლამ როგორც კალათბურთელზე, ასევე მის ახალ კლუბზე იქონია დადებითი გავლენა. ესპანელთან ერთად, ფილ ჯექსონის გუნდმა 9 თამაში ჩაატარა და რვა თავის სასარგებლოდ დაასრულა. სხვათა შორის, ამ 9 მატჩიდან კალიფორნიელებმა რვა სტუმრად ჩაატარეს.

"ლეიკერსში" თავის სადებიუტო მატჩში, ესპანელმა ფორვარდმა ორმაგი დუბლი შეასრულა (24 ქულა, 12 მოხსნა), სულ კი, ახალ გუნდში ხუთჯერ გადააბიჯა 20-ქულიან ზღვარს. გასოლმა კალიფორნიულ ცხოვრებაზე ესპანური "მარკას" ჟურნალისტს უამბო.

**- პაუ, როგორ გრძნობთ თავს "ლეიკერსის" მოთამაშის როლში?**

- ჯერჯერობით, ყველაფერი შესანიშნავად მიდის. აბსოლუტურად არაფერზე არ მაქვს საწუწუნო. ჩავირიცხე გუნდში, რომელსაც დიდი გამარჯვებების მიღწევა შეუძლია. უკვე შევიგრძენი "ლეიკერსის" ისტორიული დიდება. ახალმა პარტნიორებმაც ძალიან კარგად მიმიღეს და ვცდილობ, რაც შეიძლება სწრაფად მოვერგო შემადგენლობას, რათა 100 პროცენტით გამოვავლინო ჩემი შესაძლებლობები. აქაური კალათბურთი სულ არ ჰგავს იმას, რასაც მემფისში ვთამაშობდი. ლოს ანჯელესში შეტევითი მოქმედების გაცილებით ბევრი ვარიანტია, ამიტომაც თამაში უფრო იოლი და საინტერესო გახდა. გუნდში ატმოსფეროს რაც შეეხება, ის უბრალოდ, ჩინებულია.

**- შეგიძლია აგვიღწერო შენი ემოციური მდგომარეობა?**

- ეს არის აბსოლუტური ბედნიერების შეგრძნება. უზომოდ კმაყოფილი ვარ და გულწრფელად მჯერა, რომ ლოს ანჯელესში ჩემი კარიერა მწვერვალისკენ წავა.

**- უკვე იგრძენით ის ზეწოლა, რომელიც "ლეიკერსის" ნებისმიერ მოთამაშეს ახლავს თან?**

- დიახ და ეს აბსოლუტურად ბუნებრივია. რაც უფრო ახლოა სეზონის ფინიში, მით უფრო მეტად გრძნობ ამ ზეწოლას. ჩვენზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებენ და გვინდა დავამტკიცოთ, რომ გულშემატკივართა ოპტიმიზმი საფუძველს მოკლებული არ არის.

**- ახალ ქალაქს შეეჩვიეთ?**

- ლოს ანჯელესი მემფისზე გაცილებით დიდია. ყველაფერი გიგანტური გეჩვენება: შენობები და სივრცეები. ვცდილობ, ნელ-ნელა შევეჩვიო ამ ყველაფერს, მაგრამ ეს მეტ-ნაკლები წარმატებით გამომდის. ლოს ანჯელესში ცხოვრების პირველივე დღეს, უზარმაზარ საცობში მოვხვდი და მივხვდი, რომ აქ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი.

**- გაგიკვირდათ, როცა "ლეიკერსში" ტრანსფერის შესახებ შეიტყვეთ?**

- არ დავმალავ, რომ თავიდან ეს ინფორმაცია ჩემთვის შოკისმომგვრელი გახდა, მაგრამ ამავდროულად, ძალიან კმაყოფილი დავრჩი, როცა გარიგება შედგა. ახლა ეს ციებ-ცხელება უკან დარჩა და ყველაფერი ერთ მიზნამდე დავიდა - მეც, ისევე როგორც გუნდის დანარჩენ წევრებს, ძალიან გვინდა საჩემპიონო ბეჭდების მოპოვება. ეს ყოველთვის ჩემი უმთავრესი მიზანი იყო, ახლა კი, შანსი მომეცა, ოცნება რეალობად ვაქციო, თუმცა ღირსეული მოწინააღმდეგეების რიცხვი ძალიან დიდია. მაინც მჯერა, რომ უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში, "ლეიკერსს" დიდი გამარჯვებების მოპოვება შეუძლია.

**- როგორც ჩანს, ახლა მოტივაციასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემები აღარ გაქვთ...**

- ეს სავსებით ბუნებრივი ცვლილებაა. ბოლო დროს, მხოლოდ იმედგაცრუება ვნახე, რადგან "მემფის გრიზლისის" შედეგები არ უმჯობესდებოდა და გუნდი პერმანენტული გარდაქმნების მდგომარეობაში იყო. გამარჯვებები მომენატრა. სიტუაციის გაუმჯობესება და პროგრესი მსურდა, მაგრამ, როცა შევამჩნიე, რომ "მემფისში" ამის არანაირი შესაძლებლობა არ არსებობდა, მოტივაცია დავკარგე. "ლეიკერსში" გადასვლით კი, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა. თუნდაც ის რად ღირს, რომ ყოველთვის გადაჭედილ დარბაზში გიწევს თამაში - ეს ენით აუწერელი გრძნობაა.

**- როგორია კობი ბრაიანტის გვერდით თამაში?**

- კობის გამარჯვებებისკენ სწრაფვის გამძაფრებული გრძნობა აქვს. ის უდიდესი სპორტსმენია და გულწრფელ აღფრთოვანებას გამოვხატავ მისი მისამართით. დიდი იმედი მაქვს, რომ კობი თამაშის გაუმჯობესებაში დიდ დახმარებას გამიწევს.

**- ამბობენ, რომ ის ესპანურად გელაპარაკებათ...**

- დიახ, ზოგიერთ სათამაშო სიტუაციებში ის დარიგებებს ესპანურად მაძლევს, რათა სწრაფად დავიკავო მოედანზე სწორი პოზიცია, ხოლო მეტოქეები ვერ მიხვდნენ ჩვენს ჩანაფიქრს.

**- "მემფისში" თქვენი მეგობარი, ხუან-კარლოს ნავარო დარჩა. გსურთ თუ არა, მომავალ წელს მისი "ლეიკერსში" ხილვა?**

- რა თქმა უნდა, მსურს, მაგრამ ძალიან ძნელი იქნება. "ლეიკერსში" ახალი ვარ და არანაირი უფლება არ მაქვს, ხელმძღვანელობას ჩემთვის სასურველი კალათბურთელის ტრანსფერი მოვთხოვო.

**- თქვენი ძმის, მარკ გასოლის "ლეიკერსში" (პაოს ძმა ლოსანჯელესელებს ჰყავთ აყვანილ დრაფტზე - რედ.) გადაბარგების შანსებს როგორ შეაფასებთ?**

- ყოველთვის მინდოდა, რომ მარკს თავისი გზა ჰქონოდა ცხოვრებასა და კალათბურთში. ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და მისი ასაკის კალათბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთ გუნდში თამაში, სადაც ბევრ სათამაშო დროს გამოუყოფენ. ამ ეტაპზე მას ამის შესაძლებლობა აქვს. დარწმუნებული არ ვარ, მარკს ასეთივე შანსი "ლეიკერსში" გადასვლის შემდეგ მიეცეს. ვიმეორებ, რომ ჩემი ძმისთვის მნიშვნელოვანია ხშირად ითამაშოს, NBA-ში გადმოსვლას კი, ყოველთვის მოასწრებს.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# შაკი 2004-ში დააბრუნეს

ალბათ გახსოვთ, 2004 წლის სუპერფინალი. **შაკილ ონილის, კობი ბრაიანტის, კარლ მელოუნისა** და **გარი პეიტონის** "ლეიკერსი" ბოლო საპლეიოფო სერიაში "ვილაც" "დეტროიტთან" აშკარა ფავორიტად რომ მიიჩნეოდა და სპეციალისტთა უმრავლესობას კალიფორნიელებისთვის საჩემპიონო ბეჭდები წინდაწინ რომ ჰქონდათ გადაცემული? ისიც გემახსოვრებათ, თუ რა დღეში ჩააგდეს **ლარი ბრაუნის** დისციპლინირებულმა ბიჭებმა ვარსკვლავი მილიონერები - სერია 4:1 მოიგეს და **ჩონსი ბილაპსი** კი უძვირფასესად აღიარეს.

კობი მაშინ **ტაიშონ პრინსმა** "შეჭამა", ხოლო ონილს კი აჩრდილივით **ბენ უოლასი** აედევნა და მიუხედავად იმისა, რომ შაკმა ბრაიანტზე გაცილებით კარგად ჩაატარა ის სერია, სწორედ ინდივიდუალისტთა უმწეობამ წააგებინა **ფილ ჯექსონის** გუნდს.

დღეს ბენი უკვე "კლივლენდშია", შაკი კი ძველი დიდებისა და ჩემპიონობის დაბრუნებას "ფინიქს სანზში" ცდილობს, თუმცა ჯერ "ლეიკერსთან", ახლა კი საკუთარ მოედანზე "დეტროიტთან" წაგებამ ერთხელაც გაუსვა ხაზი იმას, რომ არიზონელებმა არასწორი ტრანსფერი გაჩარხეს.

მართალია, ამ ორ მარცხს შორის იყო რეგულარულის ლიდერთან, "ბოსტონთან" მოპოვებული გამარჯვებაც იყო, მაგრამ "სელტიქსი" საშინელ ფორმაშია, გუნდი დამქანცველ დასავლურ ტურნეს ატარებს და აშკარად დასვენება ესაჭიროება, რითაც შაკმა და კომპანიამ ისარგებლეს კიდეც. სხვა საქმეა დასვენებული, მოტივირებული "პისტონზი". **ფლიპ სონდერსს** ყველაზე დაბალანსებული, თანაბარი შემადგენლობა და მთელს ლიგაში საუკეთესო სასტარტო ხუთეული ჰყავს.

თუ "ლეიკერსთან" ონილმა "გაიბრწყინა" და 15 ქულა გააკეთა, მომდევნო ორ მატჩში ლეგენდარულმა ცენტრმა გუნდურ მონაგარს ოდენ 11 ჯამური ქულა შემატა, რაც შაკისთვის კი არა, იქნებ **მარკ ბლაუნტისთვისაც** კი სამარცხვინო მაჩვენებელი იყოს.

შაკი მეორე უოლასის, **რაშიდის** წინააღმდეგ ამჯერადაც შერცხვა, ხოლო ამპლუით მძიმე ფორვარდმა, ამ მატჩში კი ცენტრად დაყენებულმა შიდიმ სეზონში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

თავიდან უოლასი შაკს **ანტონიო მაკდაიესთან** ერთად იყვანდა, მაგრამ მერე და მერე სონდერსმა ერთი-ერთზე დაცვა არჩია და რაშიდმაც მარტომ "მოუარა" ვებერთელა შაკს.

ონილმა თამაშიდან 8-ში 3 სროლა გამოიყენა, ხოლო რვა საჯარიმოს შესრულებისას კი მხოლოდ ერთხელ ივარგა. შაკი აგვიანებდა დაზღვევაზე, თითქმის ვერ ამჩნევდა უმეთვალყურეოდ დარჩენილ თანაგუნდელებს და თუ ასე გააგრძელებს (და ეს, ალბათ, ასეც იქნება), "ფინიქსი" საჩემპიონოდ კი არა, ალბათ, საპლეიოფოდ უფრო იომებს.

უოლასი კი ძალიან კარგი იყო. აკურატულად თამაში (26 წუთში არცერთი შეცდომა), ზუსტი სროლა (თამაშიდან 10-ში 8, ხოლო საჯარიმოს ხაზიდან კი - 5-ში 5) და რაც მთავარია, შაკისა და პერიოდულად, **ამარე სტაუდმაიერის** სრული იგნორირება.

მეორე პრინციპული დაპირისპირებაც "პისტონზის" წევრის სრული გამარჯვებით დასრულდა - **ჩონსი ბილაპსმა** 11 ზუსტი პასი მხოლოდ 20 (!) წუთში დააგროვა, ხოლო **სტივ ნეშმა** კი, მოედანზე 12 წუთით მეტი დაჰყო და მატჩი სულ რაღაც 6 შედეგიანი გადაცემითა და 4 შეცდომით ჩაამთავრა.

ამ მარცხით "ფინიქსმა" აღმოსავლელთა წინააღმდეგ 11-მატჩიანი წაუგებელი სერია დაასრულა, ხოლო მის თავკაცს, **მაიკ დენტონის** კი ბევრი პრობლემის მოგვარება მოუწევს.

შაკის ნაცვლად, გუნდში **შონ მერიონი** დაეტოვებინათ, უკეთესი იქნებოდა.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ფინიქსი-დეტროიტი 86:116**

16:27, 25:32, 17:31, 28:26

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (31 ქ), ბარბოსა (18 ქ. 5 პ), ნეში (11 ქ. 6 პ), შ. ონილი (7 ქ. 11 მ).

**დეტროიტი:** რ. უოლასი (22 ქ. 8 მ), ჯ. ჰეიესი (18 ქ), რ. ჰამილტონი (18 ქ), ბილაპსი (14 ქ. 11 პ), მაკდაიესი (12 ქ. 13 მ), პრინსი (10 ქ).

**სიეტლი-ლეიკერსი 91:111**

17:29, 26:33, 27:31, 21:18

**სიეტლი:** ჟელაბალი (21 ქ. 8 მ), დიურანი (15 ქ. 2 ჩ), ჯ. გრინი (15 ქ. 8 მ), ე. უოტსონი (12 ქ. 8 პ).

**ლეიკერსი:** გასოლი (22 ქ. 7 მ. 2 დ), ბრაიანტი (21 ქ. 10 პ. 3 ჩ), ოდომი (19 ქ. 11 მ. 3 დ), ვუიაჩიჩი (13 ქ), ფარმარი (12 ქ), უოლტონი (11 ქ. 7 მ. 6 პ), ფიშერი (10 ქ).

**კლივლენდი-მემფისი 109:89**

32:13, 27:25, 23:29, 27:22

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (25 ქ. 11 პ. 7 მ. 3 ჩ), ილგაუსკასი (22 ქ. 13 მ), ჯო სმიტი (14 ქ. 6 მ), ბ. უოლასი (12 ქ. 10 მ. 2 ჩ), დეიმონ ჯოუნსი (11 ქ), შჩერბიაკი (10 ქ).

**მემფისი:** უორიკი (21 ქ. 9 მ), გეი (19 ქ. 7 მ. 4 ჩ), ნავარო (14 ქ), ლოური (13 ქ), კონლი (10 ქ. 2 ჩ).

**პორტლენდი-ბოსტონი 102:112**

32:16, 22:31, 17:32, 31:33

**პორტლენდი:** ტ. აუთლო (24 ქ), ჯეკი (17 ქ. 2 ჩ), ოლდრიჯი (14 ქ. 3 ჩ), ბლეიკი (12 ქ. 8 პ), უებსტერი (12 ქ. 2 ჩ).

**ბოსტონი:** პირსი (30 ქ. 7 მ. 5 პ), რ. ალენი (19 ქ. 5 პ), რონდო (15 ქ. 8 პ. 2 ჩ), პოუსი (15 ქ. 2 ჩ), ე. ჰაუსი (11 ქ), გარნეტი (10 ქ. 7 მ).

**მინესოტა-დალასი 83:99**

24:24, 24:24, 23:23, 12:28

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (22 ქ. 8 მ. 2 დ), მაკკენტსი (17 ქ. 2 ჩ), გომესი (12 ქ), ტელფეირი (10 ქ. 7 პ. 2 ჩ).

**დალასი:** ნოვიცკი (29 ქ. 8 მ. 2 ჩ), ტერი (20 ქ), ჯოშ ჰოვარდი (14 ქ. 7 მ), კიდი (12 ქ. 17 პ. 7 მ. 4 ჩ).

**ჰიუსტონი-ჩიკაგო 110:97**

20:18, 29:28, 28:22, 33:29

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (24 ქ. 8 პ. 2 ჩ), სკოლა (17 ქ), ბ. ჯექსონი (14 ქ), ალსტონი (13 ქ.. 4 ჩ), მინი (12 ქ. 6 მ), ბეტიე (11 ქ. 10 მ), ჰედი (11 ქ.).

**ჩიკაგო:** ტაირუს ტომასი (18 ქ. 6 მ. 5 პ. 2 დ), ჰიუზი (13 ქ), გუდენი (12 ქ. 8 მ), ნოჩიონი (12 ქ), სეფოლოშა (11 ქ), ჰაინრიხი (10 ქ. 10 პ), დენგი (10 ქ. 6 მ).

**ტორონტო-ნიუ იორკი 115:92**

27:23, 27:29, 30:15, 31:25

**ტორონტო:** ბარნიანი (25 ქ. 7 მ. 5 პ. 2 დ), ბოში (17 ქ), ე. პარკერი (16 ქ), ტი. ჯეი. ფორდი (15 ქ), ბრეჟეცი (11 ქ).

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (26 ქ. 6 პ), ნ. რობინსონი (20 ქ. 8 მ), კარი (12 ქ).

**ორლანდო-საკრამენტო 112:93**

25:29, 21:17, 28:22, 38:25

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (26 ქ. 10 მ. 2 დ), რ. ლიუისი (16 ქ. 7 მ. 3 ჩ. 2 დ), დულინგი (14 ქ), კუკი (14 ქ. 2 ჩ), მ. ევანსი (14 ქ), თურქოღლუ (13 ქ).

**საკრამენტო:** არტესტი (23 ქ. 6 მ), კევინ მარტინი (21 ქ. 10 მ. 5 პ. 2 ჩ), ბ. მილერი (17 ქ. 6 მ).



შიდისა და შაკის დუელი

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უზულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა